# რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო

## 2020-2022 წლების ანგარიში

თბილისი 2023

# სარჩევი

1. რელიგიისა და რწმენის თავისუფლება საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე 2020-2022 წლებში ........................................................................................ 5

2. 2020 წლის რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს ანგარიში ..................... 15

3. 2021 წლის რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს ანგარიში .................... 39

4. 2022 წლის რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს ანგარიში ................... 73

# თავი 1.

# რელიგიისა და რწმენის თავისუფლება საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე 2020-2022 წლებში

სარჩევი:


**1. ზოგადი მიმოხილვა** ............................................................ 5

1.1. ოკუპირებული აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა ............................ 7

1.2. ოკუპირებული ცხინვალის რეგიონი ............................................ 7

**2. ქართული საკულტო ნაგებობების უმძიმესი მდგომარეობა ოკუპირებულ ტერიტორიებზე** ............................................................ 8

**3. ეროვნებით ქართველი და აღმსარებლობით მართლმადიდებელი სასულიერო პირების გადაადგილების შეზღუდვა და შევიწროება საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე** ............................................................ 8

**4. ოკუპირებულ ტერიტორიებზე 2020-2022 წლებში არსებული ვითარება** ............................................................ 9

4.1 ოკუპირებული აფხაზეთის ა/რ (2020-2022 წლებში) ............................ 9

4.2 ოკუპირებული ცხინვალის რეგიონი (2020-2022 წლებში) ............................ 11

**5. საქართველოს რელიგიების საკულტო ნაგებობები საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე** ............................................................ 12

## ზოგადი მიმოხილვა

საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე, როგორც აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში (შემდგომში ა/რ), ასევე შიდა ქართლის ოკუპირებულ ნაწილში (ცხინვალის რეგიონი), რელიგიის თავისუფლების მიმართულებით მდგომარეობა უკიდურესად რთულია, კერძოდ: დარღვეულია ეროვნებით ქართველების რელიგიის თავისუფლება, გამოხატვის თავისუფლება, რწმენის გამჟღავნება აღმსარებლობით, ქადაგებით, წესებისა და რიტუალების აღსრულებით, გადაადგილების თავისუფლება, მშობლიურ ენაზე განათლების მიღების უფლება. აფხაზეთის და სამაჩაბლოს (ცხინვალის რეგიონი) ოკუპირებულ ტერიტორიებზე უამრავი ქართული მართლმადიდებლური ტაძარია, რომელთა მიმართაც შეინიშნება მრავალჯერადი თვითნებური გადაკეთებისა და დაზიანების სხვადასხვა ფაქტი.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს ოკუპირებული რეგიონებიდან, სადაც საქართველოს ხელისუფლების იურისდიქცია არ ვრცელდება, ინფორმაციის მოპოვება საკმაოდ რთულია. ვინაიდან მონიტორინგი ვერ ხორციელდება, იქ არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების მხოლოდ მცირე ნაწილის მდგომარეობა არის ცნობილი, ძეგლების უმეტესობის ბედი კი უცნობია. მით უფრო, არ არსებობს ინფორმაცია იქ არსებული არქეოლოგიური ძეგლების შესახებ და ნათელია, რომ ყველა იქ დარჩენილი ისტორიული ძეგლი დღეს დაუცველია და საფრთხის ქვეშაა. მიუხედავად ამისა, რელიგიის სააგენტომ სხვადასხვა წყაროებიდან მოიპოვა ინფორმაცია ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული რელიგიური მდგომარეობის შესახებ, რომელსაც ქვემოთ გთავაზობთ.

საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე, ოკუპირებული აფხაზეთის ა/რ-ში და შიდა ქართლის ოკუპირებულ ნაწილში (ცხინვალის რეგიონი) რელიგიის თავისუფლების მიმართულებით მდგომარეობა კვლავ უკიდურესად რთულია. ორივე რეგიონიდან დევნილთა რაოდენობა დაახლოებით 500 000-მდეა.

ფაქტია, რომ ოკუპირებულ ტერიტორიებზე წლებია მიმდინარეობს ქართველი მართლმადიდებლების ეთნიკური და რელიგიური დისკრიმინაცია და სეგრეგაცია, რისი დასტურიც გახლავთ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის 2021 წლის 21 იანვარის გადაწყვეტილება საქმეზე (საქმის N 38263/08)[1] „საქართველო რუსეთის წინააღმდეგ“. საქართველოს სახელმწიფოს გამარჯვებით დასრულდა რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ საქმე, რომელიც 2008 წლის აგვისტოს ომს უკავშირდება. საქართველოსთან შეიარაღებული კონფლიქტის დროს, რუსეთის ფედერაციამ დაარღვია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-4 დამატებითი ოქმისა და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის 1-ლი დამატებითი ოქმის შემდეგი მუხლები:

- **სიცოცხლის უფლება** (მე-2 მუხლი);

[1] https://hudoc.echr.coe.int/eng?fbclid=IwAR0y_72uhd5rMqFRMQ44ttzAFp5c3uEfmW9MFzqSwa5WfPEXyb740m_I9f4#{%22appno%22:[%2238263/08%22],%22itemid%22:[%22001-207757%22]}

- **წამების აკრძალვა** (მე-3 მუხლი);
- **თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება** (მე-5 მუხლი);
- **პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება** (მე-8 მუხლი);
- **მიმოსვლის თავისუფლება** (მე-4 დამატებითი ოქმის მე-2 მუხლი);
- **საკუთრების უფლება** (1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლი).

რუსეთის ფედერაციამ ასევე არ ითანამშრომლა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოსთან, რითაც დაარღვია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის 38-ე მუხლი (საქმის განხილვა).

სასამართლოს დიდმა პალატამ დაადგინა, რომ რუსეთი ახორციელებდა ცხინვალის რეგიონზე და აფხაზეთზე ეფექტურ კონტროლს და აქედან გამომდინარე, მას შეერაცხება პასუხისმგებლობა საქართველოს მოქალაქეების უფლებების დარღვევისათვის. შესაბამისად, სასამართლომ დაადასტურა საქართველოს მოთხოვნა, რომ ცხინვალის რეგიონი და აფხაზეთი საქართველოს განუყოფელი ნაწილებია და ოკუპირებულია რუსეთის მიერ. ამასთან ერთად, რაც ძალზე მნიშვნელოვანია, სასამართლომ დაადგინა, რომ 2008 წლის ომის დროს რუსეთმა განახორციელა ქართველების ეთნიკური წმენდა.

2008 წლის აგვისტოს ომის საქმეზე სტრასბურგის სასამართლოს შემდეგ, 2022 წლის 16 დეკემბერს ჰააგის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს პროკურორმა, კარიმ ხანმა, „საქართველოს სიტუაციის" გამოძიების ეტაპის დასრულების შესახებ განაცხადა, რომ 2022 წლის 30 ივნისს პირველმა წინა სასამართლო პალატამ სამი ეჭვმიტანილი პირის (ერთი - რუსეთის ფედერაციის მოქალაქე, ორი - სეპარატისტული რეჟიმის წარმომადგენელი) დაპატიმრების ორდერები გასცა, რომელიც ეხება რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოში განხორციელებული ოკუპაციის დროს ეთნიკურად ქართველი მშვიდობიანი მოსახლეობის თავისუფლების უკანონო აღკვეთას, წამებას, სასტიკ მოპყრობას, მძევლად აყვანასა და, შემდგომში, მათ უკანონო გადაადგილებას. ასევე, დასტურდება ქართული სოფლებისა და ქართველების კუთვნილი სახლების მასობრივი ძარცვა, განადგურება და ცხინვალის რეგიონის ქართველი მოსახლეობისთვის დაბრუნების უფლებაზე უარის თქმა. აღნიშნული ფაქტები მიუთითებს საერთაშორისო სასამართლოებში ქართული მხარის კიდევ ერთ მნიშვნელოვან წარმატებას რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ[2].

---

[2] https://www.icc-cpi.int/news/prosecutor-international-criminal-court-karim-aa-khan-kc-announces-conclusion-investigation; https://justice.gov.ge/?m=articles&id=UpL8kINlaj

### ოკუპირებული აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა

ოკუპირებული აფხაზეთის ა/რ-ში რელიგიის კუთხით უმძიმესი მდგომარეობაა. ადგილობრივი ეთნიკურად ქართველი მოსახლეობა აღნიშნული ტერიტორიის უდიდესი ნაწილიდან გამოდევნილია და არც ერთ ქართულ მართლმადიდებლურ ტაძარში წირვა-ლოცვა ქართულ ენაზე არ მიმდინარეობს. რელიგიის სააგენტოს მიერ მოპოვებული ინფორმაციის თანახმად გალის რაიონის ტერიტორიაზე 16 000 ქართველი ცხოვრობს, თუმცა ოკუპირებული აფხაზეთის არც ერთ მართლმადიდებლურ ტაძარში წირვა-ლოცვა ქართულ ენაზე არ აღევლინება. გალის ქართულ მოსახლეობას ესაჭიროება ქართველი სასულიერო პირი, რადგან თავიანთი რელიგიური უფლებების განსახორციელებლად, განსაკუთრებით დიდ რელიგიურ დღესასწაულებზე, ისინი ზუგდიდში გადადიან და ღვთისმსახურებას იქ ესწრებიან, რაც ხშირად, დიდ საფრთხეებთანაა დაკავშირებული და ეს მაშინ, როდესაც საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქოს აფხაზეთის ეპარქიის სასულიერო დასი მზადაა აფხაზეთის ა/რ-ში გადასასვლელად და ღვთისმსახურების აღსასრულებლად.

უახლესი მონაცემებით გალის რაიონი სრულად გადავიდა რუსულ სწავლებაზე. შესაბამისად, ქართულ ენაზე განათლების მისაღებად და მშობლიური ენის შესანარჩუნებლად, ქართველი მოსახლეობა იძულებულია დატოვოს საკუთარი სახლ-კარი და საცხოვრებლად ზუგდიდში გადავიდეს, რაც წარმოადგენს ბავშვთა და მოზარდთა მშობლიურ ენაზე განათლების მიღების უფლების უხეშ დარღვევას. სახეზეა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები ადგილობრივი ეთნიკურად ქართველი მოსახლეობის განგრძობადი დისკრიმინაცია.

### ოკუპირებული ცხინვალის რეგიონი

ოკუპირებული აფხაზეთის ა/რ-ს მსგავსად, მძიმე მდგომარეობაა ცხინვალის რეგიონის ოკუპირებულ ნაწილშიც. უმძიმეს მდგომარეობაშია ქართული საკულტო ნაგებობები და იქ არსებულ ყველა (გარდა ორი ტაძრისა) ქართულ მართლმადიდებლურ ტაძარში წირვა-ლოცვა ქართულ ენაზე არ მიმდინარეობს. ქართველი მართლმადიდებელი სასულიერო პირები ცხინვალის რეგიონის ოკუპირებული ნაწილის ტერიტორიიდან სრულად გამოდევნილია, დარჩენილია მხოლოდ ოთხი სასულიერო პირი, რომლებიც უკიდურეს შევიწროებას განიცდიან. აღსანიშნავია, რომ 2008 წლამდე ცხინვალის რეგიონში 23 ქართველი სასულიერო პირი მოღვაწეობდა და ფუნქციონირებდა 9 ქართული მართლმადიდებლური ტაძარი. ამჟამად კი მოქმედებს მხოლოდ 2 ტაძარი დაბა ახალგორსა და სოფელ იკოთში.

უნდა აღინიშნოს, რომ საოკუპაციო ხაზის მეორე მხარეს მცხოვრებ ქართველ მრევლს ეზღუდება უფლება, მოინახულოს ახლობელთა და ოჯახის წევრთა სასაფლაოები და დაესწროს ქართულ ენაზე ღვთისმსახურებას ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებულ ტაძრებში.

## ქართული საკულტო ნაგებობების უმძიმესი მდგომარეობა ოკუპირებულ ტერიტორიებზე

ოკუპირებული აფხაზეთის ა/რ-სა და ცხინვალის რეგიონის ოკუპირებულ ტერიტორიებზე ჩვენი ინფორმაციით, სულ შემორჩენილია 706 საკულტო დანიშნულების ნაგებობა, აქედან 151 ოკუპირებული აფხაზეთის ა/რ-ში, რომელთაგან 145 მართლმადიდებლური ეკლესიაა; ხოლო ოკუპირებული ცხინვალის რეგიონში აღნუსხულია 555 მართლმადიდებლური ეკლესია. ოკუპირებულ ტერიტორიებზე ამ ყველა არსებულ მართლმადიდებლურ ტაძრებში (ახალგორის რაიონის ორი ტაძრის გარდა), ვერ შედიან ეროვნებით ქართველი და აღმსარებლობით მართლმადიდებელი სასულიერო პირები. ასევე შეინიშნება ეკლესიების პირვანდელი იერსახის შეცვლის, თვითნებური გადაკეთებისა და დაზიანების მრავალი ფაქტი. აღსანიშნავია, რომ რუსეთის მხრიდან აფხაზეთის ა/რ-ში დღემდე არ მომხდარა 1954 წელს მიღებული ჰააგის კონვენციის (შეიარაღებული კონფლიქტის დროს კულტურული ფასეულობების დაცვის შესახებ) შესაბამისი მუხლებისა და ოქმების გააქტიურება, რაც აფხაზეთში კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვის ერთ-ერთი გარანტი იქნებოდა. 2010 წლის 16 ოქტომბერს, ხელი მოეწერა თვითგამოცხადებული „აფხაზეთის რესპუბლიკისა“ და რუსეთის ფედერაციის კულტურის სამინისტროებს შორის „კულტურული და ისტორიული ძეგლების სახელმწიფო დაცვის, შესწავლისა და პოპულარიზაციის სფეროში შეთანხმებას“. თუმცა, რესტავრაციის ნაცვლად, მიზანმიმართულად დაიწყო ქართული ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის ხელყოფა.

## ეროვნებით ქართველი და აღმსარებლობით მართლმადიდებელი სასულიერო პირების გადაადგილების შეზღუდვა და შევიწროება საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე

საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე, ოკუპირებული აფხაზეთის ა/რ-სა და ცხინვალის რეგიონში ეროვნებით ქართველი და აღმსარებლობით მართლმადიდებელი სასულიერო პირების გადაადგილება მთლიანად აკრძალულია. ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის დე–ფაქტო ადმინისტრაციამ, ყოველგვარი წინასწარი გაფრთხილების გარეშე, ჩაკეტა ე.წ. გამშვები პუნქტები, რითაც ოკუპირებულ ტერიტორიაზე გადასვლა და უკან დაბრუნება აეკრძალა ქართველ მართლმადიდებელ სასულიერო პირებს. შესაბამისად, მათ არ ეძლევათ ქართველი მრევლისათვის მშობლიურ ენაზე ღვთისმსახურების ჩატარების საშუალება.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ორი ძირძველი რეგიონი აფხაზეთის ა/რ და ცხინვალის რეგიონი ოკუპირებულია რუსეთის ფედერაციის მიერ, საქართველოს ხელისუფლება ახორციელებს რა დემოკრატიულ და ადამიანის უფლებებზე დაყრდნობილ პოლიტიკას, ხელს უწყობს საქართველოში მოღვაწე სხვადასხვა რელიგიის წარმომადგენლებს, კათოლიკური, ლუთერული, სომხური ეკლესიების სასულიერო პირებს, ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ კანონის დაცვით გადავიდნენ აფხაზეთში, შეხვდნენ საკუთარ მრევლს და რელიგიური მსახურება აღასრულონ. ეს ყველაფერი კი აკრძალულია ეროვნებით ქართველი და

აღმსარებლობით მართლმადიდებელი სასულიერო პირებისათვის, რადგან რელიგიური მსახურების მიზნით, საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე შესვლის უფლება არა აქვთ. ეს არის ცალსახად ეთნიკური და რელიგიური დისკრიმინაცია მხოლოდ ქართველი მართლმადიდებლების, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ღვთისმსახურთა მიმართ, რომელსაც ოკუპანტი ქვეყანა-რუსეთი და მისი მარიონეტი, სეპარატისტული რეჟიმები ახორციელებენ.

ნიქოზისა და ცხინვალის ეპარქიის მიტროპოლიტ მეუფე ისაიას (ჭანტურია) არ ეძლევა ეპარქიის კუთვნილ ტერიტორიაზე შესვლისა და საკუთარი რელიგიური მოვალეობების განხორციელების უფლება და საშუალება. 2020 წლის პირველი იანვრიდან მეუფე ისაია კვლავ უშედეგოდ ელოდება ცხინვალის რეგიონის ოკუპირებულ ტერიტორიაზე შესასვლელი საშვის მიღებას ოკუპირებული ტერიტორიების შესაბამისი სტრუქტურიდან.

## ოკუპირებულ ტერიტორიებზე 2020-2022 წლებში არსებული ვითარება

საქართველოს ორივე ოკუპირებულ ტერიტორიაზე, აფხაზეთის ა/რ-ში და ცხინვალის რეგიონში, კვლავ უმძიმესი მდგომარეობაა რელიგიის თავისუფლების თვალსაზრისითაც. საანგარიშო წლებშიც ეროვნებით ქართველ და აღმსარებლობით მართლმადიდებელ სასულიერო პირებს კვლავ ეკრძალებათ გადაადგილება ოკუპირებული აფხაზეთის ა/რ-სა და ცხინვალის რეგიონში; საოკუპაციო ხაზის მეორე მხარეს მცხოვრებ ქართველ მრევლს კვლავ არ აქვს უფლება, დაესწროს ღვთისმსახურებას მშობლიურ ენაზე ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებულ ტაძრებში და ეკრძალებათ მოინახულონ ახლობელთა და ოჯახის წევრთა სასაფლაოები. აფხაზეთის ა/რ-სა და ცხინვალის რეგიონის ოკუპირებულ ტერიტორიებზე კვლავ უკანონოდ მსახურობენ ოკუპანტი ქვეყნის რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქოს წარმომადგენლები. კვლავ მოქმედებს უკანონოდ აშენებული სამი რუსული ტაძარი (წმინდა სამების ტაძარი ქ. ცხინვალის ცენტრში; იოანე ნათლისმცემლის ტაძარი რუსულ სამხედრო უბანში ქ. ცხინვალის ჩრდილოეთით და წმ. ნიკოლოზის ტაძარი ქ. ცხინვალის გარეუბანში) და ოკუპანტების მხარდაჭერით წაქეზებული სხვადასხვა სქიზმატური საეკლესიო დაჯგუფებები შეჭრილები არიან ქართულ მართლმადიდებლურ ტაძრებში. ისინი ერთმანეთსაც კი უპირისპირდებიან და საშინელ რელიგიურ ქაოსს ქმნიან საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე. ეს მაშინ, როდესაც ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებულ ქართულ მართლმადიდებლურ ტაძრებში კვლავ ფიქსირდება მრავალჯერადი თვითნებური გადაკეთებისა და დაზიანების სხვადასხვა ფაქტი, რომელიც მიმდინარე საანგარიშო წლებშიც არ შეწყვეტილა და რომელსაც დეტალურად ქვემოთ გადმოვცემთ.

## ოკუპირებული აფხაზეთის ა/რ (2020-2022 წწ.)

აფხაზეთის სეპარატისტული რეჟიმისა და ოკუპანტი ქვეყნის, რუსეთის მიერ მხარდაჭერილი ე.წ. „აფხაზეთის სამიტროპოლიტო“, რომელსაც არქიმანდრიტი დოროთეოს დბარი ხელმძღვანელობს, ახორციელებს სისტემატურ, მავნებლურ და უკანონო „არქეოლოგიურ“ თუ „სარესტავრაციო“ სამუშაოებს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებულ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე. უნდა აღინიშნოს, რომ არქიმანდრიტი დოროთეოს დბარი,

არამარტო საქართველოს ეკლესიასთან არის განხეთქილებაში, არამედ თავად რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიასთან. მაიკოპისა და ადიღეის ეპისკოპოსის მიერ ტიხონ ლობკოვსკისაგან მას 2012 წლიდან აკრძალული აქვს ღვთისმსახურება. ის 2022 წელსაც იყო დაბარებული მაიკოპის და ადიღეის საეკლესიო სასამართლოზე, რომელზეც, როგორც თავად დბარი წერს როგორც 2021 წელს[3], ასევე 2022 წელს არ მივიდა[4] და ამ საკითხზე 2022 წლის ოქტომბერში გააგზავნა „აფხაზეთის წმინდა სამიტროპოლიტოს" წარმომადგენლობა ზემოთ ხსენებულ მთავარეპისკოპოსთან[5]. შესაბამისად, ამ ეტაპზე დბარი სქიზმაშია, როგორც საქართველოს, ისე რუსეთის ეკლესიასთანაც, თუმცა ეს მას ხელს არ უშლის აწარმოოს უკანონო არქეოლოგიური „სამუშაოები" დასახლება ბჟილუასთან (სოფ. ანხუა) წმინდა იოანე ნათლისმცემლის სკიტიდან 3 კმ-ში არსებულ შუასაუკუნეების ორ ძეგლზე, სადაც ჩაატარეს უკანონო არქეოლოგიური გათხრები. ხსენებული სქიზმატი სასულიერო პირი არც მალავს უკანონო გათხრების წარმოებას, ოკუპანტი ქვეყნიდან, რუსეთიდან კერძოდ სანქტ-პეტერბურგის რესტავრატორების უნებართვო ჩართულობას და აღმოჩენილი მასალებიდან ნაწილს პირად ფეისბუკზეც აქვეყნებს, როგორიცაა, მაგალითად ფრესკები[6] და ჭედური ხატის ნაწილი, რომელიც 2022 წლის 12 სექტემბერს აღმოაჩნდა ამ ტერიტორიაზე. 2022 წლის მაისში, მან გამოაქვეყნა ფოტოები, თუ როგორ ატარებს იგი უკანონო ღვთისმსახურებას სოფ. ანხუას წმ. გიორგის ეკლესიის ნანგრევებში, რომლის სიახლოვესაც საინფორმაციო ბანერები განათავსა, სადაც მისი თქმით წლებია მიმდინარეობს „არქეოლოგიური კვლევები"[7]. ხსენებული სასულიერო პირი წლებია უკანონოდ აწარმოებს „სარესტავრაციო" სამუშაოებს სოფ. ანხუას წმ. იოანე ნათლისმცემლის ეკლესიაშიც[8].

ცალკე აღსანიშნავია, ის საეკლესიო ქაოსი რაც საქართველოს ორივე ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიმდინარეობს. აფხაზეთის ა/რ-ს ოკუპირებულ ტერიტორიაზე ჯერ კიდევ 2013 წლიდან ერთდროულად ორი თვითმარქვია და სქიზმატური ეკლესია ფუნქციონირებს: სოხუმ-ბიჭვინთის ეპარქია სამღვდელოების „ძველი თაობის" წარმომადგენლის – ბესარიონ აპლიას ხელმძღვანელობით და მოსკოვის საპატრიარქოს პატრონაჟით, და ე.წ. „აფხაზეთის წმინდა სამიტროპოლიტო", რომლის საკათედრო ტახტი ახალი ათონის სიმონ კანანელის ტაძარია და, რომელსაც ხელმძღვანელობს „ახალი თაობის" წარმომადგენელი - დოროთეოს დბარი.

აფხაზეთის ორ, თვითმარქვია სქიზმატურ საეკლესიო დაჯგუფებებს შორის დროდადრო დაძაბულობაც იჩენს თავს, უმთავრესად „აფხაზეთის მართლმადიდებელი ეკლესიის" (მღვდელ-მონაზონი ბესარიონ აპლია) მოთხოვნის გამო, „აფხაზეთის წმინდა მიტროპოლიის" (არქიმანდრიტი დოროთეოს დბარი) წარმომადგენლებმა გაათავისუფლონ ახალი ათონის მონასტერი და მათ გადასცენ. თუმცა აშკარაა, რომ მიუხედავად ამ ორი „თაობის" მიერ გარეგნულად დეკლარირებული ვითომ განსხვავებული შეხედულებებისა, ორივე

---

[3] https://www.facebook.com/photo/?fbid=2397306083746864&set=a.114632232014272
[4] https://www.facebook.com/photo/?fbid=2822301071247361&set=a.114632232014272
[5] https://anyha.org/delegation-of-the-holy-metropolis-of-abkhazia-to-maykop/
[6] https://www.facebook.com/photo/?fbid=2866213563522778&set=a.114632232014272; https://www.facebook.com/photo?fbid=2866192346858233&set=pcb.2866192493524885
[7] https://www.facebook.com/paterdarat.dbar/videos/1436579906802912
[8] https://www.youtube.com/watch?v=TczG0EUxkp4&t=10s

სქიზმატური დაჯგუფება პირდაპირ მართულია ოკუპანტი სახელმწიფოს - რუსეთის მიერ და შესაბამისად არც ოკუპირებული ტაძრების გადანაწილებაც არ იცვლება.

2021 წლის 12 ოქტომბერს მღვდელ-მონაზონ ბესარიონ აპლიას შესთავაზა საქართველოს საპატრიარქომ მოლაპარაკებები თბილისში[9]. აღსანიშნავია, რომ ამ პიროვნების მღვდლად ხელდასხმა, 1990 წელს სწორედ საქართველოს ეკლესიის მიერ მოხდა. მიუხედავად ამისა, მღვდელ-მონაზონმა ბესარიონ აპლიამ უარი განაცხადა საქართველოს ეკლესიის შემოთავაზებაზე მოლაპარაკებების დაწყების შესახებ და ამ შემოთავაზებას „მზაკვრობა" უწოდა.[10]

## ოკუპირებული ცხინვალის რეგიონი (2020-2022 წწ.)

რელიგიის სააგენტოს მიერ მოძიებული ინფორმაციის მიხედვით, ოკუპირებულ ცხინვალის რეგიონში ბოლო სამი წლის (2020-2022 წწ.) განმავლობაში ქართული კვალის წაშლის მიზნით განხორციელდა უკანონო ე.წ. „სარესტავრაციო" სამუშაოები შემდეგ ძეგლებზე:

- **ზონკარი, ღმრთისმშობლის ეკლესია** (VIII-IX სს.) – 2019 წლამდე ნაგებობა მნიშვნელოვნად იყო დაზიანებული - ჩამოქცეული იყო კამარა, კედლები სხვადასხვა დონეზე იყო შემორჩენილი, ინტერიერში მიწის დონე იყო აწეული, მიწით იყო ამოვსებული დასავლეთ გარშემოსავლელი. 2019 წლიდან, იქ მცხოვრებმა მოსახლეობამ, კერძოდ ვალიევების ოჯახმა თვითნებურად დაიწყო ეკლესიაში სამშენებლო სამუშაოები.
- **წორბისი, სასაფლაოს ეკლესია** (VIII-IX სს.) – ეკლესიას დღეს თედეევების ეკლესიის სახელით მოიხსენებენ. ნაგებობა ძირეულად შეცვლილია, დაკარგული აქვს იერსახე და არა საეკლესიო, არამედ სამეურნეო დანიშნულების ნაგებობას ჰგავს. ეკლესია გარედან მოპირკეთდა ნატეხი ქვით (რაც იმ რეგიონის ხუროთმოძღვრებისთვის არაა დამახასიათებელი), გაილესა ინტერიერი და დაიფარა ინტერიერის ქვის წყობა, ტრომპები და სხვადასხვა არქიტექტურული ფორმები, რაც ნაგებობის მხატვრულ სახეს ქმნიდა და რეგიონალურ მახასიათებელს წარმოადგენდა. ეკლესიის ტერიტორიაზე აღმოჩენილია ორი კანკელის ფილა ასომთავრულით შესრულებული წარწერებით. ფილები ამჟამად დაამაგრეს კანკელის ადგილას, თუმცა ჩასვეს ქვის მოჩარჩოებაში, რაც აზიანებს აღნიშნული კანკელის ძველ ფილებს. ეკლესიის სამხრეთით იდგა კოშკი, რომელიც იატაკის დონემდე დაანგრიეს და სრულიად ახალი ააშენეს. დაზიანებულია გალავანი, რომელიც ეკლესიასა და კოშკს გარშემო უვლიდა.
- **გერი, წმ. გიორგის ეკლესია** (გვიანი შუა საუკუნეები) – 2020 წელს ეკლესია გადაიხურა ახალი სახურავით. სამუშაოები განახორციელეს ხელოსნებმა, რომელთაც არ ჰქონდათ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე მუშაობის გამოცდილება.

[9] https://www.ekhokavkaza.com/a/31520942.html; https://civil.ge/ka/archives/449418
[10] https://www.radiotavisupleba.ge/a/31524142.html; https://www.radiotavisupleba.ge/a/31525025.html

- **რუსთავი, წმ. მთავარანგელოზთა ეკლესია** (გვიანი შუა საუკუნეები) – წინა წლებში ეკლესიაში განხორციელებული სამუშაოების შედეგად ნაგებობას სრულიად შეეცვალა იერსახე - ფასადი მოპირკეთდა სხვადასხვა ზომის ქვებით, გაილესა ინტერიერი.
- **ვანათი, მაცხოვრის ეკლესია** (VIII ს.) – ეკლესია დაზიანებულია, თუმცა სრული სახით იდგა 2021 წლამდე. ამჟამად ეკლესია სრულად სახეცვლილია და დაკარგული აქვს ავთენტურობა - შელესილია, როგორც ინტერიერი, ისე ფასადი. ეკლესიას დღეს დმენისის მაცხოვრის ეკლესიის სახელით იხსენიებენ.
- **არმაზი, წმ. გიორგის ეკლესია** (826 წ.) – 2020 წელს ეკლესიას დაეცა ხის ტოტი, რომელმაც დააზიანა ნაგებობის თუნუქის სახურავის ჩრდილო-დასავლეთი მონაკვეთი, რის გამოც მის ინტერიერში ჩადიოდა წყალი. იკოთის დედათა მონასტრის მონაზვნებმა საკუთარი ძალებით მოახერხეს და დარღვეული თუნუქი დაფარეს ახალი თუნუქის ფილებით.

ოკუპირებული ცხინვალის რეგიონში, ახალგორის რაიონის ტერიტორიაზე ერთადერთ მოქმედ იკოთის ქართულ დედათა მონასტერში ამჟამად, წინა წლების მსგავსად, იმყოფება სამი მონაზონი, რომელთაც საოკუპაციო ხაზის გადალახვის უფლება არ აქვთ. ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების გამო, ცხინვალის რეგიონში მოღვაწე ერთადერთ მღვდელ ანტონს (ჩაკვეტაძე), 2022 წელს გამონაკლისის სახით სამედიცინო კვლევები ჩაუტარდა საოკუპაციო ხაზთან ქართული მხარის მიერ გაგზავნილ მოძრავ ამბულატორიაში და ერთჯერადად მიეცა უფლება თვალზე სასწრაფო ოპერაცია გაეკეთებინა საქართველოს ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე. მამა ანტონი ამჟამად ოკუპირებული ცხინვალის რეგიონშია და ისევ ელოდება ახალ საშვს. ზოგადად აღსანიშნავია, რომ ეროვნებით ქართველ სასულიერო პირებს, მათ შორის ეპარქიის მმართველ მეუფე ისაიას და სხვებს საშვები ისევ არ მიუღიათ და არ ეძლევათ საშუალება გადავიდნენ ცხინვალის ოკუპირებულ ტერიტორიაზე.

ნიქოზისა და ცხინვალის ეპარქიის მიტროპოლიტ ისაიას ოთხი წელია ეპარქიის ტერიტორიაზე შესვლის უფლება არა აქვს. ოკუპირებულ ტერიტორიაზე მყოფი ხსენებული სასულიერო პირები ცხოვრობენ უკიდურესად მძიმე პირობებში. მათ შეზღუდული აქვთ სამედიცინო მომსახურებაზე წვდომა და ოკუპირებული ტერიტორიიდან საქართველოს ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე გადმოსვლის უფლება.

## საქართველოში არსებული რელიგიური უმცირესობების საკულტო ნაგებობები ოკუპირებულ ტერიტორიებზე

საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებობს რამდენიმე რელიგიური თემის, კერძოდ მუსლიმური, სომხური სამოციქულო, კათოლიკური, ლუთერული და ებრაული თემების საკულტო ნაგებობები.

**მუსლიმური თემი:** მეჩეთები ქ. სოხუმსა (XX ს.) და ქ. გუდაუთაში (XIX – XX სს.).

**ებრაული თემი:** სინაგოგა ქ. სოხუმში (XX ს.) - საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი. სინაგოგა ქ. ცხინვალში (XX ს.) – თითქმის სრულად განადგურდა 2008 წლის რუსეთის მიერ საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული აგრესიის დროს.

**სომხური თემი**: წმინდა მხსნელის ტაძარი (სურბ ამენაფკრიჩ - 2013 წ.) ქ. გაგრაში.

**კათოლიკური თემი:** წმ. სვიმონ კანანელის კათოლიკური ტაძარი (1908 წ.) ქ. სოხუმში.

**ლუთერული თემი:** იოანე მოციქულის ლუთერული ეკლესია (XX ს.) - ქ. სოხუმში.

კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ორი განუყოფელი რეგიონი, აფხაზეთის ა/რ და ცხინვალის რეგიონი ოკუპირებულია რუსეთის ფედერაციის მიერ, საქართველოს ხელისუფლება ახორციელებს რა დემოკრატიულ და ადამიანის უფლებებზე დაყრდნობილ პოლიტიკას, ხელს უწყობს საქართველოში მოღვაწე სხვადასხვა რელიგიის: კათოლიკური, ლუთერული, სომხური სამოციქულო ეკლესიების სასულიერო პირებს, ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ კანონის დაცვით გადავიდნენ აფხაზეთში, შეხვდნენ საკუთარ მრევლს და რელიგიური მსახურება აღასრულონ.

შესაბამისად, ის ფაქტი, რომ რუსეთის ფედერაცია, როგორც ოკუპანტი ქვეყანა, რომელიც ახორციელებს ოკუპირებულ ტერიტორიებზე ეფექტურ კონტროლს და მისი მარიონეტი სეპარატისტული რეჟიმები, რელიგიურ და ეთნიკურ დისკრიმინაციას და სეგრეგაციას ეწევიან მხოლოდ ეთნიკურად ქართველი და აღმსარებლობით მართლმადიდებელი მოსახლეობისა და სასულიერო პირებისადმი, ანადგურებენ და იერსახეს უცვლიან ქართულ მართლმადიდებლურ ტაძრებსა და მონასტრებს, ოკუპირებულ ტერიტორიებზე განზრახ შექმნილი სქიზმატური დაჯგუფებების მიერ იწვევენ საეკლესიო ქაოსს, კიდევ ერთი დასტურია მიზანმიმართული დისკრიმინაციული პოლიტიკისა, რაც მიმართულია საქართველოს ოკუპირებულ ძირძველ ქართულ მიწებზე ქართული რელიგიურ-კულტურული კვალის წასაშლელად და საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ისტორიული რეალობის შესაცვლელად.

რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო

**2020 წლის ანგარიში**

სარჩევი:


**1. ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმა 2018-2020 წწ.** ............... 18

1.1. ტრენინგები სასულიერო პირებისათვის ............................................................................ 18

**2. საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება რელიგიური შემწყნარებლობის მიმართულებით** ............................................................................................................ 18

2.1. ყოველწლიური გამოცემის „ინტერრელიგიური კალენდრის" ორი ვერსიის პრეზენტაცია და კალენდარი ბრაილის შრიფტით ........................................................ 18

2.2. პუბლიკაციები ........................................................................................................ 19

2.3. ტოლერანტობის საერთაშორისო დღე ...................................................................... 19

2.4. 2018-2019 წლების ანგარიშისა და ფოტოალბომის „რწმენა თავისუფლების აქტია" პრეზენტაცია ........................................................................................................ 20

2.5. წიგნის „რელიგიის თავისუფლება საქართველოსა და საერთაშორისო კანონმდებლობით" პრეზენტაცია ....................................................................................... 21

2.6. ბიბლიის წიგნის „დაბადების" ბრაილის შრიფტით გამოცემის პრეზენტაცია ........................................................................................................ 21

**3. გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის 30 წლისთავისადმი მიძღვნილი საგანგებო კონფერენცია** ........................................................................................................ 22

**4. სახელმწიფოს ურთიერთობა რელიგიურ ორგანიზაციებთან** ......................................... 22

**5. რელიგიურ უმცირესობებთან ურთიერთობა და საქველმოქმედო აქციები** .................. 24

**6. რელიგიური ორგანიზაციების დაფინანსება საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის დროს მიყენებული ზიანის ანაზღაურების ფარგლებში** .................................................. 25

**7. რელიგიურ გაერთიანებათა ქონებრივი და ფინანსური საკითხების შემსწავლელი სარეკომენდაციო კომისია** ........................................................................................ 26

7.1. სარეკომენდაციო კომისიის სხდომები ................................................................... 26

**8. პროექტი „სახელმწიფო ენა სასულიერო პირებისთვის"** .................................................. 29

**9. სხვადასხვა შეხვედრები** ........................................................................................ 29

**10. შეხვედრები დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებთან** ..................................... 30

11. მედიასთან ურთიერთობა ........................................................................................................31

12. დანართი - ადმინისტრაციული ანგარიში 2020 წ. ............................................................... 32

13. ინფორმაცია ფინანსური მდგომარეობის შესახებ 2020 წ. ................................................. 33

14. ინფორმაცია მივლინების შესახებ ........................................................................................... 34

15. რელიგიური გაერთიანებების (კონფესიების) დაფინანსება 2020 წ. ................................. 37

16. კორესპონდენცია 2020 წ. ............................................................................................................. 37

# ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმა 2018-2020 წწ.

სახელმწიფო ხელმძღვანელობს „ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგიით“ და ამ სტრატეგიის შესაბამისი, წლების მიხედვით გაწერილი, „ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმით“. 2018-2020 წწ. სამოქმედო გეგმის ფარგლებში, სააგენტო სისტემატურად ატარებდა ღონისძიებებს ტოლერანტობისა და არადისკრიმინაციული გარემოს მხარდასაჭერად. ასევე, რელიგიისა და რწმენის თავისუფლების უზრუნველსაყოფად, საერთაშორისო და ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებული სტანდარტების შესაბამისად.

### ტრენინგები სასულიერო პირებისათვის

რელიგიის თავისუფლების და ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების კუთხით რელიგიური გაერთიანებების წარმომადგენლების (სასულიერო პირების) ცნობიერების ამაღლების, ასევე, რელიგიური შემწყნარებლობისა და ტოლერანტობის კულტურის გაძლიერების მიზნით (პუნქტი 18.1.3.2.) 2020 წლის 21 იანვარს რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტომ და გაეროს ბავშვთა ფონდმა, ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში, საქართველოს მუსლიმთა სამმართველოს ეგიდით, ჩაატარა ტრენინგი ქ. მარნეულში, რომელსაც დაესწრო აღმოსავლეთ საქართველოს მუფთი და 30-ზე მეტი სასულიერო პირი, როგორც შიიტური ასევე სუნიტური მიმდინარეობიდან. ტრენინგი ეხებოდა რელიგიის და რწმენის თავისუფლების, ბავშვთა უფლებათა კონვენციისა და ბავშვის უფლებათა კოდექსის ძირითადი დებულებების განხილვას. სემინარზე, ასევე განიხილეს სასულიერო პირების და რელიგიურ-ჰუმანიტარული ორგანიზაციების გამოცდილება და როლი ბავშვთა უფლებების მხარდაჭერის საქმეში.

პანდემიის დასრულების შემდეგ დაიგეგმა აღნიშნული ერთობლივი ტრენინგების სერიის გაგრძელება რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს ინტერრელიგიურ სათათბიროში შემავალი ყველა რელიგიური ორგანიზაციისათვის.

### საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება რელიგიური შემწყნარებლობის მიმართულებით

### ყოველწლიური გამოცემის „ინტერრელიგიური კალენდრის” ორი ვერსიის პრეზენტაცია და კალენდარი ბრაილის შრიფტით

2020 წელს ტრადიციულად გამოიცა ყოველწლიური ინტერრელიგიური კალენდარი, სადაც ერთი კალენდრის ფორმატში თავმოყრილია სხვადასხვა რელიგიური თემის დღესასწაულები. ასევე გამოიცა ინტერრელიგიური კალენდარი ბრაილის შრიფტით უსინათლოთათვის, რომლის პრეზენტაცია გაიმართა საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში 2020 წლის 17

იანვარს. ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს უსინათლო და მხედველობა დაქვეითებულთა 202-ე საჯარო სკოლის ხელმძღვანელობამ და პედაგოგებმა.

შეგახსენებთ, რომ ინტერრელიგიური კალენდარი აერთიანებს საქართველოში მოქმედი ყველა ძირითადი რელიგიური თემის (სულ თერთმეტი) - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური ეკლესიის, ებრაული, კათოლიკე, მუსლიმი, სომეხთა სამოციქულო, სულიერ ქრისტიანთა-მოლოკანი, ეზიდი, ევანგელურ-ლუთერული, ევანგელურ-ბაპტისტური, ევანგელურ-პროტესტანტული თემებისა და სახარების რწმენის ეკლესიის რელიგიურ დღესასწაულებს.

**პუბლიკაციები**

ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმით (2018-2020 წწ.) გათვალისწინებული ვალდებულების ფარგლებში, რელიგიის სააგენტომ დაიწყო ახალი პროექტების განხორციელება, რომელიც ერთგვარი გაგრძელება და სრულყოფაა აქამდე შემუშავებული პროექტებისა. ეს პროექტებია: „ოკუპირებული მემკვიდრეობა“ და „თბილისში მოქმედი საკულტო ნაგებობები 2020 წლის მდგომარეობით“.

ფოტოალბომი „ოკუპირებული მემკვიდრეობა“ ასახავს საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე - აფხაზეთის ა/რ-ში და ცხინვალის რეგიონში რუსეთის მიერ ოკუპაციისა და ანექსიის შედეგებს. ფოტოალბომში წარმოდგენილი ფოტომასალა აღბეჭდავს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული საკულტო ნაგებობების სავალალო მდგომარეობას. ახალი ფოტო-ფაქტები ქვეყნდება საარქივო ფოტოებთან ერთად, რაც შედარებისა და ობიექტური დასკვნების გამოტანის საშუალებას იძლევა.

მეორე პუბლიკაცია არის, „თბილისში მოქმედი საკულტო ნაგებობები 2020 წლის მდგომარეობით“, რომელიც გულისხმობს საქართველოს დედაქალაქ თბილისში მოქმედი სხვადასხვა რელიგიური ორგანიზაციის საკულტო ნაგებობების სრული ფოტოალბომის გამოცემას. ფოტოალბომზე მუშაობა სააგენტომ დაასრულა 2020 წელს, ხოლო მისი პუბლიკაცია და პრეზენტაცია დაიგეგმა 2021 წელს.

**ტოლერანტობის საერთაშორისო დღე**

ტოლერანტობის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტომ დაამკვიდრა ტრადიცია, რომლის თანახმადაც, საქართველოში არსებული ერთ-ერთი რელიგიური თემი სხვა რელიგიური ორგანიზაციების ლიდერებსა და მრევლს მასპინძლობს.

- 2016 წლის 16 ნოემბერს, რელიგიურ თემებს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია მასპინძლობდა;

- 2017 წლის 16 ნოემბერს, მასპინძელი ქართველ ებრაელთა თემი იყო – მიღება დავით ბააზოვის სახელობის საქართველოს ებრაელთა და ქართულ-ებრაულ ურთიერთობათა ისტორიის მუზეუმში შედგა;
- 2018 წლის 16 ნოემბერს, რელიგიურ ორგანიზაციებს ლათინ კათოლიკეთა ადმინისტრაციამ უმასპინძლა;
- 2019 წლის 16 ნოემბერს რელიგიური ორგანიზაციების წარმომადგენლებს სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველომ უმასპინძლა.

2020 წელს ტოლერანტობის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, საქართველოს ბაპტისტური ეკლესიების კავშირმა საქართველოს რელიგიური ორგანიზაციებისთვის ღონისძიება გამართა, რომელსაც ესწრებოდნენ: საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის, სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველოს, ებრაელთა კავშირის, სომეხთა სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის საქართველოს ეპარქიის, ლათინ კათოლიკეთა კავკასიის სამოციქულო ადმინისტრაციის, ევანგელურ-ლუთერული, ევანგელურ-პროტესტანტული, თბილისის საერთაშორისო ბაპტისტური ეკლესიების წარმომადგენლები.

ტოლერანტობის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებული ტრადიციული შეხვედრები, რელიგიური შემწყნარებლობის ქართული კულტურის გამოვლინებად იქცა.

**2018-2019 წლების ანგარიშისა და ფოტოალბომის „რწმენა თავისუფლების აქტია“ პრეზენტაცია**

2020 წლის 26 თებერვალს, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტომ 2018-2019 წლების ანგარიშისა და ფოტოალბომის „რწმენა თავისუფლების აქტია“ პრეზენტაცია გამართა.

პრეზენტაციაზე მოწვეულნი იყვნენ: საქართველოში არსებული რელიგიური ორგანიზაციების - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის, სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველოს, სომეხთა სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის საქართველოს ეპარქიის, საქართველოს ებრაელთა კავშირის, ლათინ კათოლიკეთა კავკასიის სამოციქულო ადმინისტრაციის, საქართველოს ევანგელურ-ლუთერული, ევანგელურ-პროტესტანტული, თბილისის საერთაშორისო ბაპტისტური ეკლესიების, საქართველოს ბაპტისტური ეკლესიების კავშირის, საქართველოს სახარების რწმენის ეკლესიის, ეზიდთა სასულიერო საბჭოს რელიგიური ლიდერები და ასევე საქართველოს პარლამენტის, მთავრობის, საერთაშორისო ორგანიზაციების, დიპლომატიური კორპუსისა და მედიის წარმომადგენლები.

**წიგნის „რელიგიის თავისუფლება საქართველოსა და საერთაშორისო კანონმდებლობით“ პრეზენტაცია**

2020 წლის 14 ივლისს, სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს ეროვნულ მუზეუმში გაიმართა რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს ახალი გამოცემის, „რელიგიის თავისუფლება საქართველოსა და საერთაშორისო კანონმდებლობით“ პრეზენტაცია.

აღნიშნულ წიგნში პირველადაა თავმოყრილი სინდისისა და რელიგიის თავისუფლების საკითხებზე არსებული ყველა ძირითადი ქართული თუ საერთაშორისო საკანონმდებლო აქტი, სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების, გაეროს, ევროსაბჭოს, ეუთოს, ვენეციის კომისიისა და ოსლოს კოალიციის დოკუმენტები რელიგიის თავისუფლების შესახებ. ასევე, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ განხილული საქმეები და გადაწყვეტილებები რელიგიის თავისუფლების შესახებ. წიგნში მოცემულია სხვადასხვა ქვეყნების, მათ შორის, ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების კანონმდებლობა.

პრეზენტაციაზე მოწვეულნი იყვნენ საქართველოს ხელისუფლების, სხვადასხვა რელიგიური ორგანიზაციების, სასამართლო ხელისუფლებისა და აკადემიური წრეების წარმომადგენლები.

**ბიბლიის წიგნის „დაბადების“ ბრაილის შრიფტით გამოცემის პრეზენტაცია**

ბრაილის შრიფტით ბიბლიის ბეჭდვის იდეა 2019 წელს გაჩნდა. მას შემდეგ სააგენტო ახორციელებს სოციალურ პროექტს და ბრაილის შრიფტით ბეჭდავს ინტერრელიგიურ კალენდარს, რომელიც სრულად აკმაყოფილებს მომხმარებელთა მოთხოვნილებას. შემდგომ სააგენტომ გააჟღერა ბრაილის შრიფტით ბიბლიის პირველი წიგნის გამოცემის ინიციატივა. „დაბადება“ ბიბლიის პირველი კანონიკური წიგნია, რომელიც სამყაროს შექმნისა და კაცობრიობის უძველესი ისტორიის შესახებ მოგვითხრობს. აღსანიშნავია, რომ ჩატარებული გამოკითხვის თანახმად, უსინათლო და მხედველობა დაქვეითებულმა ბავშვებმა სწორედ ბიბლიის ბრაილის შრიფტით დაბეჭდვის სურვილი გამოთქვეს.

2020 წლის 9 ივნისს, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტომ დაბეჭდა ძველი აღთქმის პირველი წიგნი „დაბადება“ და მოაწყო მისი პრეზენტაცია უსინათლო და მხედველობა დაქვეითებულ მოსწავლეთა თბილისის 202-ე საჯარო სკოლაში. პრეზენტაციას საქართველოში არსებული რელიგიური ორგანიზაციების ლიდერები, საქართველოს უსინათლოთა კავშირის წარმომადგენლები, თბილისის 202-ე საჯარო სკოლის პერსონალი და რელიგიის სააგენტოს თანამშრომლები ესწრებოდნენ.

ამ სოციალური პროექტით რელიგიის სააგენტო მიზნად ისახავს შშმ პირთა მიმართ საზოგადოების მგრძნობელობის ამაღლებას.

## გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის 30 წლისთავისადმი მიძღვნილი საგანგებო კონფერენცია

2020 წლის 3 თებერვალს, საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოსა და გაეროს ბავშვთა ფონდის ორგანიზებით, გაიმართა გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის 30 წლისთავისადმი მიძღვნილი საგანგებო კონფერენცია. ღონისძიებას ესწრებოდნენ: საქართველოში არსებული რელიგიური ორგანიზაციების, პარლამენტისა და მთავრობის, საერთაშორისო ორგანიზაციების, დიპლომატიური კორპუსის, სამოქალაქო საზოგადოებისა და მედიის წარმომადგენლები.

კონფერენციის მთავარი თემები იყო: გაეროს „ბავშვის უფლებათა კონვენცია“, საქართველოს „ბავშვის უფლებათა კოდექსი“, ბავშვის უფლებები სხვადასხვა რელიგიაში და რელიგიური ლიდერების როლი მათი დაცვისა და ხელშეწყობის საკითხში.  განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები ბავშვების უფლებებს, რომელთაც აკრძალული აქვთ მშობლიურ ენაზე განათლების მიღება, გაუმართავია სამედიცინო სერვისების სისტემა, ინფრასტრუქტურა და შესაბამისად პრობლემურია სამედიცინო სერვისების მიწოდება. ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემას კი ბავშვთა სიღარიბე წარმოადგენს, რაც უარყოფითად აისახება მათ ჯანმრთელობასა და განვითარებაზე.

დისკუსიაში კიდევ ერთხელ გამოიკვეთა რელიგიური ლიდერების მნიშვნელოვანი როლი ბავშვის უფლებების დაცვის საკითხებში და მათი შესაძლებლობები ბავშვის უფლებების პოპულარიზაციის, ბავშვის კეთილდღეობისა და განვითარების საქმეში. ამ კუთხით რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოსა და გაეროს ბავშვთა ფონდის თანამშრომლობა კიდევ უფრო გაიზრდება.

## სახელმწიფოს ურთიერთობა რელიგიურ ორგანიზაციებთან

უნდა აღვნიშნოთ, რომ 2020 წლის პანდემიის პერიოდში, საქართველოს ხელისუფლება პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით და რელიგიის სააგენტოს აქტიური ჩართულობით, თანამშრომლობდა საქართველოში მოქმედ რელიგიურ ორგანიზაციებთან.  როგორც 2020 წლის გაზაფხულზე პანდემიის დაწყებისას, ასევე კორონა ვირუსის პანდემიის მეორე ტალღის პერიოდში, სახელმწიფომ უზრუნველყო, რომ რელიგიურ ორგანიზაციებს მიცემოდათ საშუალება ყოველგვარი წესების დაცვით შეუფერხებლად  აღესრულებინათ თავიანთი მსახურება და ასევე ყველა მორწმუნის ჯანმრთელობა ყოფილიყო მაქსიმალურად დაცული. შესაბამისად, მთელი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა საკულტო ნაგებობების მასობრივი დეზინფექცია, ღვთისმსახურებები ტარდებოდა რეკომენდირებული სოციალური დისტანციის მაქსიმალური დაცვით და მრევლი ატარებდა პირბადეებს. ღვთისმსახურები საკუთარ მრევლს აწვდიდნენ ინფორმაციას ვირუსის გავრცელების საწინააღმდეგოდ გასატარებელი აუცილებელი წესების შესახებ, როგორც საკულტო ნაგებობებში ყოფნის დროს, ასევე შენობის გარეთ.

პანდემიის პერიოდში შესაძლებლობის ფარგლებში შენარჩუნდა ტრადიციული წესი, როდესაც საქართველოს მთავრობა პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით ესწრება საქართველოში მოღვაწე ისტორიული რელიგიების უმთავრეს დღესასწაულებს, მათ შორის - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის უდიდეს დღესასწაულებს.

2020 წლის 9 აგვისტოს, საქართველოს პრემიერ-მინისტრი დაესწრო ახალციხეში შალვა ახალციხელის სახელობის ახლად აშენებული საკათედრო ტაძრის გახსნას, რომელსაც ასევე ესწრებოდნენ პარლამენტის, მთავრობისა და რელიგიის სააგენტოს წარმომადგენლები.

2020 წელს საქართველოს პრემიერ-მინისტრი დაესწრო სვეტიცხოვლობის დიდ დღესასწაულს მცხეთაში.

საქართველოს ხელისუფლება ყოველწლიურად ესწრება მუსლიმი თემის დიდ დღესასწაულებს და ბოლო წლებში დამკვიდრებული ტრადიციის თანახმად, საქართველოს მთავრობის მეთაური, მუსლიმების წმინდა რამადანის (მარხვის თვის) პერიოდში, მისი სახელით გამართულ ვახშამზე, იფტარზე მუსლიმი თემის სასულიერო ლიდერებს მასპინძლობს.

2020 წლის შეხვედრის ფორმატი კი, კოვიდ-19-ის პანდემიის გამო, რასაკვირველია, განსხვავებული იყო. საქართველოს პრემიერ-მინისტრი მუსლიმი თემის წარმომადგენლებს საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში შეხვდა 26 მაისს და წმინდა თვის დასასრული რამადან-ბაირამი (იდ ალ-ფიტრი) მიულოცა. ასევე, 2020 წლის 31 ივლისს საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში პრემიერ-მინისტრმა მუსლიმი თემის წარმომადგენლებს უმასპინძლა და ყურბან-ბაირამი (იდ ალ-ადჰა) ანუ მსხვერპლთშეწირვის დღესასწაული მიულოცა.

ტრადიციულად, საქართველოს პრეზიდენტი და პრემიერ-მინისტრი ებრაელთა თემის ხანუქას დღესასწაულზე, სინაგოგაში, სიმბოლურად, პირველ და მერვე სანთელს ანთებენ.

2020 წლის 6 თებერვალს, საქართველოში პანდემიის აქტიურ დაწყებამდე საქართველოს პრეზიდენტის სასახლეში, პრეზიდენტი შეხვდა რელიგიური კონფესიებისა და რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს წარმომადგენლებს. შეხვედრაში მონაწილეობდნენ: რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოსთან არსებული ინტერრელიგიური სათათბიროს წევრები და რელიგიის სააგენტოს წარმომადგენლები. შეხვედრისას პრეზიდენტმა განსაკუთრებულად გაუსვა ხაზი ტოლერანტობის კულტურას საქართველოში და განაცხადა, რომ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ერთიანობას, რათა წარმატებით ვუპასუხოთ ქვეყნის წინაშე მდგარ ახალ გამოწვევებს.

აღსანიშნავია, რომ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო რეგულარულად ხვდება სხვადასხვა რელიგიური ორგანიზაციების ლიდერებს და ესწრება მათ წლიურ ანგარიშებს,

საქველმოქმედო აქციებს, კონფერენციებს, განიხილავს მათგან შემოსულ მიმართვებსა და განცხადებებს და ეხმარება მათ საჭიროებების მიხედვით.

## რელიგიურ უმცირესობებთან ურთიერთობა და საქველმოქმედო აქციები

სააგენტო მჭიდროდ თანამშრომლობს სხვადასხვა რელიგიურ გაერთიანებებთან საქართველოს რეგიონებში კომპაქტურად მცხოვრები რელიგიური უმცირესობების საჭიროებების მოსაგვარებლად. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ რელიგიის სააგენტოს გადაწყვეტილებით, ევანგელურ-პროტესტანტულ ეკლესიას თბილისში პირველი ეკლესიის ასაშენებლად ტერიტორია გამოეყოთ.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ პანდემიის პერიოდში, რელიგიის სააგენტომ, საქართველოს საპატრიარქოს, საქართველოს ბაპტისტური ეკლესიების კავშირის მხარდაჭერით საქველმოქმედო აქციების სერია 2020 წელსაც გააგრძელა. კერძოდ, აქციები ჩატარდა:

2020 წლის 15 იანვარს, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტომ და თბილისის საერთაშორისო ბაპტისტურმა ეკლესიამ, ერთობლივი საქველმოქმედო აქცია გამართეს თბილისის 202-ე საჯარო სკოლაში. სკოლის აღსაზრდელებს - უსინათლო და შეზღუდული შესაძლებლობის 50-ვე მოსწავლეს საახალწლო საჩუქრები და სააგენტოს მიერ ბრაილის შრიფტით გამოცემული ყოველწლიური ინტერრელიგიური კალენდრები გადასცეს.

2020 წლის 30 ივნისს, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოსა და საქართველოს ბაპტისტური ეკლესიების კავშირის წარმომადგენლები მარტვილის რაიონის სოფელ სალხინოს ამბროსი ხელაიას სახელობის სკოლას ესტუმრნენ და სასწავლებლის მოსწავლეებს ჰუმანიტარული დახმარება: 50 ფუთა ტანსაცმელი და სასწავლო ნივთების 80 ყუთი გადასცეს. პანსიონი ჭყონდიდის ეპარქიის მიტროპოლიტ გრიგოლის (კაცია) პატრონაჟით ფუნქციონირებს, სადაც დღეს 170 ბავშვი სწავლობს. მისი მოსწავლეების უმრავლესობა სოციალურად დაუცველია. რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტომ უკვე მესამედ განახორციელა აღნიშნული ქველმოქმედება ხელაიას სახელობის სკოლა-პანსიონში.

2020 წლის 10 ივლისს, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს წარმომადგენლები მცხეთის რაიონში, ძეგვის ბავშვთა სახლს ეწვივნენ და იქ მცხოვრებ მზრუნველობა მოკლებულ ბავშვებს ჰუმანიტარული დახმარება - ტანსაცმელი, საკანცელარიო ნივთები და სხვა საჩუქრები გადასცეს.

2020 წლის 8 ოქტომბერს, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტომ და საქართველოს ბაპტისტური ეკლესიების კავშირმა, ერთობლივი საქველმოქმედო აქციის ფარგლებში ჰუმანიტარული დახმარება, 30 ფუთა თბილი ტანსაცმელი, გადასცეს საერთაშორისო ჰუმანიტარული კავშირის „კათარზისი“ ბენეფიციარებს, სადაც 450-მდე სოციალურად დაუცველი ხანდაზმული ადამიანია გაწევრიანებული.

2020 წლის 17 ოქტომბერს, სურამის სოციალური თერაპიის სახლს „ანთილიოსი“ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოსა და ბაპტისტური ეკლესიების კავშირის წარმომადგენლები ეწვივნენ. მათ სახლის ბენეფიციარებს 20 ფუთა თბილი ტანსაცმელი და შშმ პირისათვის განკუთვნილი სავარძელი გადასცეს.

2020 წლის 19 ოქტომბერს, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს ინიციატივით, ბაპტისტური ეკლესიების კავშირის წარმომადგენლებმა მართლმადიდებელი ეკლესიის ჭიათურისა და საჩხერის ეპარქიაში, სოფელ საირხის წმინდა ნინოს სახელობის გიმნაზიის მოსწავლეებსა და მასწავლებლებს 30 ფუთა თბილი ტანისამოსი გადასცეს.

2020 წლის 17 დეკემბერს, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტომ და საქართველოს ბაპტისტური ეკლესიების კავშირმა მორიგი ერთობლივი საქველმოქმედო აქცია გამართეს. ჰუმანიტარული დახმარება - 50 ფუთა ტანსაცმელი და სხვა საყოფაცხოვრებო საჭიროების ნივთები სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს მარტყოფის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა პანსიონატს გადაეცათ.

რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს მხარდაჭერით დახმარება გაეწია საქართველოში არსებულ როგორც უმრავლესობის, ასევე უმცირესობების წარმომადგენლებს.

## რელიგიური ორგანიზაციების დაფინანსება საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის დროს მიყენებული ზიანის ანაზღაურების ფარგლებში

რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტომ 2020 წლის 20 იანვრის N1/216 რეკომენდაციით, რელიგიურ გაერთიანებებს, საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის დროს მიყენებული ზიანის ნაწილობრივი ანაზღაურების უზრუნველყოფის მიზნით, 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული 4 500 000 (ოთხი მილიონ ხუთასი ათასი) ლარი გაუნაწილა შემდეგი ოდენობებით: საქართველოს ისლამურ თემს - 2 200 000 (ორი მილიონ ორასი ათასი) ლარი; საქართველოს სომეხთა სამოციქულო თემს - 600 000 (ექვსასი ათასი) ლარი; საქართველოს რომაულ-კათოლიკეთა თემს - 400 000 (ოთხასი ათასი) ლარი და საქართველოს იუდეურ თემს - 300 000 (სამასი ათასი) ლარი.

რელიგიურ გაერთიანებებთან კონსულტაციის, ფაქტობრივი გარემოებებისა და ობიექტური მაჩვენებლების (მრევლის რაოდენობა, სასულიერო პირების რაოდენობა და საკულტო შენობა-ნაგებობების რაოდენობა) გათვალისწინებით, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტომ, 2020 წლის 28 სექტემბრის N1/874 რეკომენდაციით, 2020 წლისთვის დარჩენილი 1 000 000 (ერთი მილიონი) ლარი გადაანაწილა არადისკრიმინაციული და სამართლიანი პროპორციულობით, შემდეგი ოდენობით: საქართველოს ისლამური თემი - 550 000 (ხუთას ორმოცდაათი ათასი) ლარი; საქართველოს სომეხთა სამოციქულო თემი - 200 000 (ორასი ათასი) ლარი; საქართველოს რომაულ-კათოლიკეთა თემი - 150 000 (ას ორმოცდაათი ათასი) ლარი და საქართველოს იუდეური თემი - 100 000 (ასი ათასი) ლარი.

სულ, 2020 წლის განმავლობაში, რელიგიურ ორგანიზაციებზე ბიუჯეტით განსაზღვრული თანხები ასე გადანაწილდა: საქართველოს ისლამურ თემს - 2 750 000 (ორი მილიონ შვიდას ორმოცდაათი ათასი) ლარი; საქართველოს სომეხთა სამოციქულო თემს - 800 000 (რვაასი ათასი) ლარი; საქართველოს რომაულ-კათოლიკეთა თემს - 550 000 (ხუთას ორმოცდაათი ათასი) ლარი; საქართველოს იუდეურ თემს - 400 000 (ოთხასი ათასი) ლარი.

ამას გარდა, რელიგიური გაერთიანებები ღებულობენ ფინანსურ და ქონებრივ დახმარებას ადგილობრივი ბიუჯეტებიდან, მათ თემში არსებული რელიგიური საჭიროებების დაკმაყოფილების მიზნით.

## რელიგიურ გაერთიანებათა ქონებრივი და ფინანსური საკითხების შემსწავლელი სარეკომენდაციო კომისია

### სარეკომენდაციო კომისიის სხდომები

2020 წელს, რელიგიურ გაერთიანებათა ქონებრივი და ფინანსური საკითხების შემსწავლელი კომისიის 6 სხდომა გაიმართა. ჯამში, კომისიამ განიხილა 232 საკითხი, აქედან:

| რელიგიური თემი | შუამდგომლობა | დაკმაყოფილდა | ხარვეზი | უარი |
|---|---|---|---|---|
| მართლმადიდებელი ეკლესია | 219 | 147 | 10 | 62 |
| მუსლიმი თემი | 6 | 4 | 0 | 2 |
| სომეხთა სამოციქულო ეკლესია | 3 | 3 | 0 | 0 |
| ევანგელურ-პროტესტანტული ეკლესია | 1 | 1 | 0 | 0 |
| იუდეური თემი | 2 | 2 | 0 | 0 |
| ეზიდური თემი | 1 | 0 | 0 | 1 |

**2020 წლის 11 მარტი - I სხდომა**

| რელიგიური თემი | შუამდგომლობა | დაკმაყოფილდა | ხარვეზი | უარი |
|---|---|---|---|---|
| საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესია | 61 | 46 | 2 | 13 |

**2020 წლის 12 ივნისი - II სხდომა**

| რელიგიური თემი | შუამდგომლობა | დაკმაყოფილდა | ხარვეზი | უარი |
|---|---|---|---|---|
| საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესია | 53 | 27 | 4 | 22 |
| მუსლიმი თემი | 1 | 1 | | |
| იეზიდური თემი | 1 | | | 1 |

**2020 წლის 17 ივლისი - III სხდომა**

| რელიგიური თემი | შუამდგომლობა | დაკმაყოფილდა | ხარვეზი | უარი |
|---|---|---|---|---|
| საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესია | 53 | 33 | 3 | 17 |

### 2020 წლის 28 სექტემბერი - IV სხდომა

| რელიგიური თემი | შუამდგომლობა | დაკმაყოფილდა | ხარვეზი | უარი |
|---|---|---|---|---|
| საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესია | 26 | 20 | | 6 |
| მუსლიმი თემი | 3 | 2 | | 1 |
| სომეხთა სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის საქართველოს ეპარქია | 3 | 3 | | |
| ევანგელურ - პროტესტანტული ეკლესია | 1 | 1 | | |

### 2020 წლის 28 ოქტომბერი - V სხდომა

| რელიგიური თემი | შუამდგომლობა | დაკმაყოფილდა | ხარვეზი | უარი |
|---|---|---|---|---|
| საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესია | 10 | 9 | | 1 |
| მუსლიმი თემი | 1 | 1 | | |

### 2020 წლის 14 დეკემბერი - VI სხდომა

| რელიგიური თემი | შუამდგომლობა | დაკმაყოფილდა | ხარვეზი | უარი |
|---|---|---|---|---|
| საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესია | 16 | 12 | 1 | 3 |
| მუსლიმი თემი | 1 | | | 1 |
| იუდეური თემი | 2 | 2 | | |

## პროექტი „სახელმწიფო ენა სასულიერო პირებისთვის“

2019 წელს დაიწყო რელიგიის სააგენტოს ახალი პროექტი, „სახელმწიფო ენა სასულიერო პირებისთვის“, რომლის მიზანია სახელმწიფო ენის პოპულარიზაცია, სწავლების პროცესის სრულყოფა, ეროვნული და რელიგიური უმცირესობების წარმომადგენელთა ერთიან სახელმწიფოებრივ სივრცეში ინტეგრირება.

2020 წლის 22 იანვარს, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოში  გაიმართა შეხვედრა პროექტის პედაგოგებთან,  სადაც ერთობლივად შეფასდა პროექტის პირველი ნაწილი და გაიმართა მსჯელობა მომდევნო ეტაპის გაუმჯობესების შესაძლებლობებსა და პერსპექტივებზე. პანდემიის დასრულების შემდეგ აღნიშნული პროექტი გაგრძელდა.

## სხვადასხვა შეხვედრები

2020 წლის 31 იანვარს, რელიგიის სააგენტომ შეხვედრა გამართა ეროვნულ უმცირესობათა ლიდერთა საბჭოს და სხვადასხვა ორგანიზაციების წარმომადგენლებთან. სააგენტოს თავმჯდომარემ სტუმრებს გააცნო საქართველოს რელიგიური პოლიტიკა, ასევე ისაუბრა სახელმწიფოს მიერ კონფესიების დაფინანსებისა და საკულტო შენობა-ნაგებობების გადაცემის შესახებ. შეხვედრას ესწრებოდნენ: ეროვნულ უმცირესობათა ლიდერთა საბჭო, აგორა ჯორჯია, გაზეთი „ვრასტანი“, ქართველ სომეხთა კავშირი, თუმანიანის სახლი, ქართულ-უკრაინული წიგნის სახლი, კავშირი „პოლონია“, პოლონური სკოლა, კავშირი რუტა, შერეული ოჯახების ქალთა კავშირი, ბერძენთა კავშირი, ბელორუსთა კავშირი, სლავური სახლი და სტუდია „მარნეული.“

2020 წლის 18 სექტემბერს, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო  სააგენტოს ეწვია  საქართველოს ევანგელურ-ლუთერული ეკლესიის დელეგაცია  ეპისკოპოს  მარკუს შოხის ხელმძღვანელობით, რომელმაც  სააგენტოს წარუდგინა  მსოფლიო ლუთერული კავშირის გერმანიის ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარე ვიუტერბერგის მხარის ევანგელურ-ლუთერული ეკლესიის ეპისკოპოსი დოქტორი ფრანკ ოტფრიდ  იული. დელეგაციის შემადგენლობაში შედიოდნენ ევანგელურ-ლუთერული ეკლესიის მრჩეველი კლაუს რიტი და პასტორი ირინა სოლეი. სააგენტოს თავმჯდომარემ შეხვედრაზე  აღნიშნა, რომ სახელმწიფო განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს  რელიგიური უმცირესობების უფლებების დაცვას და გამოთქვა მზადყოფნა, ეტაპობრივად  გადაიჭრას ევანგელურ-ლუთერული ეკლესიის წინაშე არსებული  საკითხები. შეხვედრაზე დაიგეგმა  ერთობლივი აქტივობებიც.

2020 წლის 19 სექტემბერს,  ადგილობრივი ხელისუფლების მხარდაჭერითა  და რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს  ხელშეწყობით საქართველოს ევანგელურ-ლუთერული ეკლესიის ეპისკოპოსი მარკუს შოხი და ეპისკოპოსი იული ეკლესიის სხვა წევრებთან და მრევლთან ერთად ეწვივნენ სოფ. ასურეთს, სადაც  გაიმართა გულთბილი შეხვედრა ადგილობრივი ხელისუფლებისა და მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენლებთან. სტუმრებმა მოინახულეს ყოფილი გერმანელების დასახლება  და  ხელისუფლების მიერ

აღდგენილი ისტორიული ტაძარი, რომელიც ამჟამად სახელმწიფო საკუთრებაა, სადაც მართლმადიდებლური წირვა-ლოცვა მიმდინარეობს.

2020 წლის 16 ოქტომბერს, ქუთაისში, იმერეთის სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციაში, გაიმართა იმერეთისა და გურიის უმაღლეს სასულიერო პირებთან შეხვედრა, რომლის ორგანიზატორია გაეროს მოსახლეობის ფონდი (UNFPA) და კავშირი 21-ე საუკუნე. ფორუმზე აღინიშნა რელიგიის სააგენტოს როლი რელიგიურ ორგანიზაციებს შორის დიალოგის პროცესში და ამ კონტექსტში, ქალთა მიმართ და ოჯახური ძალადობის წინააღმდეგ, ქალთა უფლებების განმტკიცებისთვის მიმართული პროექტი, ინტერრელიგიურ კონფერენციაზე მიღებული დეკლარაცია „ქალი - მშვიდობის დესპანი“, რომელსაც რელიგიური ორგანიზაციების ლიდერებმა 2015 წლის 8 მარტს, „ტოლერანტობის სკვერში“ მოაწერეს ხელი.

2020 წლის 30 ოქტომბერს, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს თავმჯდომარე ბელგიის ქალაქ ლიუვენის რელიგიისა და რწმენის თავისუფლების ინსტიტუტის წარმომადგენლებს შეხვდა.

2020 წლის 18 ნოემბერს, საქართველოში ირანის ალ-მუსტაფას უნივერსიტეტის ფილიალში რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტომ შეხვედრა გამართა ირანის ისლამური რესპუბლიკის დროებით რწმუნებულთან (ელჩის მოვალეობის შემსრულებელთან) რასულ ესლამთან.

2020 წლის 24 დეკემბერს, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო ირანის ალ-მუსტაფას უნივერსიტეტის წარმომადგენლებს შეხვდა. უნივერსიტეტის რექტორს დავით ზარეს თანამდებობაზე ყოფნის ვადა ამოეწურა და რელიგიის სააგენტოს თავმჯდომარეს დასამშვიდობებლად ეწვია. უნივერსიტეტის ამჟამინდელმა რექტორმა, ჰასან იუსუფზადემ მადლობა გადაუხადა სააგენტოს ხელმძღვანელს მიღებისათვის და გამოთქვა რელიგიის სააგენტოსთან აქტიური თანამშრომლობის სურვილი.

## შეხვედრები დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებთან

რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო ტრადიციულად აქტიურად თანამშრომლობს დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებთან, მართავს გაცნობითი და სამუშაო ხასიათის შეხვედრებს და აცნობს მათ სააგენტოს საქმიანობას, განხორციელებულ პროექტებსა და სამომავლო გეგმებს. მიუხედავად საყოველთაო პანდემიისა, 2020 წელს გაიმართა მნიშვნელოვანი შეხვედრები:

- საქართველოში თურქეთის რესპუბლიკის საელჩოს რელიგიის ატაშე აჰმედ ერდემთან - 16.01.2020;
- საქართველოში ისრაელის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩ, რან გიდორთან - 23.01.2020;

- საქართველოში იტალიის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩ, ენრიკო ვალვოსთან - 30.01.2020;
- საქართველოში ნორვეგიის სამეფოს ელჩის მოადგილე მარკო სოლდიკთან და ნორვეგიის ეკლესიის წარმომადგენელთან, პასტორ ლეიფ მაგნე ჰელგესენისთან - 09.03.2020
- საქართველოში ირანის ისლამური რესპუბლიკის ელჩის მოვალეობის შემსრულებელთან, რასულ ესლამთან - 07.10.2020;
- ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელ, ელჩ მარეკ შჩიგელთან; 12.10.2020;
- საქართველოში უნგრეთის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩ, ვიქტორია ჰორვატისთან - 15.10.2020;
- საქართველოში ესტონეთის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩ, რიინა კალიურანდისთან - 20.10.2020;
- საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საგანგებო და სრულუფლებიან ელჩ, კელი დეგნანთან - 23.10.2020;
- საქართველოში დიდი ბრიტანეთის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩ, მარკ კლეიტონთან - 22.12.2020.

## მედიასთან ურთიერთობა

რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო პრიორიტეტულად მიიჩნევს ღია და გამჭვირველე ურთიერთობას მედიასთან.

სააგენტოს ვებგვერდზე ატვირთულია რელიგიის სააგენტოს ნებისმიერი პუბლიკაცია, ინტერრელიგიური კალენდარი და რელიგიური რუკები.

სააგენტოს წარმომადგენელთა ნებისმიერი აქტივობა: შეხვედრები, ვიზიტები, კონფერენციები, სხვადასხვა ღონისძიებებში მონაწილეობა იტვირთება სააგენტოს ვებ გვერდზე, „ფეისბუკზე", „ტვიტერზე" და შუქდება და ვრცელდება მედიასაშუალებებით, საინფორმაციო სააგენტო „ინტერპრესნიუსის" მეშვეობით.

საანგარიშო პერიოდში, 2020 წელს, სააგენტოს ვებგვერდსა და „ფეისბუკზე" გავრცელდა 201 ინფორმაცია თავისი ფოტომასალით.

„ტვიტერით" 2020 წელს გავრცელდა 21 ინგლისურენოვანი ინფორმაცია.

საანგარიშო პერიოდში, 2020 წელს გავრცელდა 141 ინფორმაცია საინფორმაციო სააგენტო „ინტერპრესნიუსის" მეშვეობით.

2020 წელს, სხვადასხვა საინფორმაციო პროგრამებში რელიგიის სააგენტოს 53 ღონისძიება გავიდა.

## დანართი - ადმინისტრაციული ანგარიში (2020 წ.)

2020 წელს ადმინისტრაციული ხარჯებისთვის გაფორმებულია 34 (ოცდათოთხმეტი) ხელშეკრულება, მათ შორის, კონსოლიდირებული ტენდერით 8 (რვა) ხელშეკრულება, ელექტრონული ტენდერით 10 (ათი) ხელშეკრულება, ხოლო გამარტივებული შესყიდვით 16 (თექვსმეტი) ხელშეკრულება.

ყოველთვიურად ელექტრონულად მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადებში წარდგენილია ელექტრონული დეკლარაციები.

ყოველ კვარტალურად საქართველოს ფინანსთა სამინისტროში ელექტრონულად (https://www.ebudget.ge/) წარდგენილია ბიუჯეტის შესრულების ანგარიში.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში ელექტრონულად ატვირთულია გეგმა (EPLAN), ყველა ხელშეკრულება და ყველა ხელშეკრულების ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტი, როგორც CMR-ზე, ასევე SPA-ზე.

განხორციელდა 10 (ათი) ელექტრონული ტენდერი. ატვირთულია კანონმდებლობით დადგენილ ვადებში ტექნიკური დოკუმენტაცია, შესაბამისი ოქმები, ხელშეკრულებები, შესრულებები და გადახდები.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურში დარეგისტრირებულია 34 (ოცდათოთხმეტი) ადმინისტრაციული ხელშეკრულება (ორგანიზაციული კოდი 5001) და 8 (რვა) სხვადასხვა რელიგიურ წარმომადგენლობებთან (ორგანიზაციული კოდი 5002) გაფორმებული ხელშეკრულებები (სსიპ სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველო (2), სსიპ საქართველოს ებრაელთა კავშირი (2), სსიპ სომეხთა სამოციქულო მართლმადიდებელი წმიდა ეკლესიის საქართველოს ეპარქია (2) და სსიპ ლათინ კათოლიკეთა კავკასიის სამოციქულო ადმინისტრაცია (2)).

**ინფორმაცია ფინანსური მდგომარეობის შესახებ 2020 წ.**

## სსიპ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო

| ორგანიზაციული კოდი | დასახელება | 2020 წლის დამტკიცებული გეგმა | საკასო შესრულება | შესრულების პროცენტული მაჩვენებელი საკასო შესრულების დამტკიცებულ გეგმასთან მიმართებაში |
|---|---|---|---|---|
| 5000 | სსიპ - რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო | 5,330,000 | 5,261,254 | 98.71% |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 22 | | |
| | ჯამური | 5,330,000 | 5,255,675 | 98.61% |
| 2 | ხარჯები | 5,320,000 | 5,250,096 | 98.69% |
| 2.1 | შრომის ანაზღაურება | 588,000 | 553,605 | 94.15% |
| 2.2 | საქონელი და მომსახურება | 220,000 | 195,918 | 89.05% |
| 2.5 | სუბსიდიები | 4,500,000 | 4,500,000 | 100.00% |
| 2.7 | სოციალური უზრუნველყოფა | 9,000 | 0 | 0.00% |
| 2.8 | სხვა ხარჯები | 3,000 | 574 | 19.12% |
| 3.1 | არაფინანსური აქტივების ზრდა | 10,000 | 5,579 | 55.79% |
| 5001 | სსიპ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო-ადმინისტრაციული ხარჯები | 830,000 | 755,675 | 91.05% |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 22 | | |
| | ჯამური | 830,000 | 755,675 | 91.05% |
| 2 | ხარჯები | 820,000 | 750,096 | 91.48% |
| 2.1 | შრომის ანაზღაურება | 588,000 | 553,605 | 94.15% |
| 2.2 | საქონელი და მომსახურება | 220,000 | 195,918 | 89.05% |
| 2.2.1 | შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება | | 63,100 | |
| 2.2.2 | მივლინება | | 2,370 | |
| 2.2.3 | ოფისის ხარჯები | | 62,758 | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 2.2.4 | წარმომადგენლობითი ხარჯები | | 3,358 | |
| 2.2.8 | ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები | | 25,795 | |
| 2.2.10 | სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება | | 38,536 | |
| 2.7 | სოციალური უზრუნველყოფა | 9,000 | | 0.00% |
| 2.8 | სხვა ხარჯები | 3,000 | 574 | 19.12% |
| 3.1 | არაფინანსური აქტივების ზრდა | 10,000 | 5,579 | 55.79% |
| 5002 | რელიგიური გაერთიანებების დაფინანსება | 4,500,000 | 4,500,000 | 100.00% |
| | ხარჯები | 4,500,000 | 4,500,000 | 100.00% |
| 2.5 | სუბსიდიები | 4,500,000 | 4,500,000 | 100.00% |

205311232 სსიპ - რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო

## ინფორმაცია მივლინების შესახებ

| მივლინების დოკუმენტი | დოკუმენტის თარიღი | მივლინების ადგილი | სახელი და გვარი | ხარჯი ტიპი | დღეების რაოდენობა | თანხა |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრძანება 3 | 08/01/2020 | საქართველო -ყვარელი | ომარ ჭიკაძე | დღიური ნორმა | 1 | **15.00** |
| ბრძანება 3 | 08/01/2020 | საქართველო -ყვარელი | მამუკა ბუხნიკაშვილი | დღიური ნორმა | 1 | **15.00** |
| ბრძანება 4 | 10/01/2020 | საქართველო -წალკა | აბაი ფაშაევი | დღიური ნორმა | 1 | **15.00** |
| ბრძანება 4 | 10/01/2020 | საქართველო -წალკა | მამუკა ბუხნიკაშვილი | დღიური ნორმა | 1 | **15.00** |
| ბრძანება 6 | 13/01/2020 | საქართველო -ახალციხე | ელვარდი ზაზაძე | დღიური ნორმა | 1 | **15.00** |
| ბრძანება 6 | 13/01/2020 | საქართველო -ახალციხე | მამუკა ბუხნიკაშვილი | დღიური ნორმა | 1 | **15.00** |
| ბრძანება 8 | 20/01/2020 | საქართველო -მარნეული | დავითი დავითაშვილი | დღიური ნორმა | 1 | **15.00** |
| ბრძანება 8 | 20/01/2020 | საქართველო -მარნეული | აბაი ფაშაევი | დღიური ნორმა | 1 | **15.00** |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრძანება 8 | 20/01/2020 | საქართველო -მარნეული | სერგო ფარულავა | დღიური ნორმა | 1 | **15.00** |
| ბრძანება 9 | 20/01/2020 | საქართველო -ზუგდიდი | ომარ ჭიკაძე | დღიური ნორმა | 3 | **45.00** |
| ბრძანება 9 | 20/01/2020 | საქართველო -ზუგდიდი | ომარ ჭიკაძე | სასტუმროს ხარჯი | 2 | **200.00** |
| ბრძანება 9 | 20/01/2020 | საქართველო -ზუგდიდი | მამუკა ბუხნიკაშვილი | დღიური ნორმა | 3 | **45.00** |
| ბრძანება 9 | 20/01/2020 | საქართველო -ზუგდიდი | მამუკა ბუხნიკაშვილი | სასტუმროს ხარჯი | 2 | **200.00** |
| ბრძანება 10 | 22/01/2020 | საქართველო -ბათუმი | გიორგი უკლება | დღიური ნორმა | 3 | **45.00** |
| ბრძანება 10 | 22/01/2020 | საქართველო -ბათუმი | გიორგი უკლება | სასტუმროს ხარჯი | 2 | **200.00** |
| ბრძანება 19 | 24/02/2020 | საქართველო -ყვარელი | გიორგი უკლება | დღიური ნორმა | 2 | **30.00** |
| ბრძანება 26 | 05/02/2020 | საქართველო - ამბროლაურ ი | მამუკა ბუხნიკაშვილი | დღიური ნორმა | 1 | **15.00** |
| ბრძანება 26 | 24/06/2020 | საქართველო -მარტვილი | დავითი დავითაშვილი | დღიური ნორმა | 3 | **45.00** |
| ბრძანება 26 | 24/06/2020 | საქართველო -მარტვილი | დავითი დავითაშვილი | სასტუმროს ხარჯი | 1 | **125.00** |
| ბრძანება 26 | 24/06/2020 | საქართველო -მარტვილი | გიორგი უკლება | დღიური ნორმა | 3 | **45.00** |
| ბრძანება 26 | 24/06/2020 | საქართველო -მარტვილი | გიორგი უკლება | სასტუმროს ხარჯი | 1 | **125.00** |
| ბრძანება 26 | 24/06/2020 | საქართველო -მარტვილი | ავთანდილ კვერნაძე | დღიური ნორმა | 3 | **45.00** |
| ბრძანება 26 | 24/06/2020 | საქართველო -მარტვილი | ავთანდილ კვერნაძე | სასტუმროს ხარჯი | 1 | **125.00** |
| ბრძანება 35 | 05/08/2020 | საქართველო -ახალციხე | ზაზა ვაშაყმაძე | დღიური ნორმა | 1 | **15.00** |
| ბრძანება 35 | 05/08/2020 | საქართველო -ახალციხე | გიორგი უკლება | დღიური ნორმა | 1 | **15.00** |
| ბრძანება 35 | 05/08/2020 | საქართველო -ახალციხე | ომარ ჭიკაძე | დღიური ნორმა | 1 | **15.00** |
| ბრძანება 36 | 06/08/2020 | საქართველო -ბათუმი | აბესალომ ასლანიძე | დღიური ნორმა | 2 | **30.00** |
| ბრძანება 36 | 06/08/2020 | საქართველო -ბათუმი | აბესალომ ასლანიძე | მგზავრობის ხარჯი | | **60.00** |
| ბრძანება 38 | 17/08/2020 | საქართველო -ქუთაისი | ზაზა ვაშაყმაძე | დღიური ნორმა | 1 | **15.00** |
| ბრძანება 38 | 17/08/2020 | საქართველო -ქუთაისი | ომარ ჭიკაძე | დღიური ნორმა | 1 | **15.00** |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრძანება 39 | 17/08/2020 | საქართველო-თელავი | ზაზა ვაშაყმაძე | დღიური ნორმა | 1 | **15.00** |
| ბრძანება 39 | 17/08/2020 | საქართველო-თელავი | გიორგი უკლება | დღიური ნორმა | 1 | **15.00** |
| ბრძანება 39 | 17/08/2020 | საქართველო-თელავი | ომარ ჭიკაძე | დღიური ნორმა | 1 | **15.00** |
| ბრძანება 42 | 21/08/2020 | საქართველო-ბათუმი | ზაზა ვაშაყმაძე | დღიური ნორმა | 5 | **75.00** |
| ბრძანება 45 | 27/08/2020 | საქართველო-ბათუმი | გიორგი უკლება | დღიური ნორმა | 2 | **30.00** |
| ბრძანება 45 | 27/08/2020 | საქართველო-ბათუმი | გიორგი უკლება | სასტუმროს ხარჯი | 1 | **120.00** |
| ბრძანება 47 | 01/09/2020 | საქართველო-ახალქალაქი | გიორგი უკლება | დღიური ნორმა | 1 | **15.00** |
| ბრძანება 49 | 04/09/2020 | საქართველო-თეთრი წყარო | ზაზა ვაშაყმაძე | დღიური ნორმა | 1 | **15.00** |
| ბრძანება 49 | 04/09/2020 | საქართველო-თეთრი წყარო | გიორგი უკლება | დღიური ნორმა | 1 | **15.00** |
| ბრძანება 49 | 04/09/2020 | საქართველო-თეთრი წყარო | ომარ ჭიკაძე | დღიური ნორმა | 1 | **15.00** |
| ბრძანება 52 | 09/09/2020 | საქართველო-ბათუმი | გიორგი უკლება | დღიური ნორმა | 3 | **45.00** |
| ბრძანება 52 | 09/09/2020 | საქართველო-ბათუმი | გიორგი უკლება | სასტუმროს ხარჯი | 2 | **300.00** |
| ბრძანება 57 | 15/10/2020 | საქართველო-ქუთაისი | ზაზა ვაშაყმაძე | დღიური ნორმა | 1 | **15.00** |
| ბრძანება 57 | 15/10/2020 | საქართველო-ქუთაისი | გვანცა ცხოვრებაძე | დღიური ნორმა | 1 | **15.00** |
| ბრძანება 57 | 15/10/2020 | საქართველო-ქუთაისი | გიორგი უკლება | დღიური ნორმა | 1 | **15.00** |
| ბრძანება 57 | 15/10/2020 | საქართველო-ქუთაისი | ომარ ჭიკაძე | დღიური ნორმა | 1 | **15.00** |
| ბრძანება 58 | 15/10/2020 | საქართველო-საჩხერე | გიორგი პატაშური | დღიური ნორმა | 1 | **15.00** |
| ბრძანება 58 | 15/10/2020 | საქართველო-საჩხერე | ნინო ჭავჭავაძე | დღიური ნორმა | 1 | **15.00** |
| ბრძანება 58 | 15/10/2020 | საქართველო-საჩხერე | აბაი ფაშაევი | დღიური ნორმა | 1 | **15.00** |
| სულ ქვეყნის შიგნით მივლინება 2020 წელი | | | | | | 2370 |

მივლინება ქვეყნის გარეთ 2020 წელს არ განხორციელებულა.

## რელიგიური გაერთიანებების (კონფესიების) დაფინანსება 2020 წ.

| დასახელება | 2020 წელი |
|---|---|
| **სსიპ სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველო** | 2,750,000 |
| **სსიპ ლათინ კათოლიკეთა კავკასიის სამოციქულო ადმინისტრაცია** | 550,000 |
| **სსიპ სომეხთა სამოციქულო მართლმადიდებელი წმ. ეკლესიის საქართველოს ეპარქია** | 800,000 |
| **სსიპ საქართველოს ებრაელთა კავშირი** | 400,000 |
| სულ | **4,500,000** |

## კორესპონდენცია (2020 წ.)

რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს საქმის წარმოების სტატისტიკა 2020 წ.

| კორესპონდენცია 2020 წელი | რაოდენობა |
|---|---|
| შემოსული | 404 |
| გასული | 1044 |
| კადრების ბრძანებები | 38 |
| მივლინება/შვებულების ბრძანებები | 63 |
| ორგანიზაციული ბრძანებები | 35 |
| შიდა მოხსენებითი ბარათი | 107 |

რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო

# 2021 წლის ანგარიში

სარჩევი:


1. **შშმ პირთა უფლებების დაცვის ხელშეწყობის 2021 წლის სამოქმედო გეგმა** ............... 42

2. **საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება რელიგიური შემწყნარებლობის მიმართულებით** ............... 43

   2.1. ყოველწლიური გამოცემის „ინტერრელიგიური კალენდრის“ ორი ვერსიის პრეზენტაცია ............... 43

   2.2. ბიბლიის მეორე წიგნის „გამოსვლა“, ბრაილის შრიფტით გამოცემის პრეზენტაცია ............... 43

   2.3. ტოლერანტობის საერთაშორისო დღე ............... 44

   2.4. რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს მიერ გამოცემული პუბლიკაციები და მათი პრეზენტაცია ............... 44

   2.5. თბილისში არსებული მოქმედი საკულტო ნაგებობების სტატისტიკა 2020 წლის მდგომარეობით ............... 45

   2.6. თბილისის ზოგადი რელიგიური მდგომარეობა და შედარებითი ანალიზი 2020 წლის მიხედვით ............... 45

3. **რელიგიის სააგენტოსა და გაეროს ბავშვთა ფონდის ერთობლივი ტრენინგი** ............... 46

4. **რელიგიური ორგანიზაციები ქალთა და ოჯახური ძალადობის წინააღმდეგ** ............... 47

5. **ინტერრელიგიური სათათბირო** ............... 47

6. **სახელმწიფოს ურთიერთობა რელიგიურ ორგანიზაციებთან** ............... 49

7. **კოვიდ-19 პანდემია და რელიგიის თავისუფლება** ............... 50

8. **რელიგიური ორგანიზაციების დაფინანსება საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის დროს მიყენებული ზიანის ანაზღაურების ფარგლებში** ............... 54

9. **რელიგიურ გაერთიანებათა ქონებრივი და ფინანსური საკითხების შემსწავლელი სარეკომენდაციო კომისია** ............... 55

   9.1. სარეკომენდაციო კომისიის სხდომები ............... 55

**10. რელიგიურ უმცირესობებთან ურთიერთობა და საქველმოქმედო აქციები** .................. 57

**11. სხვადასხვა შეხვედრები** ............................................................................................ 59

**12. შეხვედრები დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებთან** .................................. 61

**13. ვიზიტები საზღვარგარეთ** ........................................................................................ 61

13.1. ვიზიტი აზერბაიჯანის რესპუბლიკაში ...................................................................... 61

**14. მედიასთან ურთიერთობა** ........................................................................................ 63

**15. დანართი - ადმინისტრაციული ანგარიში** .............................................................. 63

**16. ინფორმაცია ფინანსური მდგომარეობის შესახებ 2021 წ.** ............................................... 65

**17. ინფორმაცია 2021 წლის მივლინების შესახებ** .............................................................. 66

**18. რელიგიური გაერთიანებების (კონფესიების) დაფინანსება 2021 წ.** ............................... 72

**19. კორესპონდენცია 2021 წ.** ......................................................................................... 72

## შშმ პირთა უფლებების დაცვის ხელშეწყობის 2021 წლის სამოქმედო გეგმა

შშმ პირთა უფლებების დაცვისა და ინკლუზიური ტოლერანტული გარემოს შექმნის ხელშეწყობის მიზნით, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტომ შეიმუშავა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) პირთა უფლებების დაცვის ხელშეწყობის სამოქმედო გეგმა 2021 წლისთვის. დოკუმენტის მიზანია „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების შესახებ" გაერო-ს კონვენციისა და „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ" საქართველოს კანონის პრინციპებზე დაყრდნობით, გამოკვეთოს ის პრიორიტეტული მიმართულებები და ღონისძიებები, რომელიც 2021 წლის განმავლობაში უნდა განხორციელდეს. სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს ტრენინგებს: შშმ პირთათვის რელიგიისა და რწმენის თავისუფლების შესახებ; საქართველოში მოღვაწე რელიგიური ორგანიზაციების წარმომადგენელთათვის და რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს თანამშრომლებისათვის - შშმ პირთა უფლებების შესახებ; რელიგიისა და რწმენის თავისუფლების შესახებ შშმ პირთათვის სპეციალური გამოცემების (ბრაილის შრიფტით) შექმნას. გეგმა ეყრდნობა გაეროს კონვენციას „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების შესახებ", საქართველოს კონსტიტუციასა და საქართველოს კანონს „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ". დოკუმენტი დამუშავდა საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციასთან თანამშრომლობით, პრინციპის - „არაფერი ჩვენს შესახებ ჩვენს გარეშე" აღსრულების მიზნით. იგი წარედგინა შშმ პირთა წარმომადგენლობით ორგანიზაციებს, არასამთავრობო ორგანიზაციებსა და შშმ თემის წარმომადგენლებს.

რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო ხელს უწყობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის დისკრიმინაციის გარეშე და სხვებთან თანაბარ პირობებში რელიგიის თავისუფლებისა და რელიგიური შემწყნარებლობის, როგორც ფუნდამენტური ღირებულების აღიარების დამკვიდრებასა და პატივისცემას და რელიგიის სფეროში მათი სრულყოფილი მონაწილეობის შესაძლებლობას. ხსენებული სამოქმედო გეგმა ხელმისაწვდომია ელექტრონული ფორმითაც.[11]

2021 წლის 9 დეკემბერს, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტომ გამართა ონლაინ ტრენინგი ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის წარმომადგენელ შშმ პირებისათვის - რელიგიისა და რწმენის თავისუფლების საკითხებზე. ტრენინგი გაიმართა რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს მიერ შემუშავებული „2021 წლისათვის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) პირთა უფლებების დაცვის ხელშეწყობის სამოქმედო გეგმის" ფარგლებში.

2021 წლის 22 დეკემბერს, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს თანამშრომლებისათვის ადამიანის უფლებათა სამდივნომ

[11] https://religion.gov.ge/kanonmdebloba/rekomendaciebi/sezruduli-sesazleblobebis-mqone-pirta-uflebebis-dacvis-samoqmedo-gegma-2021-wlisatvis

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების შესახებ ტრენინგი ჩაატარა, რომელიც ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის ფარგლებში გაიმართა.

## საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება რელიგიური შემწყნარებლობის მიმართულებით

### ყოველწლიური გამოცემის „ინტერრელიგიური კალენდრის" ორი ვერსიის პრეზენტაცია

2021 წელს ტრადიციულად გამოიცა ყოველწლიური ინტერრელიგიური კალენდარი, რომელიც 2015 წლიდან იბეჭდება და მასში თავმოყრილია სხვადასხვა რელიგიური თემების დღესასწაულები. ასევე, გამოიცა ინტერრელიგიური კალენდარი ბრაილის შრიფტით უსინათლოთათვის.

2021 წლის 4 მარტს, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში, შედგა ბრაილის შრიფტით დაბეჭდილი ინტერრელიგიური კალენდრის პრეზენტაცია, სადაც რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტომ საქართველოს უსინათლოთა კავშირის წარმომადგენლებსა და უსინათლო და მხედველობა დაქვეითებულ პირთა 202-ე საჯარო სკოლის პედაგოგიურ კოლექტივს უმასპინძლა. შეხვედრას, რომლის მიზანი უსინათლო ადამიანთა მიმართ საზოგადოების მგრძნობელობის ამაღლება და შშმ პირთა საზოგადოებაში მაქსიმალური ჩართულობის ხელშეწყობაა, ესწრებოდა საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე.

### ბიბლიის მეორე წიგნის „გამოსვლა", ბრაილის შრიფტით გამოცემის პრეზენტაცია

„2021 წლისათვის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) პირთა უფლებების დაცვის ხელშეწყობის სამოქმედო გეგმის" ფარგლებში, 2021 წლის 24 მარტს, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტომ სოციალური პროექტის, ბრაილის შრიფტით დაბეჭდილი ძველი აღთქმის მეორე კანონიკური წიგნის, „წიგნი გამოსვლათა (გამოსვლა)", პრეზენტაცია საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში გამართა, რომელსაც საქართველოში არსებული რელიგიური ორგანიზაციების ლიდერები, საქართველოს უსინათლოთა კავშირის წარმომადგენლები, უსინათლო და მხედველობა დაქვეითებულ პირთა 202-ე საჯარო სკოლის პერსონალი დაესწრნენ.

ამ სოციალური პროექტით რელიგიის სააგენტო მიზნად ისახავს შშმ პირთა მიმართ საზოგადოების მგრძნობელობის ამაღლებას.

## ტოლერანტობის საერთაშორისო დღე

2021 წლის 16 ნოემბერს, ტოლერანტობის საერთაშორისო დღეს, საქართველოს ევანგელურ-პროტესტანტულმა ეკლესიამ სხვადასხვა რელიგიური ორგანიზაციების წარმომადგენლებს უმასპინძლა. ტოლერანტობის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტომ დაამკვიდრა ტრადიცია - ერთ-ერთი რელიგიური თემი სხვა რელიგიური ორგანიზაციების ლიდერებსა და მრევლს მასპინძლობს. ეს კი ხელს უწყობს სხვადასხვა რელიგიური ორგანიზაციების უფრო მეტ დაახლოებასა და შემწყნარებლური გარემოს განმტკიცებას.

ტოლერანტობის საერთაშორისო დღის აღნიშვნა პირველად 2016 წელს შედგა და მასპინძელი საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია იყო, შემდეგ წლებში - ქართველ ებრაელთა თემი, ლათინ კათოლიკეთა ადმინისტრაცია, საქართველოს მუსლიმთა თემი და საქართველოს ბაპტისტური ეკლესიების კავშირი.

## რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს მიერ გამოცემული პუბლიკაციები და მათი პრეზენტაცია

2021 წლის 30 ივნისს, საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე - აფხაზეთის ა/რ-ში და ცხინვალის რეგიონში არსებული საკულტო ნაგებობების შესახებ ფოტოალბომის *„ოკუპირებული მემკვიდრეობა“*, პრეზენტაცია სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს ეროვნულ მუზეუმში გაიმართა, რომელსაც ესწრებოდნენ რელიგიური ორგანიზაციების, საქართველოს ხელისუფლების, დიპლომატიური კორპუსის, აკადემიური წრეებისა და ფართო საზოგადოების წარმომადგენლები.

უნდა აღინიშნოს რომ, საქართველოს პრეზიდენტმა, ვატიკანში, რომის პაპ ფრანცისკესთან შეხვედრის ფარგლებში, 2021 წლის 18 ივნისს პაპს საჩუქრად რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს მიერ ქართულ-ინგლისურ ენაზე გამოცემული წიგნი "ოკუპირებული მემკვიდრეობა" გადასცა.

2021 წლის 16 სექტემბერს, საქართველოს სახელმწიფო ცერემონიების სასახლეში გაიმართა ქ. თბილისში მოქმედი რელიგიური ორგანიზაციების საკულტო ნაგებობების სრული ფოტოალბომის -„თბილისში მოქმედი საკულტო ნაგებობები 2020 წლის მდგომარეობით“, პრეზენტაცია. ალბომი მოიცავს თბილისში არსებული ყველა რელიგიური ორგანიზაციის მოქმედი საკულტო ნაგებობის (როგორც ძველი, ისე ახლად აშენებული) შესახებ ინფორმაციას, კერძოდ: მასში აღნუსხულია მათი რაოდენობა, მოცემულია ფოტოები, მისამართი, ინფორმაცია წინამძღვართა შესახებ, 2014 წელს მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შედეგები თბილისის რელიგიური განფენილობის თაობაზე.

**თბილისში არსებული მოქმედი საკულტო ნაგებობების სტატისტიკა 2020 წლის მდგომარეობით შემდეგია:**

- საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესია - 197
  სამლოცველო სახლი - 22
  მშენებარე ეკლესია - 40
- მუსლიმური მეჩეთი - 3
- სომეხთა სამოციქულო ეკლესია - 2
- სინაგოგა - 2
- კათოლიკური ეკლესია - 3 (ლათინ-კათოლიკური ეკლესია - 2) (ასირიულ-ქალდეური კათოლიკური ეკლესია - 1)
- საქართველოს ევანგელურ-ლუთერული ეკლესია - 1
- საქართველოს ბაპტისტური ეკლესიების კავშირი - 1
- თბილისის საერთაშორისო ბაპტისტური ეკლესია - 1
- საქართველოს სახარების რწმენის ეკლესია - 1
- ეზიდური სალოცავი სახლი - 1
- იეჰოვას მოწმეთა სალოცავი სახლი - 16
- კრიშნას ცნობიერების საერთაშორისო საზოგადოება - 1

**თბილისის ზოგადი რელიგიური მდგომარეობა და შედარებითი ანალიზი 2020 წლის მიხედვით**

**თბილისის მოსახლეობა -** 1 108 717
**საკულტო ნაგებობები -** 229
**ხვედრითი წილი -** 4884
**ხვედრით წილში* -** იგულისხმება 1 (ერთ) საკულტო ნაგებობაზე მოსახლეობის რაოდენობა

**მართლმადიდებელი ეკლესია**
მიმდევართა რაოდენობა - 1,024,931
საკულტო ნაგებობები - 197
ხვედრითი წილი - 5 202

**მუსლიმი თემი**
მიმდევართა რაოდენობა - 16,268
საკულტო ნაგებობები - 3
ხვედრითი წილი - 5,423

**სომხური თემი**
მიმდევართა რაოდენობა - 29,368
საკულტო ნაგებობები - 2
ხვედრითი წილი - 14,684

**იუდეური თემი**
მიმდევართა რაოდენობა - 1,016
საკულტო ნაგებობები - 2
ხვედრითი წილი - 508

**კათოლიკური თემი**
მიმდევართა რაოდენობა - 1,662
საკულტო ნაგებობები - 3
ხვედრითი წილი - 554

**ეზიდური თემი**
მიმდევართა რაოდენობა - 8,214
საკულტო ნაგებობები - 1
ხვედრითი წილი - 8,214

**იეჰოვას მოწმეები**
მიმდევართა რაოდენობა - 3,979
საკულტო ნაგებობები - 16
ხვედრითი წილი - 249

**სხვა** (სხვაში იგულისხმება: აღმსარებლობა არ მიუთითა, უარი პასუხზე, არცერთი, სხვა მცირერიცხოვან კონფესიათა წარმომადგენლები)

სულ თბილისში - 23,369
სულ თბილისში მცირერიცხოვან კონფესიათა საკულტო ნაგებობები - 5
ხვედრითი წილი - *

## რელიგიის სააგენტოსა და გაეროს ბავშვთა ფონდის ერთობლივი ტრენინგი

რელიგიურ ლიდერთა ცნობიერების ამაღლების მიზნით, 2021 წლის 1-2 ნოემბერს, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოსა და გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) ორგანიზებით ბორჯომში, სასტუმრო „ბორჯომი ლიკანი“, ჩატარდა ორდღიანი სემინარი „სასულიერო პირების როლი ბავშვის უფლებების დაცვის საქმეში“, რომლის მიზანი იყო ბავშვთა უფლებების დაცვის საკითხებში რელიგიური ლიდერების როლისა და მნიშვნელობის გაზრდა.

ტრენინგს ესწრებოდნენ ლათინ კათოლიკეთა კავკასიის სამოციქულო ადმინისტრაციის, თბილისის საერთაშორისო ბაპტისტური ეკლესიის, საქართველოს ბაპტისტური ეკლესიების კავშირის, საქართველოს ევანგელურ-ლუთერული ეკლესიის, საქართველოს ევანგელურ-პროტესტანტული ეკლესიის, საქართველოს სახარების რწმენის ეკლესიის და საქართველოს ეზიდთა სასულიერო საბჭოს წარმომადგენლები.

ტრენინგის მთავარი თემები იყო: გაეროს „ბავშვის უფლებათა კონვენცია“, საქართველოს „ბავშვის უფლებათა კოდექსი“, ბავშვის უფლებები სხვადასხვა რელიგიაში და რელიგიური ლიდერების როლი მათი დაცვისა და ხელშეწყობის საკითხში. რელიგიის სააგენტომ შუამავლის ფუნქცია იკისრა რელიგიურ ორგანიზაციებსა და გაეროს ბავშვთა ფონდს შორის, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს საქართველოში ბავშვთა უფლებების მაქსიმალურ დაცვას.

## რელიგიური ორგანიზაციები ქალთა და ოჯახური ძალადობის წინააღმდეგ

2021 წლის 9 ნოემბერს, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოსა და საქართველოში მოღვაწე რელიგიური ორგანიზაციების წარმომადგენლებთან სასტუმრო „რუმსში“ გაიმართა საინფორმაციო შეხვედრა თემაზე - „ოჯახში ძალადობა და ბავშვის ასაკში ქორწინება“. შეხვედრაზე, რომელიც ორგანიზებული იყო პროგრამის „ევროკავშირი გენდერული თანასწორობისათვის: გენდერული სტერეოტიპებისა და გენდერული ნიშნით ძალადობის დასაძლევად“ ფარგლებში, იმსჯელეს სახელმწიფოს როლსა და ძალისხმევაზე ოჯახში ძალადობის, ბავშვის ასაკში ქორწინებისა და ქალისა და გოგონას მიმართ სხვა საზიანო პრაქტიკების აღმოფხვრის შესახებ და რელიგიური გაერთიანებების უმნიშვნელოვანეს როლზე. ამ პროცესში პროგრამის მხარდამჭერია ევროკავშირი და იგი ხორციელდება გაეროს ქალთა ორგანიზაციისა (UN WOMEN) და გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) მიერ.

რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს წარმომადგენლების მიერ ხაზი გაესვა რელიგიური ორგანიზაციების როლს ქალთა მიმართ და ოჯახური ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლას, ასევე იმ ისტორიული ფაქტის მნიშვნელობას, რომელიც 2015 წლის 8 მარტს, „ტოლერანტობის სკვერში“ შედგა და რელიგიური ორგანიზაციების ლიდერების მიერ ხელი მოეწერა დეკლარაციას „ქალი - მშვიდობის დესპანი“, სადაც გამოხატულია საქართველოში არსებული რელიგიური ორგანიზაციების პოზიცია ქალთა უფლებების დაცვისა და ოჯახური ძალადობის მიმართ.

რელიგიური გაერთიანებების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ ისინი სრულად იზიარებენ სახელმწიფოს პოლიტიკას ქალთა უფლებების დაცვის თვალსაზრისით და მზად არიან, მაქსიმალურად შეუწყონ ხელი ამ მხრივ განხორციელებულ აქტივობებს.

## ინტერრელიგიური სათათბირო

რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოსთან ფუნქციონირებს ინტერრელიგიური სათათბირო, რომელშიც საქართველოში არსებული თითქმის ყველა რელიგიური გაერთიანება

მონაწილეობს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის, ისტორიული რელიგიებისა და სხვა მცირერიცხოვანი რელიგიების ჩათვლით, კერძოდ:

- საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესია;
- სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველო;
- სომეხთა სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის საქართველოს ეპარქია;
- ლათინ კათოლიკეთა კავკასიის სამოციქულო ადმინისტრაცია;
- საქართველოს ებრაელთა კავშირი;
- თბილისის საერთაშორისო ბაპტისტური ეკლესია;
- საქართველოს ბაპტისტური ეკლესიების კავშირი;
- საქართველოს ევანგელურ-ლუთერული ეკლესია;
- საქართველოს ევანგელურ-პროტესტანტული ეკლესია;
- საქართველოს სახარების რწმენის ეკლესია;
- საქართველოს ეზიდთა სასულიერო საბჭო;
- კრიშნას ცნობიერების საერთაშორისო საზოგადოება.

2021 წლის 13 ოქტომბერს, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტომ უმასპინძლა შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივის წარმომადგენლებს და ინტერრელიგიური სათათბიროს წევრებს. სათათბიროს სხდომას საქართველოში არსებული რელიგიებიდან ესწრებოდნენ: საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის, სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველოს, სომეხთა სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის საქართველოს ეპარქიის, ლათინ კათოლიკეთა კავკასიის სამოციქულო ადმინისტრაციის, საქართველოს ევანგელურ-ლუთერული ეკლესიის, საქართველოს ევანგელურ-პროტესტანტული ეკლესიის წარმომადგენლები.

რელიგიის სააგენტომ ინტერრელიგიური სათათბიროს წევრებს გააცნო სააგენტოსა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთობლივი ინიციატივა - საარქივო მასალებზე დაყრდნობით, გამოიცეს ნაშრომი საბჭოთა პერიოდში რეპრესირებული რელიგიური ორგანიზაციების წარმომადგენელი სასულიერო პირების შესახებ და სთხოვა ინტერრელიგიური სათათბიროს რელიგიურ ლიდერებს, რეპრესირებული სასულიერო პირების შესახებ მათ ხელთ არსებული ყველა ინფორმაციის მიწოდება, გამოცემაში სრულად ასახვის მიზნით. ინტერრელიგიური სათათბიროს ყველა წევრი მოწონებით შეხვდა ახალ წამოწყებას.

2021 წლის 19 ოქტომბერს, გაიმართა ინტერრელიგიური სათათბიროსა და რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს შეხვედრა თავდაცვის მინისტრის მოადგილესთან შემდეგ საკითხზე: თავდაცვის კოდექსის ცვლილების პროექტი „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ კანონში ცვლილების შეტანისა და „არასამხედრო, ალტერნატიული, შრომითი სამსახურის შესახებ“ კანონში ცვლილების თაობაზე.

ინტერრელიგიური სათათბიროს წევრებმა: საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის, ებრაელთა კავშირის, ევანგელურ-ლუთერული ეკლესიის, ევანგელურ-პროტესტანტული ეკლესიის, სომეხთა სამოციქულო ეკლესიის საქართველოს ეპარქიის, სახარების რწმენის ეკლესიის, ლათინ კათოლიკეთა კავკასიის სამოციქულო ადმინისტრაციის, თბილისის საერთაშორისო ბაპტისტური ეკლესიის, საქართველოს ბაპტისტური ეკლესიების კავშირის წარმომადგენლებმა და დამოუკიდებლად - იეჰოვას მოწმეთა ორგანიზაციის წევრებმა, გამოთქვეს საკუთარი მოსაზრებები კოდექსის პროექტთან დაკავშირებით.

## სახელმწიფოს ურთიერთობა რელიგიურ ორგანიზაციებთან

უნდა აღვნიშნოთ, რომ 2021 წელს, ისევე როგორც 2020 წელს, პანდემიის რთულ პერიოდში, საქართველოს ხელისუფლება პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით და რელიგიის სააგენტოს აქტიური ჩართულობით, თანამშრომლობდა საქართველოში მოქმედ რელიგიურ ორგანიზაციებთან. 2020 წლის გაზაფხულზე პანდემიის დაწყებისას და 2021 წელს, კორონა ვირუსის პანდემიის რამდენიმე ძლიერი ტალღის პერიოდში, რელიგიის სააგენტომ დახმარება გაუწია რელიგიურ ორგანიზაციებს, რათა ერთი მხრივ მათ მიცემოდათ საშუალება ყოველგვარი წესების დაცვით, შეუფერხებლად აღესრულებინათ თავიანთი მსახურება და მეორე მხრივ, ყველა მორწმუნის ჯანმრთელობა ყოფილიყო მაქსიმალურად დაცული. შესაბამისად, 2021 წელს, მთელი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა საკულტო ნაგებობების მასობრივი დეზინფექცია, ტარდებოდა ღვთისმსახურებები რეკომენდირებული სოციალური დისტანციის მაქსიმალური დაცვითა და პირბადეების გამოყენებით. სასულიერო პირები საკუთარ მრევლს აქტიურად აცნობდნენ ინფორმაციას ვირუსის გავრცელების საწინააღმდეგო აუცილებლად დასაცავი წესების შესახებ საკულტო ნაგებობებში ყოფნის დროს და შემდეგაც.

პანდემიის პერიოდში შესაძლებლობის ფარგლებში შენარჩუნდა ტრადიცია, როდესაც საქართველოს ხელისუფლება, პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით ესწრება, როგორც საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის უდიდეს დღესასწაულებს (შობა, აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული და სხვ.), ასევე საქართველოში მოღვაწე ისტორიული რელიგიების უმთავრეს დღესასწაულებს. ბოლო წლებში დამკვიდრებული ტრადიციის თანახმად, საქართველოს მთავრობის მეთაური რამადან-ბაირამთან დაკავშირებით მისი სახელით გამართულ ვახშამზე (იფტარი) მუსლიმი თემის წარმომადგენლებს მასპინძლობს.

2020-2021 წლების შეხვედრის ფორმატი კი, კოვიდ-19-ის პანდემიის გამო, განსხვავებული იყო და საქართველოს პრემიერ-მინისტრი მუსლიმი თემის წარმომადგენლებს საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში შეხვდა და წმინდა თვე, რამადანი მიულოცა.

ტრადიციულად, საქართველოს პრეზიდენტი და პრემიერ-მინისტრი ებრაელთა თემის ხანუქას დღესასწაულზე, სინაგოგაში, სიმბოლურად, პირველ და მერვე სანთელს ანთებენ. 2021 წლის 28 ნოემბერს ხანუქას დღესასწაულის აღსანიშნავად, თბილისის მთავარ სინაგოგაში

გამართულ ღონისძიებას საქართველოს პრემიერ-მინისტრი, შერიგებისა და თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი, ქ. თბილისის მერი, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს თავმჯდომარე და თავმჯდომარის მოადგილე დაესწრო.

ასევე, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო რეგულარულად ხვდება სხვადასხვა რელიგიური ორგანიზაციების ლიდერებს და ესწრება მათ წლიურ ანგარიშებს, საქველმოქმედო აქციებს, კონფერენციებს, განიხილავს მათგან შემოსულ მიმართვებსა და განცხადებებს და ეხმარება საჭიროებების მიხედვით.

2021 წლის 21 დეკემბერს, საქართველოს პრეზიდენტმა, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოსთან არსებული ინტერრელიგიური სათათბიროს წევრი რელიგიური ორგანიზაციების ლიდერებსა და სააგენტოს წარმომადგენლებს პრეზიდენტის სასახლეში უმასპინძლა და დამდეგი ახალი, 2022 წელი მიულოცა.

უნდა აღინიშნოს, რომ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო მჭიდროდ თანამშრომლობს საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციასთან, რომლის ფარგლებშიც ყოველწლიურად იმართება საქმიანი და სადღესასწაულო შეხვედრები.

## კოვიდ-19 პანდემია და რელიგიის თავისუფლება

კორონავირუსის (კოვიდ-19) გავრცელების პირველივე დღეებიდან სსიპ - რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო დაუკავშირდა სააგენტოსთან არსებულ ინტერრელიგიურ სათათბიროში შემავალი რელიგიური ორგანიზაციის წევრებს, ინდივიდუალურად ჩაატარა შეხვედრები, გააცნო/განუმარტა საქართველოს პრეზიდენტის 2020 წლის 21 მარტის N1 დეკრეტის საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მარტის N181 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოში ახალი კორონავირუსის (კოვიდ-19) გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიებები“ და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს და საკოორდინაციო საბჭოს რეკომენდაციები, რის საფუძველზეც განემარტათ რელიგიური მსახურების ჩატარების პირობები, კერძოდ: როგორც დახურულ, ასევე ღია სივრცეში მონაწილეთა შორის სოციალური დისტანციის დაცვის აუცილებლობა, მრევლისთვის პირბადის გამოყენება, ჰიგიენური წესების დაცვა, ხატების, საეკლესიო თუ სხვა საკულტო ინვენტარის სპეციალური სადეზინფექციო ხსნარით დამუშავების აუცილებლობა. ამასთან, ყველა კონფესიას, მრევლისთვის გასაცნობად განემარტა სახლში დარჩენისა და საჭიროებიდან გამომდინარე, თვითიზოლაციაში ყოფნისა და ექიმისთვის მიმართვის აუცილებლობა.

შესაბამისად, კოვიდ-19 პანდემიისას 2020 და 2021 წლების განმავლობაში, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო რელიგიურ ორგანიზაციებს დეტალურად აწვდიდა ინფორმაციას არსებული რეგულაციების თაობაზე და ეხმარებოდა ამ რეგულაციების აღსრულებაში, ხოლო კოვიდ-19 პანდემიის სხვადასხვა ტალღების პიკის პერიოდში, თავად

რელიგიურმა ორგანიზაციებმა მიიღეს გადაწყვეტილება ღვთისმსახურების ჩატარების, ღვთისმსახურებათა რიცხვის შემცირების თუ გაუქმების შესახებ.

ამრიგად, 2020 და 2021 წლების საანგარიშო პერიოდში, სახელმწიფო უზრუნველყოფდა, რომ რელიგიის ან რწმენის თავისუფლების ნებისმიერი შეზღუდვა ემსახურებოდეს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ლეგიტიმურ მიზანს, წარმოადგენდეს აუცილებელ და პროპორციულ ღონისძიებას მიზნის მისაღწევად და არ იყოს დისკრიმინაციული.

სახელმწიფო მოქმედებს და კვლავაც იმოქმედებს სეკულარიზმის, თანასწორობისა და კანონის უზენაესობის კონსტიტუციური პრინციპების შესაბამისად და იყენებს არადისკრიმინაციულ ზომებს ყველა რელიგიური ორგანიზაციის მიმართ.

რაც შეეხება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის კრიზისულ სიტუაციებში, რელიგიური თემების აქტიურ ჩართულობას საზოგადოებრივი ჯანმრთელობის გამოწვევების საპასუხოდ, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს აქტიური მონაწილეობით სახელმწიფომ უკვე აამოქმედა (30 დეკემბერი, 2020 წ.) ცვლილება N975 მთავრობის განკარგულებაში: „კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეულ ინფექციაზე (კოვიდ-19) სავალდებულო ტესტირებას დაქვემდებარებულ პრიორიტეტულ პირთა ნუსხისა და ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ", სადაც „ქ" პუნქტად დაემატა სასულიერო პირთა ტესტირების შესახებ მუხლი.

2021 წლის დასაწყისშივე საქართველოს მასშტაბით, PCR ტესტირება ჩაუტარდათ მართლმადიდებელი ეკლესიისა და სხვადასხვა კონფესიის (მუსლიმთა სამმართველოს, სომეხთა სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის, სომეხთა კათოლიკური ეკლესიის, ებრაული თემის, ევანგელურ-ლუთერული ეკლესიის, ბაპტისტური ეკლესიების კავშირისა და კათოლიკური ეკლესიის) ათასობით სასულიერო პირს. ტესტირება სახელმწიფომ დააფინანსა.

აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო, სეკულარიზმის პრინციპების დაცვით, დროულად უზრუნველყოფდა პროცესის გამჭვირვალობას და როგორც აღინიშნა სწრაფადვე ახდენდა რელიგიური ორგანიზაციების ინფორმირებას.

როგორც უკვე აღინიშნა, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოსთან მოქმედებს ინტერრელიგიური სათათბირო, რომელიც თავისი ფორმატითა და შემადგენლობით ერთადერთია საქართველოში, რომელიც აერთიანებს საქართველოში მოღვაწე, როგორც რელიგიურ უმცირესობას, ისე უმრავლესობას. სწორედ ამ სათათბიროსთან აქტიური კავშირი უზრუნველყოფს ინფორმაციის უწყვეტ გაცვლას და თანამშრომლობის ხარისხის ამაღლებას სახელმწიფოსა და რელიგიურ ორგანიზაციებს შორის.

აუცილებლად აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო, ხელისუფლებასთან ერთად, რელიგიური ორგანიზაციების საჭიროებების

გასათვალისწინებლად, განსაკუთრებით აქტიურად ურთიერთობდა კოვიდ-19 პანდემიის პერიოდში საზოგადოებრივი ჯანმრთელობის კრიზისული სიტუაციების მართვაში ჩართულ ადგილობრივ და რეგიონალურ უწყებებთან, სააგენტოს რეგიონალური წარმომადგენლობების მეშვეობით, სამცხე–ჯავახეთში, შიდა ქართლსა და აჭარის ა/რ–ში.

სწორედ, რომ აღნიშნულ ინტერრელიგიურ სათათბიროსთან აქტიური თანამშრომლობით მოხერხდა რელიგიური ორგანიზაციების წარმატებული საქველმოქმედო და სოციალური საქმიანობის გათვალისწინება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის კრიზისული სიტუაციების პერიოდში. საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასთან საკოორდინაციო საბჭომ უშუალოდ ითანამშრომლა, ხოლო რელიგიური უმცირესობების სხვადასხვა უფლებების დაცვაზე იზრუნა რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტომ მათთან პირდაპირი და მუდმივი კავშირის მეშვეობით. ინტერრელიგიურ სათათბიროში შემავალი რელიგიური ორგანიზაციების გარდა, კრიზისულ პერიოდში, რელიგიის სააგენტო დაეხმარა იმ რელიგიურ ორგანიზაციებსაც, რომლებიც არ შედიან სათათბიროში, მაგრამ თხოვნით მიმართეს სააგენტოს, რის საფუძველზეც გაიცა რელიგიური ორგანიზაციების ფუნქციონირების და მათი ტრანსპორტით გადაადგილების სპეციალური საშვები, რათა არ შეზღუდულიყო რელიგიური მსახურება, საქველმოქმედო და სოციალური საქმიანობა.

ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ საქართველოს სახარების რწმენის ეკლესიისათვის საშვების გაცემის პროცესში, მათივე მოთხოვნისამებრ გაიზარდა საშვების რაოდენობა.

ამრიგად, როგორც 2020 წლის, ისე 2021 წლის განმავლობაში, და კოვიდ-19 პანდემიის ტალღების დროს, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს პირდაპირი კონტაქტი ჰქონდა ინტერრელიგიური სათათბიროს ყველა წევრთან:

- საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესია;
- სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველო;
- სომეხთა სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის საქართველოს ეპარქია;
- ლათინ კათოლიკეთა კავკასიის სამოციქულო ადმინისტრაცია;
- საქართველოს ებრაელთა კავშირი;
- თბილისის საერთაშორისო ბაპტისტური ეკლესია;
- საქართველოს ბაპტისტური ეკლესიების კავშირი;
- საქართველოს ევანგელურ-ლუთერული ეკლესია;
- საქართველოს ევანგელურ-პროტესტანტული ეკლესია;
- საქართველოს სახარების რწმენის ეკლესია;
- საქართველოს ეზიდთა სასულიერო საბჭო;
- კრიშნას ცნობიერების საერთაშორისო საზოგადოება.

ასევე, როგორც საქართველოს მასშტაბით, ისე რეგიონალურადაც რელიგიის სააგენტო და მისი რეგიონალური წარმომადგენლები ქვემო ქართლში, სამცხე-ჯავახეთსა და აჭარის ა/რ-ში

პირდაპირ კონტაქტზე იყვნენ, როგორც ზემოთ ჩამოთვლილ ინტერრელიგიური სათათბიროს წევრებთან, ასევე იმ რელიგიებთან, რომლებიც ამ ეტაპზე არ შედიან ამ სათათბიროში. ქვემოთ მოცემულია ამ რელიგიური ორგანიზაციების არასრული სია, რომლებთანაც რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო, მათი მოთხოვნისამებრ, თანამშრომლობდა კოვიდ-19 პანდემიის დროს. ეს ორგანიზაციებია:

1. „ხსნის არმია საქართველო“;
2. „სიცოცხლის სიტყვის ეკლესია“;
3. „მაცხოვრის ბიბლიური ეკლესია“;
4. „მეშვიდე დღის ქრისტიან-ადვენტისტთა ეკლესია“;
5. „წმინდა სამების პროტესტანტული ეკლესია“;
6. იეჰოვას მოწმეების ქრისტიანული კრება;
7. ბათუმის „ბიბლიური რწმენის ეკლესია“;
8. საქართველოს ბაპტისტთა ეროვნული სასულიერო კრება;
9. „ხსნის სიტყვა“.

პანდემიის პერიოდში ხელისუფლება დიალოგის, თანამშრომლობისა და ინტერრელიგიურ სათათბიროსთან აქტიური კომუნიკაციით ახდენდა პრევენციას და საჭიროების შემთხვევაში გმობდა რელიგიური ნიშნით დისკრიმინაციის, სიძულვილისა და ძალადობის ნებისმიერ გამოვლინებას. შესაბამისად ეს თანამშრომლობა აისახა  ადგილობრივ და რეგიონალურ რელიგიურ ლიდერებთანაც, რელიგიის სააგენტოს რეგიონალური სამსახურების აქტიური ჩართულობით, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის კრიზისულ სიტუაციებში დეზინფორმაციის, სიძულვილის ენის, დისკრიმინაციისა და ძალადობის დასაძლევად და საქართველოსათვის ტრადიციული შემწყნარებლობის კულტურის გასაძლიერებლად.

მეტიც, აუცილებლად აღსანიშნავია, რომ 2021 წლის 20 მაისს, რელიგიის სააგენტოს ორგანიზებით, აკადემიკოს ნ. ყიფშიძის სახელობის ცენტრალურ საუნივერსიტეტო კლინიკაში რელიგიური ორგანიზაციების (საქართველოს ებრაელთა კავშირის, სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველოს, ევანგელურ-პროტესტანტული და სახარების რწმენის ეკლესიების) წარმომადგენლებისა და რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს თანამშრომლების  ორჯერადი ვაქცინაცია განხორციელდა.

რელიგიის სააგენტომ უზრუნველყო რელიგიური კონფესიების წარმომადგენელთა ორგანიზებული ჩართვა კოვიდ-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინაციის პროცესში, რაც მაგალითის მიმცემი გახდა მრევლისთვის.

## რელიგიური ორგანიზაციების დაფინანსება საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის დროს მიყენებული ზიანის ანაზღაურების ფარგლებში

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სახელმწიფო არ არის საბჭოთა რეჟიმის სამართალმემკვიდრე და შესაბამისად, საბჭოთა ტოტალიტარული პერიოდის დროს მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულება არ აქვს, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 27 იანვრის N117 დადგენილების ფარგლებში, 4 (ოთხ) რელიგიურ მიმდინარეობას – ისლამურ, იუდეურ, რომაულ-კათოლიკურ და სომხურ-სამოციქულო აღმსარებლობის რელიგიურ გაერთიანებებს სიმბოლურად და ნაწილობრივ უნაზღაურებს საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის დროს მიყენებულ ზიანს, რომელიც ხმარდება რელიგიური თემების განვითარებას, გამთლიანებასა და ქვეყანაში მშვიდობიან თანაარსებობას. (იხილეთ ცხრილი N1).

*ცხრილი N1*

| | 2014 წ | 2015 წ | 2016 წ | 2017 წ | 2018 წ | 2019 წ | 2020 წ | 2021 წ | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| მუსლიმი თემი | 1 100 000 | 2 200 000 | 2 750 000 | 2 750 000 | 2 750 000 | 2 750 000 | 2 750 000 | 2 750 000 | 19 800 000 |
| რომაულ-კათოლიკური თემი | 200 000 | 400 000 | 550 000 | 550 000 | 550 000 | 550 000 | 550 000 | 550 000 | 3 900 000 |
| სომხური სამოციქულო ეკლესიის თემი | 300 000 | 600 000 | 800 000 | 800 000 | 800 000 | 800 000 | 800 000 | 800 000 | 5 700 000 |
| იუდეური თემი | 150 000 | 300 000 | 400 000 | 400 000 | 400 000 | 400 000 | 400 000 | 400 000 | 2 850 000 |
| სულ | 1 750 000 | 3 500 000 | 4 500 000 | 4 500 000 | 4 500 000 | 4 500 000 | 4 500 000 | 4 500 000 | 32 250 000 |

*თანხები მოცემულია ლარში

ამას გარდა, რელიგიური გაერთიანებები იღებენ ფინანსურ და ქონებრივ დახმარებას ადგილობრივი ბიუჯეტებიდან, მათ თემში არსებული რელიგიური საჭიროებების დაკმაყოფილების მიზნით.

## რელიგიურ გაერთიანებათა ქონებრივი და ფინანსური საკითხების შემსწავლელი სარეკომენდაციო კომისია

### სარეკომენდაციო კომისიის სხდომები

2021 წელს რელიგიურ გაერთიანებათა ქონებრივი და ფინანსური საკითხების შემსწავლელი კომისიის 4 სხდომა გაიმართა. ჯამში, კომისიამ 147 საკითხი განიხილა, აქედან:

| რელიგიური თემი | შუამდგომლობა | დაკმაყოფილდა | ხარვეზი | უარი |
|---|---|---|---|---|
| საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესია | 143 | 102 | 8 | 33 |
| მუსლიმი თემი | 1 | 1 | 0 | 0 |
| სომეხთა სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის საქართველოს ეპარქია | 3 | 3 | 0 | 0 |

**2021 წლის 5 მარტი - I სხდომა**

| რელიგიური თემი | შუამდგომლობა | დაკმაყოფილდა | ხარვეზი | უარი |
|---|---|---|---|---|
| საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესია | 55 | 43 | 2 | 10 |

**2021 წლის 14 ივნისი - II სხდომა**

| რელიგიური თემი | შუამდგომლობა | დაკმაყოფილდა | ხარვეზი | უარი |
| --- | --- | --- | --- | --- |
| საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესია | 47 | 29 | 3 | 15 |
| სომეხთა სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის საქართველოს ეპარქია | 1 | 1 | | |

**2021 წლის 7 სექტემბერი - III სხდომა**

| რელიგიური თემი | შუამდგომლობა | დაკმაყოფილდა | ხარვეზი | უარი |
| --- | --- | --- | --- | --- |
| საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესია | 22 | 17 | 2 | 3 |
| მუსლიმი თემი | 1 | 1 | | |

**2021 წლის 15 დეკემბერი - IV სხდომა**

| რელიგიური თემი | შუამდგომლობა | დაკმაყოფილდა | ხარვეზი | უარი |
| --- | --- | --- | --- | --- |
| საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესია | 19 | 13 | 1 | 5 |
| სომეხთა სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის საქართველოს ეპარქია | 2 | 2 | | |

## რელიგიურ უმცირესობებთან ურთიერთობა და საქველმოქმედო აქციები

რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო მჭიდროდ თანამშრომლობს სხვადასხვა რელიგიურ გაერთიანებებთან საქართველოს რეგიონებში კომპაქტურად მცხოვრები რელიგიური უმცირესობების საჭიროებების მოსაგვარებლად. 2021 წლის 18 მარტს, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს წარმომადგენლებმა გორში ევანგელურ-პროტესტანტული ეკლესია მოინახულეს და ეკლესიაში ჩატარებული სამშენებლო სამუშაოების შესახებ ინფორმაცია მიიღეს. შეხვედრისას გაირკვა, რომ გორის ევანგელურ-პროტესტანტულ ეკლესიას ესაჭიროება სამლოცველო დარბაზი, რომლის მშენებლობაში თანადგომა სააგენტოს წარმომადგენლობამ გამოხატა.

2021 წელს, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს ინიციატივით სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველოს გაეწია დახმარება: ქ. ბათუმის მთავარ მეჩეთს ჩაუტარდა რეკონსტრუქცია/რემონტი; გამოსყიდულ იქნა მეჩეთის გარშემო ათვისებული კომერციული ფართები, რომლებიც მიუერთდა მეჩეთს; შეკეთდა სახურავი, გარემონტდა და შეიღება მეჩეთის ფასადი და შიდა კედლები; შეიცვალა იატაკი და გაკეთდა გათბობა; გაფართოვდა მეჩეთის პირველი და მეორე სართული; დაემატა და გარემონტდა დიდი მოცულობის ფართები, კერძოდ: დარბაზი, სტუმრების და ჰაჯების ოთახი, ასევე მოწესრიგდა ეზო, შეიღება გაზონები და დაირგო მწვანე ნარგავები. შესაბამისად, რელიგიურ დღესასწაულებზე მეჩეთი სრულყოფილად იტევს მრევლს და აღარ ხდება მეჩეთის გარეთ ლოცვა.

რელიგიურ უმცირესობებთან თანამშრომლობის ფარგლებში რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტომ 2021 წელს გააგრძელა საქველმოქმედო საქმიანობა, რომელსაც 2015 წლიდან რეგულარულად ახორციელებს. 2021 წელს საქველმოქმედო აქციები ჩატარდა შემდეგ რეგიონებში:

1. 2021 წლის 9 თებერვალს, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტომ და თბილისის საერთაშორისო ბაპტისტურმა ეკლესიამ ერთობლივი საქველმოქმედო აქცია გამართეს და ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურს გადასაადგილებელი სამედიცინო ინვენტარი (ყავარჯნები, ხელჯოხები, გადასაადგილებელი ჩარჩოები) და ინტერრელიგიური კალენდრები გადასცეს;

2. 2021 წლის 23 თებერვალს, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტომ და საქართველოს ბაპტისტური ეკლესიების კავშირმა ერთობლივი საქველმოქმედო აქცია გამართეს სურამში და სურამის სოციალური თერაპიის სახლს „ანთილიოსი“ 10 ყუთი თბილი ტანსაცმელი გადასცეს;

3. 2021 წლის 1 მარტს, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტომ და თბილისის საერთაშორისო ბაპტისტურმა ეკლესიამ თბილისის 202-ე საჯარო სკოლის უსინათლო და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე 50-მდე მოსწავლეს სხვადასხვა საჩუქრები და სააგენტოს

მიერ ბრაილის შრიფტით გამოცემული ყოველწლიური ინტერრელიგიური კალენდრები გადასცეს;

4. 2021 წლის 15 მარტს, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოსა და საქართველოს ბაპტისტური ეკლესიების კავშირის წარმომადგენლები ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურს ეწვივნენ და ვეტერანთა ოჯახებს 160 ყუთი ტანსაცმელი გადასცეს;

5. 2021 წლის 19 მარტს, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტომ და საქართველოს ბაპტისტური ეკლესიების კავშირმა მორიგი საქველმოქმედო აქცია გამართეს მარნეულის მუნიციპალიტეტის დაბა შაუმიანში მცხოვრები ცხინვალის რეგიონიდან დევნილი ბავშვებისათვის, რომელთაც საბავშვო საჩუქრების 40 ყუთი და 160 ყუთი თბილი ტანსაცმელი გადაეცათ;

6. 2021 წლის 1 აპრილს, რელიგიის სააგენტოსა და საქართველოს ბაპტისტური ეკლესიების კავშირის წარმომადგენლები აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკიდან იძულებით გადაადგილებულ მოსახლეობას შეხვდნენ და მათ 160 ყუთი ტანსაცმელი გადასცეს;

7. 2021 წლის 13 აპრილს, სააგენტოსა და საქართველოს ბაპტისტური ეკლესიების კავშირის ხელმძღვანელობა მარტვილის რაიონის სოფელ სალხინოს ამბროსი ხელაიას სახელობის სკოლა-პანსიონს ესტუმრა და სასწავლებლის მოსწავლეებს 170 ფუთა ტანსაცმელი და სასწავლო ნივთების 150 ყუთი გადასცეს;

8. 2021 წლის 25 ივნისს, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს ინიციატივით, საქართველოს ბაპტისტური ეკლესიების კავშირის წარმომადგენლებმა საქველმოქმედო აქცია ახალციხეში გამართეს. აქციის ფარგლებში, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ახალციხის, ტაო-კლარჯეთის და ლაზეთის ეპარქიის სოციალურად დაუცველ მრევლს დიდი რაოდენობით ტანისამოსი გადაეცა;

9. 2021 წლის 27 ივნისს, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტომ საქველმოქმედო აქცია გამართა წალკაში. აქციის მონაწილეები წალკელ ეპისკოპოსს გრიგოლს (კაცია) შეხვდნენ და ეპარქიის სოციალურად დაუცველი წევრების საჭიროებისათვის საჩუქრად 22 ფუთა ტანსაცმელი და 65 საბავშვო ყუთი გადასცეს;

10. 2021 წლის 2 ივლისს, ზუგდიდის დევნილთა პოლიკლინიკაში, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტომ და საქართველოს ბაპტისტური ეკლესიების კავშირმა ერთობლივი საქველმოქმედო აქცია გამართეს. უკრაინელმა ექიმ-ოფთალმოლოგებმა, რომლებიც, ამავდროულად, უკრაინის ბაპტისტური ეკლესიის წევრები არიან, უფასო სამედიცინო კონსულტაციები ჩაუტარეს ზუგდიდში მცხოვრებ აფხაზეთიდან დევნილ მოსახლეობას, შემდგომ კი საჩუქრად სათვალეები გადასცეს;

11. 2021 წლის 3 ივლისს, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტომ და საქართველოს ბაპტისტური ეკლესიების კავშირმა მორიგი ერთობლივი საქველმოქმედო აქცია გამართეს და ზუგდიდში მცხოვრებ აფხაზეთიდან დევნილ, სოციალურად დაუცველ მოსახლეობას 50 ფუთა ტანისამოსი გადასცეს;

12. 2021 წლის 29 სექტემბერს, საქველმოქმედო აქცია გაიმართა ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ არლის წმ. ნინოს ეკლესიაში, სადაც სამრევლო სკოლასთან არსებულ გუნდ „ირმისა“-ს ბავშვებს სასკოლო ნივთები საჩუქრად გადაეცათ.;

13. 2021 წლის 28 დეკემბერს, თბილისში მდებარე ხანდაზმულთა ლაზარეთს, რელიგიის სააგენტოს თანამშრომლები ეწვივნენ. მათ წინასაახალწლოდ ლაზარეთის ბენეფიციარებს რელიგიის სააგენტოს თანამშრომელთა საჩუქრები - ტკბილეული, ხილი და საკვები გადასცეს.

## სხვადასხვა შეხვედრები

2021 წლის 26 იანვარს, სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველოში რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს წარმომადგენლობამ გაცნობითი ხასიათის შეხვედრა გამართა აღმოსავლეთ საქართველოს ახლად არჩეულ მუფთ, ეტიბარ ემინოვთან. სააგენტოს წარმომადგენლებმა ეტიბარ ემინოვს მუფთად არჩევა მიულოცეს, წარმატებები უსურვეს და ურთიერთთანამშრომლობის სურვილი გამოთქვეს.

2021 წლის 11 მარტს, რელიგიის სააგენტოს დელეგაცია მონაწილეობდა საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის (რონდელის ფონდი) მიერ გამართულ - მრგვალი მაგიდა თემაზე - თემთა შორის თანამშრომლობის გაღრმავება ადიგენის მუნიციპალიტეტში, სადაც რეგიონში არსებული პრობლემების შესახებ მსჯელობდნენ ადიგენის ადგილობრივ რელიგიურ თემთა (მართლმადიდებლები, მუსლიმები, კათოლიკეები) ლიდერები, ადიგენის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ხელისუფლების, საქართველოს პარლამენტის, მთავრობის ადმინისტრაციის, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს წარმომადგენლები.

2021 წლის 19 მაისს, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს სამუშაო ვიზიტის ფარგლებში ესტუმრნენ, ვიდა მონტვიდაიტე, ლიეტუვის მთავრობის ადმინისტრაციასთან არსებული ეროვნული უმცირესობების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, არტურ ლიუდკოვსკი ლიეტუვის პრემიერ-მინისტრის მრჩეველი ეროვნული უმცირესობების საკითხებში და ანდრიუს კალინდრა, ლიეტუვის რესპუბლიკის ელჩი საქართველოში.

2021 წლის 19 მაისს, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს სამუშაო ვიზიტის ფარგლებში ესტუმრნენ ვაგიფ სეიდბაილი

აზერბაიჯანის რესპუბლიკის დიასპორასთან მუშაობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, ვუსალ მამადოვი აზერბაიჯანის რესპუბლიკის დიასპორასთან მუშაობის სახელმწიფო კომიტეტის საქართველოსთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი და ფაიგ გულიევი აზერბაიჯანის რესპუბლიკის ელჩი საქართველოში.

2021 წლის 26 ივნისს, ანთიმოზობის დღესასწაულთან დაკავშირებით, ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ უდეში, წმინდა ანთიმოზ ივერიელის სახელობის მამათა მონასტერში სადღესასწაულო წირვა ახალციხისა და ტაო-კლარჯეთის მიტროპოლიტმა თეოდორემ (ჭუაძე) აღავლინა. წირვას დაესწრნენ: საქართველოს პარლამენტის, სახელმწიფო რწმუნებული სამცხე-ჯავახეთის მხარეში, ადიგენის მუნიციპალიტეტისა და საკრებულოს, ასპინძის მუნიციპალიტეტისა და რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს წარმომადგენლები.

2021 წლის 15 ნოემბერს, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს წარმომადგენლობამ ირანის დელეგაციას უმასპინძლა, რომლის შემადგენლობაშიც იყვნენ აიათოლა შაჰრისტანის მრჩეველი, ახალგაზრდობისა და ელიტარული ნიჭიერების ცენტრის ხელმძღვანელი დოქტორ მოჰამად რუჰანი, ალულ ბეითის მედიის მრჩეველი ამინ ჰოსენ მირჰოსეინი და ალულ ბეითის წარმომადგენელი საქართველოში, ფაიგ ნაბიევი.  შეხვედრა გაცნობით ხასიათს ატარებდა.

2021 წლის 24 ნოემბერს, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს ესტუმრნენ თურქეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში, ფატმა ჯერენ იაზგანი, თურქეთის არასამთავრობო ორგანიზაციის ხელმძღვანელი, აბდურაჰმან თოფბაში, საქართველოში თურქეთის რესპუბლიკის საელჩოს რელიგიის ატაშე, აჰმედ ერდემი და საქართველოს ახალგაზრდობის დახმარების და ცნობიერების ამაღლების არასამთავრობო ორგანიზაციის ხელმძღვანელი მუსა ჰაჯიევი. შეხვედრაზე ისაუბრეს არასამთავრობო ორგანიზაცია “HUDAYI VAKFI” შესახებ, რომელიც ახორციელებს ჰუმანიტარულ დახმარებას და რელიგიური კუთხით საზოგადოების სწორ ინფორმირებას და ცნობიერების ამაღლებას.

2021 წლის 9 დეკემბერს, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტომ ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მონიტორინგის კომიტეტის დელეგაციას უმასპინძლა. დელეგაციის შემადგენლობაში იყვნენ: თანამომხსენებლები - რუმინეთი, სოციალისტების ჯგუფის წარმომადგენელი ტიტუს კორლატეანი და ლიბერალებისა და დემოკრატების ალიანსი ევროპისთვის წარმომადგენელი კლოდ კერნი, ევროპის საბჭოს მონიტორინგის კომიტეტის სამდივნოს უფროსის მოადგილე, ბას კლეინი, საქართველოში ევროპის საბჭოს ოფისის ხელმძღვანელი, ნატალია ვუტოვა, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეაში საქართველოს დელეგაციის მდივანი, ალექსანდრე რამიშვილი, საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროპის საბჭოს სამმართველოს უფროსი, ანა დობორჯგინიძე.

შეხვედრაზე ისაუბრეს საქართველოს სახელმწიფოს რელიგიური პოლიტიკის შესახებ, რელიგიის სააგენტოს საქმიანობის ძირითად მიმართულებებზე და ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანთა რელიგიური უფლებების დარღვევის ფაქტებთან დაკავშირებით.

### შეხვედრები დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებთან

რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო აქტიურად თანამშრომლობს დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებთან, მართავს გაცნობითი და სამუშაო ხასიათის შეხვედრებს და აცნობს მათ სააგენტოს საქმიანობას, განხორციელებულ პროექტებსა და სამომავლო გეგმებს. მიუხედავად საყოველთაო პანდემიისა, 2021 წელს რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს თავმჯდომარემ მნიშვნელოვანი შეხვედრები გამართა, კერძოდ:

• საქართველოში ლიეტუვას რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩ, ანდრიუს კალინდრასთან - 04.02.2021;

• საქართველოში იაპონიის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩ, იმამურა აკირასთან და კულტურის ატაშე იმანიში ტაკაოსთან - 11.03.2021;

• საქართველოში ავსტრიის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩ, თომას მიულმანთან - 30.03.2021;

• საქართველოში ირანის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩ, აქბარ ყასემი ალიაბადისთან - 06.04.2021;

. საქართველოში აზერბაიჯანის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩ, ფაიგ გულიევთან -20.04.2021 / 20.10.2021;

. ევროსაბჭოს ოფისის ხელმძღვანელ, ნატალია ვუტოვასთან - 27. 04.2021;

• საქართველოში რუმინეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩ, რაზვან როტუნდუსთან - 15.06.2021.

### ვიზიტები საზღვარგარეთ

### ვიზიტი აზერბაიჯანის რესპუბლიკაში

რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს დელეგაცია უცხოეთში ვიზიტისას, რელიგიის მიმართულებით არსებულ საკითხებზე მსჯელობისა და გამოცდილების გაზიარების მიზნით, შეხვედრებს მართავს კოლეგა, რელიგიური და სხვა უწყებების ხელმძღვანელ პირებთან.

2021 წლის 26 აგვისტოს რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს დელეგაცია სააგენტოს თავმჯდომარე ზაზა ვაშაყმაძის ხელმძღვანელობით აზერბაიჯანის რესპუბლიკას ეწვია,

სადაც შეხვედრები გაიმართა, როგორც საკანონმდებლო ისე აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებთან, ასევე კოლეგა ორგანიზაციის, აზერბაიჯანის რესპუბლიკის რელიგიური ასოციაციების სახელმწიფო კომიტეტის ხელმძღვანელ პირებთან, კერძოდ:

1) აზერბაიჯანის რესპუბლიკის ვიცე-პრემიერთან, ალი აჰმადოვთან - 28.08.2021;

2) აზერბაიჯანის რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილესთან, რელიგიური გაერთიანებების საპარლამენტო კომიტეტის ხელმძღვანელთან ფაზაილ იბრაჰიმლისთან - 27.08.2021;

3) აზერბაიჯანის რესპუბლიკის კულტურის მინისტრის პირველ მოადგილესთან, ვაგიფ ალიევთან - 28.08.2021;

4) აზერბაიჯანის რესპუბლიკის დიასპორასთან მუშაობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის პირველ მოადგილესთან, ვალეჰ ჰაჯიევთან - 27.08.2021;

5) აზერბაიჯანის რესპუბლიკის რელიგიური ასოციაციების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე მუბარიზ გურბანლიმთან და თავმჯდომარის მოადგილე გუნდუზ ისმაილოვთან - 26.08.2021;

6) აზერბაიჯანში კავკასიის მუსლიმთა სამმართველოს თავმჯდომარესთან, შეიხ-ულ-ისლამ ჰაჯი ალაჰშუქურ ფაშაზადესთან - 29.08.2021.

2021 წლის 26 აგვისტოს რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს დელეგაცია ბაქოში, მოწამეთა ხეივანს ეწვია. მათ გვირგვინით შეამკეს და პატივი მიაგეს საბჭოთა პერიოდში, „შავ იანვარს“ დახვრეტილი აზერბაიჯანელი დემონსტრანტების ხსოვნას.

2021 წლის 26 აგვისტოს, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს დელეგაციის წევრებმა ყვავილებით შეამკეს აზერბაიჯანის გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწისა და ეროვნული ლიდერის, ჰეიდარ ალიევის ძეგლი.

2021 წლის 28 აგვისტოს, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს დელეგაცია საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი აზერბაიჯანის რესპუბლიკაში ზურაბ პატარაძე, საქართველოს გენერალური კონსული ქ. განჯაში ნიკოლოზ იაშვილი კახის რაიონის სოფელ კახინგილოში ჩავიდნენ. სააგენტოს დელეგაცია რეგიონში კომპაქტურად მცხოვრები ქართველი ეროვნების მოსახლეობას შეხვდა და საქართველოს მთავრობის სახელით, მარიამობის დღესასწაული მიულოცა.

2021 წლის 29 აგვისტოს, სააგენტოს დელეგაციამ ასევე მოინახულა კახის რაიონის სოფელ კახინგილოს ქართული საშუალო სკოლა.

2021 წლის 30 აგვისტოს, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს დელეგაცია კახის რაიონის, სოფელ ალიბეგლოს წმინდა ნინოს ეკლესიას ეწვია.

2021 წლის 30 აგვისტოს, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს დელეგაცია კახის რაიონის, სოფელ ალიბეგლოს ქართული სახელმწიფო თეატრს ესტუმრა. ალიბეგლოს ილია ჭავჭავაძის სახელობის ქართულმა თეატრმა ფუნქციონირება 1985 წელს დაიწყო და მის რეპერტუარში ქართველი და უცხოელი დრამატურგების ნაწარმოებები იყო.

2021 წლის 31 აგვისტოს, აზერბაიჯანის რესპუბლიკაში ვიზიტის ფარგლებში, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს დელეგაცია კახის რაიონის სოფელ ქოთოქლოს (შუახევის) ყოვლადწმინდა სამების ეკლესიას ეწვია.

## მედიასთან ურთიერთობა

რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო პრიორიტეტულად მიიჩნევს ღია და გამჭვირველე ურთიერთობას მედიასთან.

სააგენტოს ვებგვერდზეა ატვირთული რელიგიის სააგენტოს ნებისმიერი პუბლიკაცია, ინტერრელიგიური კალენდარი და რელიგიური რუკები.

სააგენტოს წარმომადგენელთა ნებისმიერი აქტივობა: შეხვედრები, ვიზიტები, კონფერენციები, სხვადასხვა ღონისძიებებში მონაწილეობა იტვირთება სააგენტოს ვებგვერდებზე, „ფეისბუკზე“, „ტვიტერზე“, შუქდება და ვრცელდება მედიასაშუალებებით, საინფორმაციო სააგენტო „ინტერპრესნიუსის“ მეშვეობით,

საანგარიშო პერიოდში, 2021 წელს გავიდა 254 ინფორმაცია თავისი ფოტომასალით. „ტვიტერით“ 2021 წელს გავრცელდა 51 ინფორმაცია.

2021 წელს, საინფორმაციო სააგენტო „ინტერპრესნიუსის“ მეშვეობით გავრცელდა რელიგიის სააგენტოს 186 ინფორმაცია.

2021 წელს სხვადასხვა სატელევიზიო არხებით გაშუქდა რელიგიის სააგენტოს 58 ღონისძიება.

## დანართი - ადმინისტრაციული ანგარიში

2021 წელს ადმინისტრაციული ხარჯებისთვის გაფორმებულია 30 (ოცდაათი) ხელშეკრულება, მათ შორის, კონსოლიდირებული ტენდერით 7 (შვიდი) ხელშეკრულება, ელექტრონული ტენდერით 6 (ექვსი) ხელშეკრულება, ხოლო გამარტივებული შესყიდვით 17 (ჩვიდმეტი) ხელშეკრულება.

ყოველთვიურად ელექტრონულად მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადებში წარდგენილია ელექტრონული დეკლარაციები.

ყოველ კვარტალურად საქართველოს ფინანსთა სამინისტროში ელექტრონულად (https://www.ebudget.ge/) წარდგენილია ბიუჯეტის შესრულების ანგარიში.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში ელექტრონულად ატვირთულია გეგმა (EPLAN), ყველა ხელშეკრულება და ყველა ხელშეკრულების ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტი, როგორც CMR-ზე, ასევე SPA-ზე.

განხორციელდა 6 (ექვსი) ელექტრონული ტენდერი. ატვირთულია კანონმდებლობით დადგენილ ვადებში ტექნიკური დოკუმენტაცია, შესაბამისი ოქმები. ხელშეკრულებები, შესრულებები და გადახდები.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურში დარეგისტრირებულია 30 (ოცდაათი) ადმინისტრაციული ხელშეკრულება (ორგანიზაციული კოდი 5001) და 8 (რვა) სხვადასხვა რელიგიურ წარმომადგენლობებთან (ორგანიზაციული კოდი 5002) გაფორმებული ხელშეკრულებები (სსიპ სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველო (2), სსიპ საქართველოს ებრაელთა კავშირი (2), სსიპ სომეხთა სამოციქულო მართლმადიდებელი წმიდა ეკლესიის საქართველოს ეპარქია (2) და სსიპ ლათინ კათოლიკეთა კავკასიის სამოციქულო ადმინისტრაცია (2)).

## ინფორმაცია ფინანსური მდგომარეობის შესახებ 2021 წ.

სსიპ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო

| **ორგანიზაციული კოდი** | **დასახელება** | **2021 წლის დამტკიცებული გეგმა** | **საკასო შესრულება** | **შესრულების პროცენტული მაჩვენებელი საკასო შესრულების დამტკიცებულ გეგმასთან მიმართებაში** |
|---|---|---|---|---|
| **50 00** | **სსიპ - რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო** | **5,330,000** | **5,315,667** | 99.73% |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 22 | 22 | |
| | ჯამური | 5,330,000 | 5,315,667 | 99.73% |
| 2 | ხარჯები | 5,320,000 | 5,315,667 | 99.92% |
| 2.1 | შრომის ანაზღაურება | 587,000 | 585,800 | 99.80% |
| **2.2** | საქონელი და მომსახურება | 229,500 | 229,381 | 99.95% |
| **2.5** | სუბსიდიები | 4,500,000 | 4,500,000 | 100.00% |
| 2.7 | სოციალური უზრუნველყოფა | 2,500 | 0 | 0.00% |
| **2.8** | სხვა ხარჯები | 1,000 | 486 | 48.60% |
| **3.1** | არაფინანსური აქტივების ზრდა | 10,000 | - | 0.00% |
| **50 01** | **სსიპ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო-ადმინისტრაციული ხარჯები** | **830,000** | **815,667** | 98.27% |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 22 | 22 | 100.00% |
| | ჯამური | 830,000 | 815,667 | 98.27% |
| 2 | ხარჯები | 820,000 | 815,667 | 99.47% |
| **2.1** | შრომის ანაზღაურება | 587,000 | 585,800 | 99.80% |
| **2.2** | საქონელი და მომსახურება | 229,500 | 229,381 | 99.95% |
| 2.2.1 | შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ანაზღაურება | | 82,278 | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 2.2.2 | მივლინება | | 13,536 | |
| 2.2.3 | ოფისის ხარჯები | | 72,658 | |
| 2.2.4 | წარმომადგენლობითი ხარჯები | | 3,712 | |
| 2.2.6 | სამედიცინო ხარჯები | | 315 | |
| 2.2.8 | ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები | | 32,607 | |
| 2.2.10.14 | სხვა დანარჩენ საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული დანარჩენი ხარჯი | | 24,275 | |
| 2.7 | სოციალური უზრუნველყოფა | 2,500 | - | 0.00% |
| **2.8** | სხვა ხარჯები | 1,000 | 486 | 48.60% |
| 3.1 | არაფინანსური აქტივების ზრდა | 10,000 | - | 0.00% |
| **50 02** | **რელიგიური გაერთიანებების დაფინანსება** | **4,500,000** | **4,500,000** | 100.00% |
| 2 | ხარჯები | 4,500,000 | 4,500,000 | 100.00% |
| 2.5.3 | სუბსიდიები | 4,500,000 | 4,500,000 | 100.00% |

## ინფორმაცია 2021 წლის მივლინების შესახებ

205311232 სსიპ - რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო

| მივლინების დოკუმენტი | მივლინების ადგილი | სახელი და გვარი | ხარჯი ტიპი | დღეების რაოდენობა | თანხა |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | | |
| ბრძანება 1 | საქართველო-თეთრი წყარო | აბაი ფაშაევი | დღიური ნორმა | 1 | **15.00** |
| ბრძანება 1 | საქართველო-თეთრი წყარო | აბაი ფაშაევი | დღიური ნორმა | 1 | **15.00** |
| ბრძანება 1 | საქართველო-თეთრი წყარო | ზვიადი ტყაბლაძე | დღიური ნორმა | 1 | **15.00** |
| ბრძანება 1 | საქართველო-თეთრი წყარო | ზვიადი ტყაბლაძე | დღიური ნორმა | 1 | **15.00** |
| ბრძანება 2 | საქართველო-ახმეტა | გიორგი პატაშური | დღიური ნორმა | 1 | **15.00** |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ბრძანება 2 | საქართველო-ახმეტა | ომარ ჭიკაძე | დღიური ნორმა | 1 | **15.00** |
| ბრძანება 3 | საქართველო-ხაშური | ალექსანდრე შეყილაძე | დღიური ნორმა | 1 | **15.00** |
| ბრძანება 3 | საქართველო-ხაშური | სერგო ფარულავა | დღიური ნორმა | 1 | **15.00** |
| ბრძანება 3 | საქართველო-ხაშური | ელვარდი ზაზაძე | დღიური ნორმა | 1 | **15.00** |
| ბრძანება 4 | საქართველო-ბათუმი | გიორგი უკლება | დღიური ნორმა | 3 | **45.00** |
| ბრძანება 4 | საქართველო-ბათუმი | გიორგი უკლება | სასტუმროს ხარჯი | 2 | **180.00** |
| ბრძანება 4 | საქართველო-ბათუმი | აბესალომ ასლანიძე | დღიური ნორმა | 3 | **45.00** |
| ბრძანება 7 | საქართველო-სტეფანწმინდა | ალექსანდრე შეყილაძე | დღიური ნორმა | 1 | **15.00** |
| ბრძანება 7 | საქართველო-სტეფანწმინდა | ომარ ჭიკაძე | დღიური ნორმა | 1 | **15.00** |
| ბრძანება 8 | საქართველო-გორი | ზაზა ვაშაყმაძე | დღიური ნორმა | 1 | **15.00** |
| ბრძანება 8 | საქართველო-გორი | გიორგი პატაშური | დღიური ნორმა | 1 | **15.00** |
| ბრძანება 8 | საქართველო-გორი | გიორგი უკლება | დღიური ნორმა | 1 | **15.00** |
| ბრძანება 8 | საქართველო-გორი | ომარ ჭიკაძე | დღიური ნორმა | 1 | **15.00** |
| ბრძანება 9 | საქართველო-ონი | კონსტანტინე ჩრდილელი | დღიური ნორმა | 1 | **15.00** |
| ბრძანება 9 | საქართველო-ონი | ომარ ჭიკაძე | დღიური ნორმა | 1 | **15.00** |
| ბრძანება 10 | საქართველო-ზუგდიდი | გიორგი პატაშური | დღიური ნორმა | 2 | **30.00** |
| ბრძანება 10 | საქართველო-ზუგდიდი | გიორგი პატაშური | სასტუმროს ხარჯი | 1 | **100.00** |
| ბრძანება 10 | საქართველო-ზუგდიდი | ომარ ჭიკაძე | დღიური ნორმა | 2 | **30.00** |
| ბრძანება 10 | საქართველო-ზუგდიდი | ომარ ჭიკაძე | სასტუმროს ხარჯი | 1 | **100.00** |
| ბრძანება 14 | საქართველო-მარტვილი | ზაზა ვაშაყმაძე | დღიური ნორმა | 2 | **30.00** |
| ბრძანება 14 | საქართველო-მარტვილი | გიორგი უკლება | დღიური ნორმა | 2 | **30.00** |
| ბრძანება 14 | საქართველო-მარტვილი | ომარ ჭიკაძე | დღიური ნორმა | 2 | **30.00** |
| ბრძანება 16 | საქართველო-ბათუმი | დავითი დავითაშვილი | დღიური ნორმა | 3 | **45.00** |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ბრძანება 16 | საქართველო-ბათუმი | დავითი დავითაშვილი | სასტუმროს ხარჯი | 2 | **200.00** |
| ბრძანება 16 | საქართველო-ბათუმი | ზაზა ვაშაყმაძე | დღიური ნორმა | 3 | **45.00** |
| ბრძანება 16 | საქართველო-ბათუმი | ზაზა ვაშაყმაძე | სასტუმროს ხარჯი | 2 | **200.00** |
| ბრძანება 16 | საქართველო-ბათუმი | გიორგი პატაშური | დღიური ნორმა | 3 | **45.00** |
| ბრძანება 16 | საქართველო-ბათუმი | გიორგი პატაშური | სასტუმროს ხარჯი | 2 | **200.00** |
| ბრძანება 16 | საქართველო-ბათუმი | გიორგი უკლება | დღიური ნორმა | 3 | **45.00** |
| ბრძანება 16 | საქართველო-ბათუმი | გიორგი უკლება | სასტუმროს ხარჯი | 2 | **200.00** |
| ბრძანება 16 | საქართველო-ბათუმი | აბაი ფაშაევი | დღიური ნორმა | 3 | **45.00** |
| ბრძანება 16 | საქართველო-ბათუმი | აბაი ფაშაევი | სასტუმროს ხარჯი | 2 | **200.00** |
| ბრძანება 16 | საქართველო-ბათუმი | ომარ ჭიკაძე | დღიური ნორმა | 3 | **45.00** |
| ბრძანება 16 | საქართველო-ბათუმი | ომარ ჭიკაძე | სასტუმროს ხარჯი | 2 | **200.00** |
| ბრძანება 16 | საქართველო-ბათუმი | ელვარდი ზაზაძე | დღიური ნორმა | 3 | **45.00** |
| ბრძანება 16 | საქართველო-ბათუმი | ელვარდი ზაზაძე | სასტუმროს ხარჯი | 2 | **200.00** |
| ბრძანება 16 | საქართველო-ბათუმი | ზვიადი ტყაბლაძე | დღიური ნორმა | 3 | **45.00** |
| ბრძანება 16 | საქართველო-ბათუმი | ზვიადი ტყაბლაძე | სასტუმროს ხარჯი | 2 | **200.00** |
| ბრძანება 18 | საქართველო-ბათუმი | გიორგი უკლება | დღიური ნორმა | 3 | **45.00** |
| ბრძანება 18 | საქართველო-ბათუმი | გიორგი უკლება | სასტუმროს ხარჯი | 2 | **300.00** |
| ბრძანება 21 | საქართველო-ახალციხე | დავითი დავითაშვილი | დღიური ნორმა | 2 | **30.00** |
| ბრძანება 21 | საქართველო-ახალციხე | დავითი დავითაშვილი | სასტუმროს ხარჯი | 1 | **110.00** |
| ბრძანება 21 | საქართველო-ახალციხე | ზაზა ვაშაყმაძე | დღიური ნორმა | 2 | **30.00** |
| ბრძანება 21 | საქართველო-ახალციხე | ზაზა ვაშაყმაძე | სასტუმროს ხარჯი | 1 | **110.00** |
| ბრძანება 21 | საქართველო-ახალციხე | გიორგი უკლება | დღიური ნორმა | 2 | **30.00** |
| ბრძანება 21 | საქართველო-ახალციხე | გიორგი უკლება | სასტუმროს ხარჯი | 1 | **110.00** |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ბრძანება 21 | საქართველო-ახალციხე | ომარ ჭიკაძე | დღიური ნორმა | 2 | **30.00** |
| ბრძანება 21 | საქართველო-ახალციხე | ომარ ჭიკაძე | სასტუმროს ხარჯი | 1 | **110.00** |
| ბრძანება 21 | საქართველო-ახალციხე | ზვიადი ტყაბლაძე | დღიური ნორმა | 2 | **30.00** |
| ბრძანება 21 | საქართველო-ახალციხე | ზვიადი ტყაბლაძე | სასტუმროს ხარჯი | 1 | **110.00** |
| ბრძანება 22 | საქართველო-გორი | ზაზა ვაშაყმაძე | დღიური ნორმა | 1 | **15.00** |
| ბრძანება 22 | საქართველო-გორი | გიორგი უკლება | დღიური ნორმა | 1 | **15.00** |
| ბრძანება 22 | საქართველო-გორი | ომარ ჭიკაძე | დღიური ნორმა | 1 | **15.00** |
| ბრძანება 22 | საქართველო-ზუგდიდი | ზაზა ვაშაყმაძე | დღიური ნორმა | 2 | **30.00** |
| ბრძანება 22 | საქართველო-ზუგდიდი | ნინო ჭავჭავაძე | დღიური ნორმა | 2 | **30.00** |
| ბრძანება 22 | საქართველო-ზუგდიდი | გიორგი უკლება | დღიური ნორმა | 2 | **30.00** |
| ბრძანება 22 | საქართველო-ზუგდიდი | ომარ ჭიკაძე | დღიური ნორმა | 2 | **30.00** |
| ბრძანება 23 | საქართველო-წალკა | ზაზა ვაშაყმაძე | დღიური ნორმა | 1 | **15.00** |
| ბრძანება 23 | საქართველო-წალკა | გიორგი უკლება | დღიური ნორმა | 1 | **15.00** |
| ბრძანება 23 | საქართველო-წალკა | აბაი ფაშაევი | დღიური ნორმა | 1 | **15.00** |
| ბრძანება 23 | საქართველო-წალკა | ომარ ჭიკაძე | დღიური ნორმა | 1 | **15.00** |
| ბრძანება 25 | საქართველო-ზუგდიდი | ზაზა ვაშაყმაძე | დღიური ნორმა | 2 | **30.00** |
| ბრძანება 25 | საქართველო-ზუგდიდი | ომარ ჭიკაძე | დღიური ნორმა | 2 | **30.00** |
| ბრძანება 33 | საქართველო-მარტვილი | გიორგი უკლება | დღიური ნორმა | 1 | **15.00** |
| ბრძანება 36 | საქართველო-ბათუმი | ზაზა ვაშაყმაძე | დღიური ნორმა | 6 | **90.00** |
| ბრძანება 42 | საქართველო-ლაგოდეხი | ომარ ჭიკაძე | დღიური ნორმა | 1 | **15.00** |
| ბრძანება 43 | საქართველო-ქუთაისი | გიორგი უკლება | დღიური ნორმა | 1 | **15.00** |
| ბრძანება 45 | საქართველო-გორი | გრიგოლი მუმლაური | დღიური ნორმა | 1 | **15.00** |
| ბრძანება 45 | საქართველო-გორი | გიორგი უკლება | დღიური ნორმა | 1 | **15.00** |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ბრძანება 53 | საქართველო-ახალციხე | დავითი დავითაშვილი | დღიური ნორმა | 2 | **30.00** |
| ბრძანება 53 | საქართველო-ახალციხე | დავითი დავითაშვილი | სასტუმროს ხარჯი | 1 | **110.00** |
| ბრძანება 53 | საქართველო-ახალციხე | ზაზა ვაშაყმაძე | დღიური ნორმა | 2 | **30.00** |
| ბრძანება 53 | საქართველო-ახალციხე | ზაზა ვაშაყმაძე | სასტუმროს ხარჯი | 1 | **110.00** |
| ბრძანება 53 | საქართველო-ახალციხე | გრიგოლი მუმლაური | დღიური ნორმა | 1 | **15.00** |
| ბრძანება 53 | საქართველო-ახალციხე | გიორგი უკლება | დღიური ნორმა | 1 | **15.00** |
| ბრძანება 53 | საქართველო-ახალციხე | ომარ ჭიკაძე | დღიური ნორმა | 2 | **30.00** |
| ბრძანება 53 | საქართველო-ახალციხე | ომარ ჭიკაძე | სასტუმროს ხარჯი | 1 | **110.00** |
| ბრძანება 53 | საქართველო-ახალციხე | ზვიადი ტყაბლაძე | დღიური ნორმა | 2 | **30.00** |
| ბრძანება 53 | საქართველო-ახალციხე | ზვიადი ტყაბლაძე | სასტუმროს ხარჯი | 1 | **110.00** |
| ბრძანება 61 | საქართველო-ბათუმი | დავითი დავითაშვილი | დღიური ნორმა | 3 | **45.00** |
| ბრძანება 61 | საქართველო-ბათუმი | დავითი დავითაშვილი | სასტუმროს ხარჯი | 2 | **200.00** |
| ბრძანება 61 | საქართველო-ბათუმი | ზაზა ვაშაყმაძე | დღიური ნორმა | 3 | **45.00** |
| ბრძანება 61 | საქართველო-ბათუმი | ზაზა ვაშაყმაძე | სასტუმროს ხარჯი | 2 | **200.00** |
| ბრძანება 61 | საქართველო-ბათუმი | ალექსანდრე შეყილაძე | დღიური ნორმა | 3 | **45.00** |
| ბრძანება 61 | საქართველო-ბათუმი | ალექსანდრე შეყილაძე | სასტუმროს ხარჯი | 2 | **200.00** |
| ბრძანება 61 | საქართველო-ბათუმი | ომარ ჭიკაძე | დღიური ნორმა | 3 | **45.00** |
| ბრძანება 61 | საქართველო-ბათუმი | ომარ ჭიკაძე | სასტუმროს ხარჯი | 2 | **200.00** |
| ბრძანება 63 | საქართველო-ბორჯომი | ნათელა გუდაძე | დღიური ნორმა | 3 | **45.00** |
| ბრძანება 63 | საქართველო-ბორჯომი | დავითი დავითაშვილი | დღიური ნორმა | 3 | **45.00** |
| ბრძანება 63 | საქართველო-ბორჯომი | ზაზა ვაშაყმაძე | დღიური ნორმა | 1 | **15.00** |
| ბრძანება 63 | საქართველო-ბორჯომი | ალექსანდრე შეყილაძე | დღიური ნორმა | 3 | **45.00** |
| ბრძანება 63 | საქართველო-ბორჯომი | ომარ ჭიკაძე | დღიური ნორმა | 1 | **15.00** |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ბრძანება 65 | საქართველო-ბათუმი | გიორგი უკლება | დღიური ნორმა | 3 | **45.00** |
| ბრძანება 65 | საქართველო-ბათუმი | გიორგი უკლება | სასტუმროს ხარჯი | 2 | **290.00** |
| ბრძანება 67 | საქართველო-წალკა | ზაზა ვაშაყმაძე | დღიური ნორმა | 1 | **15.00** |
| ბრძანება 67 | საქართველო-წალკა | გიორგი უკლება | დღიური ნორმა | 1 | **15.00** |
| ბრძანება 67 | საქართველო-წალკა | ომარ ჭიკაძე | დღიური ნორმა | 1 | **15.00** |
| ბრძანება 71 | საქართველო-ბათუმი | აბესალომ ასლანიძე | დღიური ნორმა | 5 | **75.00** |
| ბრძანება 71 | საქართველო-ბათუმი | აბესალომ ასლანიძე | მგზავრობის ხარჯი | | **48.00** |
| ბრძანება 71 | საქართველო-ბათუმი | აბესალომ ასლანიძე | სასტუმროს ხარჯი | 4 | **320.00** |
| ბრძანება 76 | საქართველო-ბათუმი | გიორგი უკლება | დღიური ნორმა | 3 | **45.00** |
| ბრძანება 76 | საქართველო-ბათუმი | გიორგი უკლება | სასტუმროს ხარჯი | 2 | **240.00** |
| ბრძანება 78 | საქართველო-ბათუმი | გიორგი უკლება | დღიური ნორმა | 3 | **45.00** |
| ბრძანება 78 | საქართველო-ბათუმი | გიორგი უკლება | სასტუმროს ხარჯი | 2 | **240.00** |
| სულ მივლინება ქვეყნის შიგნით 2021 წელი | | | | | 7458 |

| **მივლინების დოკუმენტი** | **მივლინების ადგილი** | **სახელი და გვარი** | **ხარჯი ტიპი** | **დღეების რაოდენობა** | **თანხა** |
|---|---|---|---|---|---|
| ბრძანება 40 | აზერბაიჯანი-ბაქო | ზაზა ვაშაყმაძე | დღიური ნორმა | 4 | **438.00** |
| ბრძანება 40 | აზერბაიჯანი-ბაქო | ზაზა ვაშაყმაძე | მგზავრობის ხარჯი | | **415.00** |
| ბრძანება 40 | აზერბაიჯანი-ბაქო | ზაზა ვაშაყმაძე | სასტუმროს ხარჯი | 3 | **1,173.12** |
| ბრძანება 40 | აზერბაიჯანი-ბაქო | გვანცა ცხოვრებაძე | დღიური ნორმა | 4 | **438.00** |
| ბრძანება 40 | აზერბაიჯანი-ბაქო | გვანცა ცხოვრებაძე | მგზავრობის ხარჯი | | **415.00** |
| ბრძანება 40 | აზერბაიჯანი-ბაქო | გვანცა ცხოვრებაძე | სასტუმროს ხარჯი | 3 | **1,173.12** |
| ბრძანება 40 | აზერბაიჯანი-ბაქო | გიორგი უკლება | დღიური ნორმა | 4 | **438.00** |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ბრძანება 40 | აზერბაიჯანი-ბაქო | გიორგი უკლება | მგზავრობის ხარჯი | | **415.00** |
| ბრძანება 40 | აზერბაიჯანი-ბაქო | გიორგი უკლება | სასტუმროს ხარჯი | 3 | **1,173.12** |
| სულ მივლინება ქვეყნის გარეთ 2021 წ. | | | | | 6,078.36 |

| | |
|---|---|
| სულ 2021 წლის მივლინების ხარჯი | 13,536.36 |

## რელიგიური გაერთიანებების (კონფესიების) დაფინანსება 2021 წ.

| დასახელება | 2020 წელი |
|---|---|
| **სსიპ სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველო** | 2,750,000 |
| **სსიპ ლათინ კათოლიკეთა კავკასიის სამოციქულო ადმინისტრაცია** | 550,000 |
| **სსიპ სომეხთა სამოციქულო მართლმადიდებელი წმ. ეკლესიის საქართველოს ეპარქია** | 800,000 |
| **სსიპ საქართველოს ებრაელთა კავშირი** | 400,000 |
| სულ | **4,500,000** |

## კორესპონდენცია (2021 წ.)

## რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს საქმის წარმოების სტატისტიკა 2021 წ.

| კორესპონდენცია 2021 წელი | რაოდენობა |
|---|---|
| შემოსული | 343 |
| გასული | 1189 |
| კადრების ბრძანებები | 19 |
| მივლინება/შვებულების ბრძანებები | 85 |
| ორგანიზაციული ბრძანებები | 40 |
| შიდა მოხსენებითი ბარათი | 121 |

რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო

# 2022 წლის ანგარიში

სარჩევი


1. შშმ პირთა უფლებების დაცვის ხელშეწყობის 2022 წლის სამოქმედო გეგმა ................ 76

2. საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება რელიგიური შემწყნარებლობის მიმართულებით ........................................................................................................ 76

2.1. ყოველწლიური გამოცემის „ინტერრელიგიური კალენდრის“ ორი ვერსიის პრეზენტაცია ........................................................................................................ 76
2.2. ბიბლიის მესამე წიგნის „ლევიტელთა“ ბრაილის შრიფტით გამოცემის პრეზენტაცია ........................................................................................................ 77
2.3. ტოლერანტობის საერთაშორისო დღე .................................................................... 77

3. პროექტები ........................................................................................................ 78

3.1. „პოსტ-საბჭოთა საქართველოს რელიგიური მრავალფეროვნება“..................... 78
3.2. „საბჭოთა პერიოდში საქართველოში რეპრესირებული სასულიერო პირები“........................................................................................................ 78

4. რელიგიის სააგენტოსა და გაეროს ბავშვთა ფონდის ერთობლივი ტრენინგი ............. 78

5. სახელმწიფოს ურთიერთობა რელიგიურ ორგანიზაციებთან ........................................ 79

6. თანამშრომლობა სახელმწიფო უწყებებთან ...................................................................... 82

6.1. საქართველოს პარლამენტი ........................................................................................ 82

7. ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი ..................................................................... 82

8. ინტერრელიგიური სათათბიროს ფორმატში განხორციელებული აქტივობები .......... 83

9. კაპელანების ინსტიტუტი ........................................................................................ 84

10. პროექტი „სახელმწიფო ენა სასულიერო პირებისათვის“ ................................................ 86

11. რელიგიური ორგანიზაციების დაფინანსება საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის დროს მიყენებული ზიანის ანაზღაურების ფარგლებში .................................................. 87

**12. რელიგიურ გაერთიანებათა ქონებრივი და ფინანსური საკითხების შემსწავლელი სარეკომენდაციო კომისია** ........ 88
12.1. სარეკომენდაციო კომისიის სხდომები ........ 88

**13. სხვადასხვა შეხვედრები** ........ 90

**14. რელიგიურ უმცირესობებთან ურთიერთობა და საქველმოქმედო აქციები** ........ 93

**15. შეხვედრები დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებთან** ........ 95

**16. ვიზიტები საზღვარგარეთ** ........ 96

16.1. ვიზიტი მოლდოვას რესპუბლიკაში ........ 96
16.2. ვიზიტი აზერბაიჯანის რესპუბლიკაში ........ 97
16.3. ვიზიტი პოლონეთის რესპუბლიკაში ........ .97
16.4. ვიზიტი შვეიცარიაში ........ 98

**17. მედიასთან ურთიერთობა** ........ 99

**18. დანართი - სსიპ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს ხარჯების შესახებ ინფორმაცია** ........ 99

**19. ინფორმაცია ფინანსური მდგომარეობის შესახებ 2022 წ.** ........ 101

**20. ინფორმაცია 2022 წლის მივლინების შესახებ** ........ 102

**21. რელიგიური გაერთიანებების (კონფესიების) დაფინანსება 2022 წელს** ........ 112

**22. კორესპონდენცია 2022 წ.** ........ 113

# შშმ პირთა უფლებების დაცვის ხელშეწყობის 2022 წლის სამოქმედო გეგმა

შშმ პირთა უფლებების დაცვისა და ინკლუზიური ტოლერანტული გარემოს შექმნის ხელშეწყობის მიზნით, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტომ შეიმუშავა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) პირთა უფლებების დაცვის ხელშეწყობის სამოქმედო გეგმა 2022 წლისთვის. დოკუმენტის მიზანია „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების შესახებ“ გაერო-ს კონვენციისა და „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის პრინციპებზე დაყრდნობით, გამოკვეთოს ის პრიორიტეტული მიმართულებები და ღონისძიებები, რომელიც 2022 წლის განმავლობაში უნდა განხორციელდეს. სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს ტრენინგებს: შშმ პირთათვის რელიგიისა და რწმენის თავისუფლების შესახებ; საქართველოში მოღვაწე რელიგიური ორგანიზაციების წარმომადგენელთათვის და რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს თანამშრომლებისათვის - შშმ პირთა უფლებების შესახებ; რელიგიისა და რწმენის თავისუფლების შესახებ შშმ პირთათვის სპეციალური გამოცემების (ბრაილის შრიფტით) შექმნას. გეგმა ეყრდნობა გაეროს კონვენციას „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების შესახებ“, საქართველოს კონსტიტუციასა და საქართველოს კანონს „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“. დოკუმენტი დამუშავდა საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციასთან თანამშრომლობით, პრინციპის - „არაფერი ჩვენს შესახებ ჩვენს გარეშე“ აღსრულების მიზნით. იგი წარედგინება შშმ პირთა წარმომადგენლობით ორგანიზაციებს, არასამთავრობო ორგანიზაციებსა და შშმ თემის წარმომადგენლებს.

## საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება რელიგიური შემწყნარებლობის მიმართულებით

## ყოველწლიური გამოცემის „ინტერრელიგიური კალენდრის“ ორი ვერსიის პრეზენტაცია

2022 წელს რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტომ ყოველწლიური ინტერრელიგიური კალენდარი განახლებული ფორმატით გამოსცა. ამ წელს პირველად, კალენდრის ყოველი თვე, სხვადასხვა კონფესიის საკულტო ნაგებობების ფოტოებით გაფორმდა. ასევე, ტრადიციულად გამოიცა ინტერრელიგიური კალენდარი ბრაილის შრიფტით უსინათლოთათვის.

შეგახსენებთ, რომ ინტერრელიგიური კალენდარი აერთიანებს საქართველოში მოქმედი ყველა ძირითადი რელიგიური თემის (სულ თერთმეტი) - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური ეკლესიის, ებრაული, კათოლიკე, მუსლიმი, სომეხთა სამოციქულო, სულიერ ქრისტიანთა-მოლოკანი, ეზიდი, ევანგელურ-ლუთერული, ბაპტისტური, ევანგელურ-პროტესტანტული თემებისა და სახარების რწმენის ეკლესიის რელიგიურ დღესასწაულებს.

## ბიბლიის მესამე წიგნის „ლევიტელთა" ბრაილის შრიფტით გამოცემის პრეზენტაცია

შშმ პირთა უფლებების დაცვისა და ინკლუზიური ტოლერანტული გარემოს შექმნის ხელშეწყობის მიზნით, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტომ შეიმუშავა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) პირთა უფლებების დაცვის ხელშეწყობის სამოქმედო გეგმა 2022 წლისთვის, რომლის ფარგლებში 2022 წელს ტრადიციულად გამოიცა ინტერრელიგიური კალენდარი ბრაილის შრიფტით უსინათლოთათვის და ძველი აღთქმის მესამე კანონიკური წიგნი - „ლევიტელთა" (ლევიანნი). წიგნის პრეზენტაცია 2022 წლის 20 იანვარს გაიმართა საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში, სადაც რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტომ საქართველოს უსინათლოთა კავშირის წარმომადგენლებს ბრაილის შრიფტით დაბეჭდილი ძველი აღთქმის მესამე კანონიკური წიგნი „ლევიტელთა" (ლევიანნი) და ინტერრელიგიური კალენდარი საჩუქრად გადასცა.

## ტოლერანტობის საერთაშორისო დღე

რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს ინიციატივითა და ორგანიზებით არაერთი ინტერრელიგიური ღონისძიება იმართება, რომელიც რელიგიებს შორის პირდაპირი ურთიერთობისა და დიალოგის წახალისებაა. ამის ნათელ მაგალითს ტოლერანტობის საერთაშორისო დღის (16 ნოემბერი) აღნიშვნა წარმოადგენს, როდესაც ტრადიციულად ერთ-ერთი რელიგიური გაერთიანება მასპინძლობს ყველა სხვა რელიგიური ორგანიზაციის წარმომადგენლებს ეკლესიაში, რეზიდენციაში და სხვ.

2022 წლის 16 ნოემბერს, ტოლერანტობის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ინტერრელიგიურ სათათბიროში შემავალი რელიგიური ორგანიზაციების წარმომადგენლებს სახარების რწმენის ეკლესიამ უმასპინძლა, რომელსაც ესწრებოდნენ: საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის, საქართველოს ებრაელთა კავშირის, სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველოს, ეზიდთა სასულიერო საბჭოს, სომეხთა სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის საქართველოს ეპარქიის, საქართველოს ევანგელურ-პროტესტანტული ეკლესიის, ლათინ კათოლიკეთა კავკასიის სამოციქულო ადმინისტრაციის, საქართველოს ევანგელურ-ლუთერული ეკლესიის, თბილისის საერთაშორისო ბაპტისტური ეკლესიის, საქართველოს ბაპტისტური ეკლესიების კავშირის წარმომადგენლები.

ტოლერანტობის საერთაშორისო დღის აღნიშვნა პირველად 2016 წელს შედგა და მასპინძელი საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია იყო, შემდეგ წლებში - ქართველ ებრაელთა თემი, ლათინ კათოლიკეთა ადმინისტრაცია, საქართველოს მუსლიმი თემი, საქართველოს ბაპტისტური ეკლესიების კავშირი და საქართველოს ევანგელურ-პროტესტანტული ეკლესია.

## პროექტები

### „პოსტ-საბჭოთა საქართველოს რელიგიური მრავალფეროვნება“

2022 წელს რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტომ დაიწყო მუშაობა პროექტზე, რომლის მიზანია საქართველოში მოქმედი რელიგიური ორგანიზაციების მოქმედი საკულტო ნაგებობების აღწერა და ფოტოალბომის ფორმატში გამოცემა. აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით, სააგენტომ აქტიურად ითანამშრომლა ინტერრელიგიურ სათათბიროში შემავალი რელიგიური ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, რომლებიც ჩაერთვნენ პროექტში და თავიანთი კონფესიის საკულტო ნაგებობების შესახებ ინფორმაციისა და ფოტომასალის შეგროვებაში დახმარება გაუწიეს სააგენტოს.

უნდა აღინიშნოს, რომ სააგენტოს მიერ შემუშავებული ახალი პროექტი-კვლევა, ერთგვარი გაგრძელებაა 2020 წელს გამოცემული ფოტოალბომისა, სახელწოდებით „თბილისში მოქმედი საკულტო ნაგებობები 2020 წლის მდგომარეობით“, რომელიც ეხება საქართველოს დედაქალაქ თბილისში არსებული ყველა რელიგიური ორგანიზაციის მოქმედი საკულტო ნაგებობების შესახებ ინფორმაციას თანდართული ფოტოებით.

### „საბჭოთა პერიოდში საქართველოში რეპრესირებული სასულიერო პირები“

ასევე აღსანიშნავია, რომ 2022 წელს რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტომ დაიწყო მუშაობა მეორე პროექტზე „საბჭოთა პერიოდში საქართველოში რეპრესირებული სასულიერო პირები“. ნაშრომში აისახება სხვადასხვა რელიგიური ჯგუფის წარმომადგენელი, რომელიც დააპატიმრეს, გადაასახლეს ან/და დახვრიტეს. რელიგიის სააგენტო აღნიშნულ პროექტზე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივთან ერთად მუშაობს. ერთობლივი პროექტის ფარგლებში არაერთი ისტორიული მნიშვნელობის უნიკალური დოკუმენტი, წერილი თუ ფოტო აღმოჩნდა.

პროექტი „საბჭოთა პერიოდში საქართველოში რეპრესირებული სასულიერო პირები“ მოცულობითია და დროში გაწერილი.

### რელიგიის სააგენტოსა და გაეროს ბავშვთა ფონდის ერთობლივი ტრენინგი

2022 წელს ბორჯომში გაიმართა სამდღიანი ტრენინგი (9-11 ნოემბერი) საქართველოს რელიგიური ლიდერებისათვის თემაზე „რელიგიის თავისუფლება და ბავშვის საუკეთესო ინტერესები“. ტრენინგი ჩატარდა რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს გაეროს ბავშვთა ფონდთან (UNICEF) პარტნიორობის ფარგლებში და წარმოადგენს საქართველოს რელიგიურ ლიდერებთან გრძელვადიანი თანამშრომლობის ერთგვარ გაგრძელებას.

ტრენინგის მიზანი იყო, რელიგიური ლიდერების აღჭურვა სიღრმისეული ცოდნითა და უნარებით, რათა მათ ეფექტიანად მოახდინონ გზავნილების მიწოდება ბავშვთა უფლებების

შესახებ. ტრენინგი ეხებოდა გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციას და მის ოთხ ზოგად პრინციპს: 1) საქართველოს ბავშვის უფლებათა კოდექსს; 2) ბავშვთა გეგმიურ ვაქცინაციას; 3) კოვიდ-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინაციას; და 4) ბავშვთა მიმართ ძალადობას.

ტრენინგში მონაწილეები ჩართული იყვნენ ტრენინგის, როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკულ სესიებში და გაეცნენ მასალას, როგორიცაა: ბავშვის უფლებათა კონვენცია; საქართველოს ბავშვის უფლებათა კოდექსი; ბავშვთა უფლებები ისტორიულ ჭრილში, რითაც კიდევ ერთხელ ხაზი გაესვა ბავშვის უფლებათა აღიარებასა და დაცვას, ბავშვის ჰარმონიულ განვითარებას მისი პიროვნებისა და ინდივიდუალური შესაძლებლობების პატივისცემას, სოციალურ განვითარებას და განათლების უფლების დაცვას.

## სახელმწიფოს ურთიერთობა რელიგიურ ორგანიზაციებთან

უნდა აღვნიშნოთ, რომ 2022 წელს პანდემიის დასრულების შემდეგ აღდგა ტრადიციული წესი, როდესაც საქართველოს ხელისუფლება, პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით ესწრება საქართველოში მოღვაწე ისტორიული რელიგიების უმთავრეს დღესასწაულებს, მათ შორის - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის, მუსლიმი, ებრაელი და სხვა რელიგიური თემების უდიდეს დღესასწაულებს და ბოლო წლებში დამკვიდრებული ტრადიციის თანახმად, საქართველოს მთავრობის მეთაური მუსლიმ თემს, რამადან-ბაირამთან დაკავშირებით, მისი სახელით გამართულ ვახშამზე, იფტარზე მასპინძლობს.

2022 წლის 30 აპრილს, საქართველოს პრემიერ-მინისტრის სახელით, რამადან ბაირამთან დაკავშირებული ტრადიციული იფტარი საქართველოს მუსლიმი თემის პატივსაცემად გაიმართა, რომელსაც საქართველოს მთავრობის, მუსლიმი თემის, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს წარმომადგენლები და საქართველოში აკრედიტებული მუსლიმური სახელმწიფოების ელჩები ესწრებოდნენ.

2022 წლის 11 ივლისს, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა თბილისის ჯუმა მეჩეთში შეკრებილ მუსლიმ სასულიერო პირებსა და მრევლს, ისლამური ქვეყნების ელჩებს მსხვერპლშეწირვის დღესასწაული - ყურბან ბაირამი (იდ ალ-ადჰა) მიულოცა.

ტრადიციულად, საქართველოს პრეზიდენტი და პრემიერ-მინისტრი ებრაელთა თემის ხანუქას დღესასწაულზე, სინაგოგაში, სიმბოლურად, პირველ და მერვე სანთელს ანთებენ. 2022 წელს ეს დღესასწაული 18 დეკემბერს აღინიშნა და თბილისის დიდ სინაგოგაში შეკრებილ ქართველ ებრაელებსა და მოწვეულ სტუმრებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი მიესალმა და დღესასწაული მიულოცა. ხანუქას აღსანიშნავ ღონისძიებას ესწრებოდნენ: რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს თავმჯდომარე ზაზა ვაშაყმაძე, ისრაელის ყოფილი ელჩი შაფთაი ცური, ისრაელის ქნესეთის წევრები და სხვა მოწვეული სტუმრები.

2022 წლის 12 ივნისს, საქართველოს ეზიდთა თემის „ტავაფა ეზიდი“ - თბილისის ეზიდთა ტაძრის დღესასწაულს, საქართველოს სხვადასხვა რელიგიის სასულიერო ლიდერები და რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს წარმომადგენლები ესწრებოდნენ. ტაძრის დღესასწაული სასულიერო რიტუალით დაიწყო და ტრადიციულად, ტაძრის სახურავზე დროშის შეცვლით დასრულდა.

ასევე, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო რეგულარულად ხვდება სხვადასხვა რელიგიური ორგანიზაციების ლიდერებს და ესწრება მათ წლიურ ანგარიშებს, საქველმოქმედო აქციებს, კონფერენციებს, განიხილავს მათგან შემოსულ მიმართვებსა, განცხადებებს და ეხმარება საჭიროებების მიხედვით.

2022 წლის 4 მარტს, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს თავმჯდომარე გორს ეწვია, სადაც საქართველოს ევანგელურ-პროტესტანტული ეკლესიის წარმომადგენლებს შეხვდა.

გორში რელიგიის სააგენტოს რეკომენდაციით გადაცემულ მიწის ნაკვეთზე ახალი ეკლესიის მშენებლობა მიმდინარეობს. სააგენტოს თავმჯდომარე დაინტერესდა მშენებლობის მიმდინარეობით და პროტესტანტული თემის სხვა საჭიროებებით.

უნდა აღინიშნოს, რომ ევანგელურ-პროტესტანტულ ეკლესიას რელიგიური მსახურების აღსასრულებლად წლების განმავლობაში არ გააჩნდა სალოცავი სახლი. რელიგიის სააგენტოს დახმარებით, ევანგელურ-პროტესტანტულ ეკლესიას სალოცავი სახლისათვის პირველად გადაეცა შენობა-ნაგებობა გორში. შემდგომ სააგენტომ გასცა რუსთავში ახალი სალოცავი სახლის მშენებლობის რეკომენდაცია, სადაც მათ დამატებით გადასცა მიწის ნაკვეთი მასზე არსებული შენობა-ნაგებობებით ეკლესიის გასაფართოებლად. ასევე აღსანიშნავია, რომ სააგენტოს რეკომენდაციით, გორში ევანგელურ-პროტესტანტულ ეკლესიას დამატებით გადაეცა მიწის ნაკვეთი (283 კვ/მ) სოციალური და საქველმოქმედო საქმიანობისათვის.

2022 წლის 31 მარტს, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს თავმჯდომარემ ევროპის ევანგელური ეკლესიების გაერთიანების წარმომადგენელს, დოქტორ შტეფან კოსოარაბას, აღმოსავლეთ ევროპის ევანგელური თეოლოგიის ცენტრის წარმომადგენელს, პასტორ უვე ზაიდნერს, ისტორიკოსს ბოგდან მონტეანს და საქართველოს ევანგელურ-ლუთერული ეკლესიის ახალ ხელმძღვანელს, დოქტორ როლფ ბარაისს უმასპინძლა. შეხვედრას ესწრებოდნენ ყოფილი ეპისკოპოსი, მარკუს შოხი და სააგენტოს თანამშრომლები. გაცნობითი ხასიათის შეხვედრაზე სააგენტოს თავმჯდომარემ სტუმრებს სახელმწიფოს მხრიდან რელიგიის პოლიტიკის ხელშეწყობისა და განვითარების მიზნით განხორციელებული პროექტების შესახებ უამბო.

2022 წლის 12 სექტემბერს, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს თავმჯდომარე საქართველოს ბაპტისტური ეკლესიების კავშირის

წევრებსა და გერმანიის საერთაშორისო საქველმოქმედო ორგანიზაცია „ფრიდენს ბოტეს“ ახალ ხელმძღვანელობას შეხვდა, კერძოდ: „ფრიდენს ბოტეს“ ორგანიზაციის ხელმძღვანელს, ალექსანდრ ვილერს, ფინანსურ დირექტორს, ალექსანდრ იანცენს და ორგანიზაციის გამგეობის წევრს, პიერ ვაუბაილონს, საქართველოს ბაპტისტური ეკლესიების კავშირის წარმომადგენლებს.

2022 წლის 11 ნოემბერს, ადიგენში, წმინდა სერაპიონ ზარზმელის ხსენების დღე, „ზარზმობა“ აღინიშნა, რომელსაც სასულიერო იერარქები, ადგილობრივი მთავრობის წარმომადგენლები და რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს თანამშრომლები ესწრებოდნენ. სახალხო დღესასწაულთან დაკავშირებით მრავალი კულტურული ღონისძიება გაიმართა, რომელიც დასრულდა ხალხური რეწვის ნიმუშების გამოფენა–გაყიდვითა და  ადიგენის საპატიო მოქალაქეების დაჯილდოებით.

2022 წლის 16 ნოემბერს, ტოლერანტობის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს დახმარებითა და აქტიური ჩართულობით ოლიმპიურ მცირე დარბაზში გაიხსნა ევანგელური ალიანსისა და საქართველოს სახარების რწმენის ეკლესიის მიერ ორგანიზებული საზეიმო კონფერენცია, რომლის მიზანი ქრისტიანული ღირებულებების და ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაციაა. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ საქართველოში არსებული რელიგიური ორგანიზაციების, დიპლომატიური კორპუსისა და ხელისუფლების წარმომადგენლები, ასევე, უცხოელი სტუმრები, რომელთა შორის იყო მსოფლიოში ცნობილი ბრიტანელი მისიონერი, რეჟისორი და დოკუმენტალისტი, თეოლოგიის დოქტორი, დევიდ გორდონ ჰეთეუეი. ღონისძიების ფარგლებში გაიმართა აშშ-ს “ნაციონალური კალათბურთის ასოციაციის” (NBA) ვეტერანი ქრისტიანი ვარსკვლავების გამოსვლა. საზეიმო კონფერენცია 18 ნოემბერს დასრულდა.

2022 წლის 19 ნოემბერს, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს თავმჯდომარე და თანამშრომლები თბილისის შერიგების ეკლესიაში, საქართველოსა და სამხრეთ კავკასიის ევანგელურ-ლუთერული ეკლესიის VI სინოდის მე-7 სხდომას დაესწრნენ. სინოდის სხდომაზე ევანგელურ-ლუთერული ეკლესიის ეპისკოპოსად როლფ ბარაისი აირჩიეს.

## თანამშრომლობა სახელმწიფო უწყებებთან

საქართველოს პარლამენტი

2022 წლის 18 მაისს, საქართველოს პარლამენტში, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტომ და პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტმა, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის 2022 წლის სამოქმედო გეგმის შესაბამისად, რელიგიური პირებისათვის გამართეს ტრენინგი - შშმ პირთა უფლებები. ტრენინგს რელიგიის სააგენტოს ინტერრელიგიური სათათბიროს წევრი რელიგიური ორგანიზაციების: საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის, სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველოს, სომეხთა სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის საქართველოს ეპარქიის, ლათინ კათოლიკეთა კავკასიის სამოციქულო ადმინისტრაციის, საქართველოს ებრაელთა კავშირის, თბილისის საერთაშორისო ბაპტისტური ეკლესიის, საქართველოს ბაპტისტური ეკლესიების კავშირის, საქართველოს ევანგელურ-ლუთერული ეკლესიის, საქართველოს ევანგელურ-პროტესტანტული ეკლესიის, საქართველოს სახარების რწმენის ეკლესიისა და საქართველოს ეზიდთა სასულიერო საბჭოს წარმომადგენლები ესწრებოდნენ. ტრენინგის მიზანი შშმ პირთა უფლებების შესახებ რელიგიური ორგანიზაციების წარმომადგენელთა ცნობიერების ამაღლება იყო.

## ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

2022 წლის 4 მაისს, თბილისის საკრებულოში, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოსა და თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შორის გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი.

მემორანდუმი ითვალისწინებს ერთობლივ სატრენინგო, სასემინარო პროგრამებს თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში დასაქმებულ პირთათვის სეკულარიზმისა და რელიგიური ნეიტრალიტეტის პრინციპების განმტკიცებასთან დაკავშირებით. მემორანდუმი, ასევე, ითვალისწინებს რელიგიურ-კულტურული მემკვიდრეობის დაცვასთან დაკავშირებული ერთობლივი პროექტების განხორციელებასა და სამუზეუმო მასალების, ფოტო-ვიდეო და აუდიო მასალების ექსპოზიციას.

აღნიშნული მემორანდუმის ფარგლებში, რელიგიის თავისუფლების და ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების კუთხით საჯარო პირების ცნობიერების ამაღლების, ასევე, რელიგიური შემწყნარებლობისა და ტოლერანტობის კულტურის გაძლიერების მიზნით (პუნქტი 18.1.3.2.) 2022 წელს საკრებულოს თანამშრომლებისათვის გაიმართა სამდღიანი (16-18 მაისი) ტრენინგი თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში

თემაზე: „სეკულარიზმი და რელიგიური ნეიტრალიტეტი“, რომლის დასრულების შემდეგ საკრებულოს 72 თანამშრომელს სერტიფიკატები გადაეცათ.

2022 წლის 16 ივნისს თბილისის ჭადრაკის სასახლეში, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს თავმჯდომარემ და საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტმა ხელი მოაწერეს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს.

მემორანდუმი ითვალისწინებს სხვადასხვა რელიგიური ორგანიზაციის სასულიერო პირთა და წარმომადგენელთა შორის ჭადრაკის პოპულარიზაციასა და ამ მიზნით, ჭადრაკის ყოველწლიური ჩემპიონატების ჩატარებას რელიგიურ ორგანიზაციებს შორის, ჭადრაკის სფეროში ერთობლივი პროგრამებისა და პროექტების განხორციელებას და სხვა.

აღნიშნული მემორანდუმის ფარგლებში, 2022 წლის 16-17 ივნისს თბილისის ჭადრაკის სასახლეში გაიმართა საქართველოს პირველი ინტერრელიგიური ჩემპიონატი ჭადრაკში, რომელშიც მონაწილეობა მიიღო საქართველოში რეგისტრირებული რელიგიური ორგანიზაციების წარმომადგენლებმა, როგორც სასულიერო პირებმა, ისე მრევლმა. კერძოდ: საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის, სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველოს, სომეხთა სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის საქართველოს ეპარქიის, ლათინ კათოლიკეთა კავკასიის სამოციქულო ადმინისტრაციის, საქართველოს ევანგელურ-ლუთერული ეკლესიის, საქართველოს ევანგელურ-პროტესტანტული ეკლესიის, საქართველოს ებრაელთა კავშირის, თბილისის საერთაშორისო ბაპტისტური ეკლესიის, საქართველოს ბაპტისტური ეკლესიების კავშირისა და ეზიდთა სასულიერო საბჭოს წარმომადგენლებმა.

ტურნირი დაჯილდოების ცერემონიით დასრულდა. ჩემპიონატი ტრადიციული გახდება.

## ინტერრელიგიური სათათბიროს ფორმატში განხორციელებული აქტივობები

რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო მჭიდროდ თანამშრომლობს სხვადასხვა რელიგიურ გაერთიანებებთან საქართველოს რეგიონებში კომპაქტურად მცხოვრები რელიგიური უმცირესობების საჭიროებების მოსაგვარებლად. რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოსთან მოქმედებს ინტერრელიგიური სათათბირო, რომელიც თავისი ფორმატითა და შემადგენლობით ერთადერთია საქართველოში, რადგან ის აერთიანებს საქართველოში მოღვაწე, როგორც რელიგიურ უმცირესობას, ისე უმრავლესობას. სწორედ ამ სათათბიროსთან აქტიური კავშირი უზრუნველყოფს ინფორმაციის უწყვეტ გაცვლას და თანამშრომლობის ხარისხის ამაღლებას სახელმწიფოსა და რელიგიურ ორგანიზაციებს შორის. ინტერრელიგიური სათათბიროს წევრი რელიგიური ორგანიზაციებია:

- საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესია;
- სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველო;

- სომეხთა სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის საქართველოს ეპარქია;
- ლათინ კათოლიკეთა კავკასიის სამოციქულო ადმინისტრაცია;
- საქართველოს ებრაელთა კავშირი;
- თბილისის საერთაშორისო ბაპტისტური ეკლესია;
- საქართველოს ბაპტისტური ეკლესიების კავშირი;
- საქართველოს ევანგელურ-ლუთერული ეკლესია;
- საქართველოს ევანგელურ-პროტესტანტული ეკლესია;
- საქართველოს სახარების რწმენის ეკლესია;
- საქართველოს ეზიდთა სასულიერო საბჭო;
- კრიშნას ცნობიერების საერთაშორისო საზოგადოება.

ინტერრელიგიურ სათათბიროსთან თანამშრომლობის ფორმატში 2022 წელს რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტომ არაერთი აქტივობა განახორციელა. კერძოდ: რელიგიის სააგენტოს დაარსებიდან 2022 წლის ჩათვლით საქართველოს ევანგელურ-პროტესტანტულ ეკლესიას გადაეცა 1006 კვ.მ. მიწის ნაკვეთი გორში მასზე არსებული ეკლესიითა და შენობა-ნაგებობებით. 2022 წელს, რელიგიის სააგენტოს დახმარებით ევანგელურ-პროტესტანტულმა ეკლესიამ მიიღო ნებართვა და პროექტი ტაძრის ასაშენებლად. სახელმწიფომ აღნიშნულ ეკლესიას გაუწია ფინანსური დახმარება და გამოყო - 15 000 ლარი ახალი საკულტო ნაგებობის მშენებლობისათვის. 2022 წლის 9 დეკემბერს, მათ დამატებით გადაეცათ 283 კვ/მ მიწის ნაკვეთი. ამჟამად გორში მიმდინარეობს ახალი ტაძრის მშენებლობა.

სსიპ სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველოს 2021 წელს რელიგიის სააგენტოს რეკომენდაციით გადაეცა 39 მეჩეთი, 2022 წელს კი - 21 მეჩეთი. 2022 წელს სააგენტოს ჩართულობითა და რეკომენდაციით მათ გადაეცათ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 1300 კვ.მ. მიწის ნაკვეთი თბილისში. ასევე, სააგენტოს შუამდგომლობითა და რეკომენდაციით თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურთან შეთანხმდა ამავე მიწის ნაკვეთზე ასაშენებელი ობიექტის პროექტი და მიეცათ მეჩეთისა და ადმინისტრაციული შენობის მშენებლობის ნებართვა.

სომეხთა სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის საქართველოს ეპარქიას ადგილობრივი ბიუჯეტიდან რელიგიის სააგენტოს რეკომენდაციით 2022 წელს ორჯერ გაეწია ფინანსური დახმარება, სულ - 20 000 ლარის ოდენობით თბილისის ორი ტაძრის რეაბილიტაციის მიზნით.

## კაპელანების ინსტიტუტი

ინტერრელიგიურ სათათბიროსთან თანამშრომლობის ფორმატში, 2022 წლის 13 ოქტომბერს, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოსა და საქართველოს სახარების რწმენის ეკლესიის ინიციატივით, გაიმართა შეხვედრა კაპელანური მსახურების მსოფლიო პრაქტიკის გაცნობისა და გაზიარების შესახებ, რომელსაც ესწრებოდნენ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოსთან არსებული ინტერრელიგიური სათათბიროში შემავალი თითქმის ყველა რელიგიური ორგანიზაცია, კერძოდ: საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის, საქართველოს ებრაელთა კავშირის,

მუსლიმთა სამმართველოს, სომეხთა სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის, ლათინ კათოლიკეთა კავკასიის ადმინისტრაციის, ევანგელურ-ლუთერული ეკლესიის, ევანგელურ-პროტესტანტული ეკლესიის, თბილისის საერთაშორისო ბაპტისტური ეკლესიის, საქართველოს ბაპტისტური ეკლესიების კავშირის, სახარების რწმენის ეკლესიის, ეზიდთა სასულიერო საბჭოს წარმომადგენლები. შეხვედრას ასევე ესწრებოდნენ, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლები. აღნიშნულ ღონისძიებას ორგანიზება გაუწია რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტომ.

შეხვედრაზე, ვრცელი პრეზენტაციები გააკეთეს: ღვთისმშობლის ეკლესიის ღვთისმსახურმა, ამერიკის შეერთებული შტატების ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს კაპელანმა, გრეგ იანგმა, კანადის კაპელანთა ასოციაციის ხელმძღვანელმა, ბრიუს ივანიშინმა, ტორონტოს პოლიციის კაპელანმა, პასტორმა ჰილარ ალკოკმა, უკრაინის ეროვნული პოლიციის ადამიანთა უფლებების დაცვის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, პოლიციის პოლკოვნიკმა რუსლან გორიაჩენკომ და უკრაინის კაპელანთა საზოგადოებრივი ორგანიზაციის ხელმძღვანელმა, პასტორმა იაროსლავ მალკოვმა.

როგორც დისკუსიიდან გაირკვა, დასავლური პრაქტიკით, კაპელანური მსახურება თავისუფლებაშეზღუდულ დაწესებულებების გარდა, გამოიყენება მთელ რიგ შემთხვევებში. კაპელანურ მსახურებას აქტიურად იყენებენ სხვადასხვა უწყებები, როგორიცაა შეიარაღებული ძალები, საავადმყოფოები, სახანძრო და პოლიციის განყოფილებები. შესაბამისად, კაპელანი არის პირი, რომელიც კონსტიტუციით გარანტირებული რელიგიისა და რწმენის თავისუფლების რეალიზების მიზნით, ახორციელებს პერსონალის რელიგიური, სულიერი, მორალური, ფსიქოლოგიური და იდეოლოგიური მხარდაჭერის უზრუნველყოფას და სათანადო სულიერი მდგომარეობის ჩამოყალიბების ხელშეწყობას, რაც, თავის მხრივ მხარს უჭერს პერსონალის პირად სტაბილურობას.

განვითარებული ქვეყნების პრაქტიკა აჩვენებს, რომ კაპელანური მსახურება გამოიყენება ფართოდ და მონაწილეობენ არა მხოლოდ ჯარისკაცების, პოლიციელების, პატიმრების, სასჯელაღსრულების სისტემის თანამშრომლებისა და ექიმების პრობლემების გადაწყვეტაში, არამედ მათი ოჯახის წევრების კონსტიტუციით უზრუნველყოფილი უფლებების რეალიზაციაში მრწამსისა და მსოფლმხედველობის კუთხით, მათთვის სულიერი, რელიგიური, მორალური, ფსიქოლოგიური და იდეოლოგიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილების გზით.

აღნიშნული შეხვედრიდან რამდენიმე კვირაში, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს თავმჯდომარეს კაპელანური მსახურების „Patrol Chaplain“-ის უფროსი, „გლობალური ქრისტიანული მხარდაჭერის“ პრეზიდენტი, იაროსლავ მალკო ეწვია. შეხვედრაზე, რომელიც საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში გაიმართა, დაიგეგმა სამომავლო თანამშრომლობა.

აღნიშნული თანამშრომლობის ფარგლებში, კაპელანური მსახურების სწავლისა და პრაქტიკული გამოცდილების გაზიარების მიზნით, ამერიკის შეერთებული შტატების კაპელანური მსახურების ორგანიზაციამ „გლობალურმა ქრისტიანულმა მხარდაჭერამ“ (GCS) მიიწვია სააგენტოს მიერ დაკომპლექტებული 15 კაციანი ჯგუფი. ტრენინგების მონაწილეებს ექნებათ შეხვედრები კაპელანის სამსახურთან დაკავშირებულ სტრუქტურებთან (სასამართლო, პოლიცია, თავდაცვისა და უსაფრთხოების სამსახურები) და სწავლების წარმატებით გავლის შემთხვევაში, ისინი მიიღებენ კაპელანის თანაშემწის სერტიფიკატს, ხოლო დამატებითი სწავლების შემდეგ კი - კაპელანის სერტიფიკატს.

რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოში 2022 წლის 8 დეკემბერს შემოვიდა საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის წერილი, რომლითაც გადმოგვეგზავნა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ ინიცირებული „თავდაცვის კოდექსის“ ახალი პროექტი. რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტომ, თავისი კომპეტენციის ფარგლებში შეისწავლა და საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციას წარუდგინა რეკომენდაციები კაპელანების ინსტიტუტის შექმნა/განვითარების მიმართულებით, კერძოდ, „თავდაცვის კოდექსის“ პროექტის 38-ე მუხლის მე-5 ნაწილს დაემატოს სამხედრო მოძღვართან (კაპელანთან) შეხვედრის მოთხოვნის უფლება. ასევე 43-ე მუხლად დაემატოს სამხედრო მოსამსახურის რელიგიური მოთხოვნილებების უზრუნველყოფის მუხლი.

### პროექტი „სახელმწიფო ენა სასულიერო პირებისათვის “

2022 წელს, პანდემიის გადასვლის შემდეგ აღდგა სახელმწიფო მნიშვნელობის პროექტი, სახელწოდებით: „სახელმწიფო ენა სასულიერო პირებისათვის“, რომლის ფარგლებშიც ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლასთან ერთად გაგრძელდა საქართველოში მოღვაწე სასულიერო პირებისათვის სახელმწიფო ენის შესწავლა, რომელიც 2019 წელს დაიწყო. შეგახსენებთ, რომ პირველ ეტაპზე პროექტში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს მუსლიმი თემის, სომხური სამოციქულო ეკლესიისა და ევანგელურ-ლუთერული ეკლესიის სასულიერო პირებმა, ასევე აღსანიშნავია, რომ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს თანამშრომლებმა საქართველოში ადამიანის უფლებების, რელიგიური მრავალფეროვნებისა და რელიგიურ ორგანიზაციათა შესახებ სემინარები გამართეს ზ. ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის პედაგოგებისთვის.

2022 წლის 27 ოქტომბერს, პროექტის „სახელმწიფო ენა სასულიერო პირებისათვის“, მეორე ეტაპის პრეზენტაცია საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში გაიმართა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს საქართველოში მცხოვრებმა ეთნიკურად აზერბაიჯანელმა მუსლიმებმა, ევანგელურ-ლუთერული ეკლესიის, კათოლიკური ეკლესიისა და სომეხთა სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის საქართველოს ეპარქიის სასულიერო პირებმა. აღსანიშნავია, რომ პროექტის საშუალებით სახელმწიფო ენას, სხვა სასულიერო პირებთან ერთად, დაეუფლებიან ევანგელურ-ლუთერული ეკლესიის წინამძღვარი და სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველოს ორი ლიდერი, შეიხი და აღმოსავლეთ საქართველოს მუფთი. ტრენინგები მიმდინარეობს თბილისში, მარნეულში, მუღანლოში, გარდაბანსა და ახალქალაქში.

პროექტის ფარგლებში, 2022 წლის 28 ოქტომბერს, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში უკვე მეორედ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს თანამშრომლებმა სეკულარიზმისა და რელიგიური ნეიტრალიტეტის შესახებ ტრენინგი ჩაატარეს ზ. ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის პედაგოგებისათვის.

პროექტის დაწყებიდან დღემდე სულ გადამზადდა 100 სასულიერო პირი, პროექტი ისევ გრძელდება.

## რელიგიური ორგანიზაციების დაფინანსება საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის დროს მიყენებული ზიანის ანაზღაურების ფარგლებში

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სახელმწიფო არ არის საბჭოთა რეჟიმის სამართალმემკვიდრე და შესაბამისად, საბჭოთა ტოტალიტარული პერიოდის დროს მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულება არ აქვს, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 27 იანვრის N117 დადგენილების ფარგლებში, 4 რელიგიურ მიმდინარეობას – ისლამურ, იუდეურ, რომაულ-კათოლიკურ და სომხურ-სამოციქულო აღმსარებლობის რელიგიურ გაერთიანებებს სიმბოლურად და ნაწილობრივ უნაზღაურებს საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის დროს მიყენებულ ზიანს, რომელიც ხმარდება რელიგიური თემების განვითარებას, გამთლიანებასა და ქვეყანაში მშვიდობიან თანაარსებობას.

ამას გარდა, რელიგიური გაერთიანებები იღებენ ფინანსურ და ქონებრივ დახმარებას ადგილობრივი ბიუჯეტებიდან, მათ თემში არსებული რელიგიური საჭიროებების დაკმაყოფილების მიზნით.

გარდა არსებული თანხებისა, საქართველოს მთავრობის 2022 წლის 24 მარტის N524 განკარგულებით, ოთხი რელიგიური გაერთიანებისთვის (საქართველოს მუსლიმი თემი, ლათინ კათოლიკეთა კავკასიის სამოციქულო ადმინისტრაცია, სომეხთა სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის საქართველოს ეპარქია, საქართველოს ებრაელთა კავშირი) 2022 წლამდე არსებულ 4,5 მლნ. ლარს 1 მლნ. ლარი დაემატა მთავრობის სარეზერვო ფონდიდან. უკვე არსებულ დაფინანსებაზე დამატებული თანხა რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტომ შემდეგნაირად გადაანაწილა:

საქართველოს ისლამური თემი - **600.000** ლარი;

საქართველოს სომეხთა სამოციქულო ქრისტიანული თემი - **200.000** ლარი;

საქართველოს რომაულ-კათოლიკეთა ქრისტიანული თემი - **100 000** ლარი;

საქართველოს იუდეური თემი -**100 000** ლარი;

სულ, 2022 წლის განმავლობაში, 4 რელიგიურ ორგანიზაციაზე გადანაწილდა **5. 500000** (ხუთი მილიონ ხუთასი ათასი) ლარი. (იხილეთ ცხრილი N1).

ცხრილი N1

| რელიგიური გაერთიანება | 2014 | 2015 | 2016 | 2017 | 2018 | 2019 | 2020 | 2021 | 2022 | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| მუსლიმი თემი | 1 100 000 | 2 200 000 | 2 750 000 | 2 750 000 | 2 750 000 | 2 750 000 | 2 750 000 | 2 750 000 | 3 350 000 | 23 150 000 |
| კათოლიკური თემი | 200 000 | 400 000 | 550 000 | 550 000 | 550 000 | 550 000 | 550 000 | 550 000 | 650 000 | 4 550 000 |
| სომხური სამოციქულო თემი | 300 000 | 600 000 | 800 000 | 800 000 | 800 000 | 800 000 | 800 000 | 800 000 | 1 000 000 | 6 700 000 |
| იუდეური თემი | 150 000 | 300 000 | 400 000 | 400 000 | 400 000 | 400 000 | 400 000 | 400 000 | 500 000 | 3 350 000 |
| სულ | 1 750 000 | 3 500 000 | 4 500 000 | 4 500 000 | 4 500 000 | 4 500 000 | 4 500 00 0 | 4 500 00 0 | 5 500 000 | 37 750 000 |

*თანხები მოცემულია ლარში

ამას გარდა, რელიგიური გაერთიანებები იღებენ ფინანსურ და ქონებრივ დახმარებას ადგილობრივი ბიუჯეტებიდან, მათ თემში არსებული რელიგიური საჭიროებების დაკმაყოფილების მიზნით.

## რელიგიურ გაერთიანებათა ქონებრივი და ფინანსური საკითხების შემსწავლელი სარეკომენდაციო კომისია

### სარეკომენდაციო კომისიის სხდომები

2022 წელს რელიგიურ გაერთიანებათა ქონებრივი და ფინანსური საკითხების შემსწავლელი კომისიის 5 სხდომა გაიმართა. ჯამში, კომისიამ განიხილა 186 საკითხი, აქედან:

| რელიგიური თემი | შუამდგომლობა | დაკმაყოფილდა | ხარვეზი | უარი |
|---|---|---|---|---|
| საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესია | 154 | 129 | 11 | 14 |
| მუსლიმი თემი | 22 | 22 | 0 | 0 |
| სომეხთა სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის საქართველოს ეპარქია | 8 | 7 | 0 | 1 |
| აღმოსავლეთ ევროპის სომეხ კათოლიკეთა ორდინარიატი | 1 | 0 | 1 | 0 |
| ევანგელურ-პროტესტანტული ეკლესია | 1 | 1 | 0 | 0 |

**2022 წლის 18 მარტი - I სხდომა**

| რელიგიური თემი | შუამდგომლობა | დაკმაყოფილდა | ხარვეზი | უარი |
|---|---|---|---|---|
| საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესია | 59 | 53 | 4 | 2 |
| მუსლიმი თემი | 1 | 1 | | |

**2022 წლის 13 მაისი - II სხდომა**

| რელიგიური თემი | შუამდგომლობა | დაკმაყოფილდა | ხარვეზი | უარი |
|---|---|---|---|---|
| საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესია | 35 | 26 | 4 | 5 |
| მუსლიმი თემი | 10 | 10 | | |
| აღმოსავლეთ ევროპის სომეხ კათოლიკეთა ორდინარიატი | 1 | | 1 | |

**2022 წლის 22 ივლისი - III სხდომა**

| რელიგიური თემი | შუამდგომლობა | დაკმაყოფილდა | ხარვეზი | უარი |
|---|---|---|---|---|
| საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესია | 24 | 20 | 2 | 2 |
| სომეხთა სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის საქართველოს ეპარქია | 3 | 3 | | |

**2022 წლის 1 ნოემბერი - IV სხდომა**

| რელიგიური თემი | შუამდგომლობა | დაკმაყოფილდა | ხარვეზი | უარი |
|---|---|---|---|---|
| საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესია | 23 | 20 | 1 | 2 |
| სომეხთა სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის საქართველოს ეპარქია | 2 | 1 | | 1 |

**2022 წლის 9 დეკემბერი - V სხდომა**

| რელიგიური თემი | შუამდგომლობა | დაკმაყოფილდა | ხარვეზი | უარი |
|---|---|---|---|---|
| საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესია | 13 | 10 | | 3 |
| მუსლიმი თემი | 11 | 11 | | |
| ევანგელურ - პროტესტანტული ეკლესია | 1 | 1 | | |
| სომეხთა სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის საქართველოს ეპარქია | 3 | 3 | | |

## სხვადასხვა შეხვედრები

2022 წლის 16 თებერვალს, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს თავმჯდომარემ, ზაზა ვაშაყმაძემ გაცნობითი ხასიათის შეხვედრა გამართა ირანის რესპუბლიკის საქმეთა დროებით რწმუნებულთან საქართველოში, მოჰამად ყობად რადთან და მიაწოდა ინფორმაცია ადამიანის უფლებათა სამთავრობო-სამოქმედო გეგმის ფარგლებში განხორციელებულ პროექტებზე, რელიგიის თავისუფლების მიმართულებით არსებულ მდგომარეობასა და მიმდინარე გამოწვევებზე. რწმუნებულმა ინიციატივა გამოთქვა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმების თაობაზე სააგენტოსა და ირანის ალ-მუსტაფას უნივერსიტეტს შორის. შეხვედრას ასევე ესწრებოდა საქართველოში ალ-მუსტაფას უნივერსიტეტის წარმომადგენელი ჰასან იუსეფზადე არბატი.

2022 წლის 8 აპრილს, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს თავმჯდომარე, ზაზა ვაშაყმაძე საქართველოში აზერბაიჯანის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს, ფაიგ გულიევს, საელჩოს პირველ მდივან ანარ რასულოვსა და მესამე მდივან რამელ ლატიფოვს შეხვდა. შეხვედრას ესწრებოდნენ ახალციხის, ტაო-კლარჯეთისა და ლაზეთის ეპარქიის მიტროპოლიტი, ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპარქიის დროებითი მმართველი, თეოდორე (ჭუაძე) და კახის წმ. გიორგის ეკლესიის წინამძღვარი, მღვდელი პეტრე ხუმარაშვილი. შეხვედრაზე განიხილეს რელიგიის სფეროში საქართველოსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკას შორის ურთიერთობის საკითხები, მემორანდუმების შესაძლო გაფორმების საკითხი რელიგიის სააგენტოსა და აზერბაიჯანის რელიგიური ასოციაციების სახელმწიფო კომიტეტს შორის და ამავე კომიტეტთან არსებულ ღვთისმეტყველების ინსტიტუტსა და თბილისის სასულიერო აკადემიას შორის.

2022 წლის 13 აპრილს, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს თავმჯდომარე ეროვნული უმცირესობების საკითხებში ეუთო-ს უმაღლეს კომისარს, კაირატ აბდრახმანოვს შეხვდა. სააგენტოს თავმჯდომარემ ეუთო-ს უმაღლეს კომისარს გააცნო რელიგიის სფეროში სააგენტოს მიერ განხორციელებული აქტივობები და განსაკუთრებულად აღნიშნა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე, აფხაზეთის ა/რ-სა და ცხინვალის რეგიონში რელიგიის თავისუფლების კუთხით არსებული უმძიმესი ვითარება, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დევნისა და შევიწროების, ღვთისმსახურების შეზღუდვის, ასევე, რუსული მხარის მიერ ოკუპირებულ რეგიონებში საკულტო ნაგებობების ხელყოფისა და მათში ქართული კულტურული იდენტობის წაშლის ფაქტები.

2022 წლის 20 მაისს, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს თავმჯდომარე, რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ბრძოლის ევროპული კომიტეტის (ECRI) ექსპერტებს შეხვდა. შეხვედრის მონაწილე ექსპერტები დაინტერესდნენ, საქართველოში რელიგიური შეუწყნარებლობისა და დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის თვალსაზრისით არსებული ვითარებით, კოვიდ-19 პანდემიის გავლენით უმცირესობათა ჯგუფებზე და ხელისუფლების მიერ მიღებული ზომებით პანდემიის ზემოქმედების შედეგების მინიმუმამდე შესამცირებლად განხორციელებული საქმიანობით.

2022 წლის 7 ივნისს, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტომ აზერბაიჯანის რესპუბლიკის დელეგაციას უმასპინძლა, რომლის შემადგენლობაშიც კოლეგა ორგანიზაციის, აზერბაიჯანის რესპუბლიკის რელიგიური ასოციაციების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, საჰიბ ნაგიევი და კომიტეტის თანამშრომლები, საქართველოში აზერბაიჯანის ელჩი, ფაიგ გულიევი და აზერბაიჯანის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები იყვნენ. სტუმრებმა მიიღეს ამომწურავი ინფორმაცია საქართველოს სახელმწიფოს რელიგიური პოლიტიკის, ამ სფეროში მომხდარი მნიშვნელოვანი ცვლილებებისა და ახალი გამოწვევების თაობაზე, კერძოდ: მიმდინარე პროექტებზე, საბჭოთა პერიოდში მიყენებული მატერიალური

და მორალური ზარალის ანაზღაურების მიზნით რელიგიური ორგანიზაციებისათვის გაზრდილ დაფინანსებაზე, მეჩეთების გადაცემის თაობაზე და სხვა მნიშვნელოვან თემებზე.

2022 წლის 22 ივნისს, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს თავმჯდომარე, ზაზა ვაშაყმაძე, მსოფლიოში ცნობილ ბრიტანელ მისიონერს, რეჟისორსა და დოკუმენტალისტს, თეოლოგიის დოქტორს, დევიდ გორდონ ჰეთეუეის შეხვდა, რომელიც საქართველოში პოპულარულია ფილმებით - „ევროპის მოტაცება“ და „ვის ეკუთვნის იერუსალიმი?!“. ბრიტანელი მისიონერი თბილისში საქართველოს სახარების რწმენის ეკლესიის მოწვევით იმყოფებოდა.

2022 წლის 24 ივნისს, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს თავმჯდომარე, ირანელ პოლიტიკოსს, ირანის პარლამენტის წევრს, ქალბატონ ზოჰრე ელაჰიანს შეხვდა. ზოჰრე ელაჰიანი პარლამენტის ეროვნული უსაფრთხოებისა და საგარეო პოლიტიკის კომისიის პრეზიდიუმის, პარლამენტის ქალთა ფრაქციის წევრია, თავმჯდომარეობს პარლამენტის არასამთავრობო ორგანიზაციების ფრაქციასა და ადამიანის უფლებათა კომიტეტს. შეხვედრის დასაწყისში, სააგენტოს თავმჯდომარემ სტუმარს მოკლედ მოუთხრო რელიგიის სააგენტოს საქმიანობის, მისი ძირითადი ფუნქციებისა და ამოცანების თაობაზე. ასევე, ისაუბრა საქართველოს სახელმწიფოს რელიგიური პოლიტიკის შესახებ და იმ ტრადიციულად, ტოლერანტულ ურთიერთობებზე, რომელიც საქართველოში არსებულ რელიგიურ კონფესიებს შორის ჩამოყალიბდა.

2022 წლის 10 აგვისტოს, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს თავმჯდომარე ნატოს სამეკავშირეო ოფისის ხელმძღვანელს საქართველოში ალექსანდრ ვინიკოვს შეხვდა. სააგენტოს თავმჯდომარემ ისაუბრა რელიგიის სააგენტოს შექმნისა და საქმიანობის შესახებ, საქართველოს რელიგიური თემების დემოგრაფიულ და ეთნიკურ მახასიათებლებზე და სახელმწიფოს მხრიდან რელიგიის თავისუფლების მიმართულებით განხორციელებულ წარმატებულ პროექტებზე. შეხვედრაზე განიხილეს ნატოს სამეკავშირეო ოფისის მიერ ორგანიზებული რელიგიური ლიდერების ვიზიტი ნატოს შტაბბინაში, ბრიუსელში.

2022 წლის 13 სექტემბერს, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს ეუთო-ს დელეგაცია ეწვია. კერძოდ, ეუთო-ს თავმჯდომარეობის პირადი წარმომადგენელი რასიზმის, ქსენოფობიისა და დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის, ქრისტიანებისა და სხვა რელიგიების წარმომადგენლების მიმართ შეუწყნარებლობისა და დისკრიმინაციის საკითხებში, პროფესორი რეჯინა პოლაკი, ეუთო-ს თავმჯდომარეობის პირადი წარმომადგენელი ანტისემიტიზმთან ბრძოლის საკითხებში, რაბი ენდრიუ ბეიკერი, ეუთო-ს თავმჯდომარეობის პირადი წარმომადგენელი მუსლიმთა მიმართ შეუწყნარებლობისა და დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებში, ელჩი ისმაილ ჰაკი მუსა, ეუთო-ს პოლონეთის თავმჯდომარეობის სპეციალური მრჩეველი, ევა საპიეზინსკა, ეუთო/ოდირი-ს მრჩეველი რასიზმის, ქსენოფობიის საკითხებში, ტატიანა პერიჩი და ეუთო/ოდირი-ს მრჩეველი ანტისემიტიზმის საკითხებში, მიკოლაი ეჟეჩენკოვსკი. სააგენტოს

თავმჯდომარემ სტუმრებს მოკლედ გააცნო საქართველოს სახელმწიფოს რელიგიური პოლიტიკა და რელიგიის სააგენტოს საქმიანობა, პროექტები და აქტივობები. მან ასევე, განსაკუთრებულად აღნიშნა ქართველებისა და ებრაელების ურთიერთობა და ხაზი გაუსვა ქართული ისლამის უნიკალურ ხასიათსაც, კერძოდ იმ ფაქტს, რომ მსოფლიოში არსებული დაპირისპირების ფონზე ქართველი შიიტები და სუნიტები ერთ მეჩეთში ლოცულობენ. ასევე ხაზგასმით აღინიშნა ქართველ კათოლიკეთა წვლილი ქართული კულტურის განვითარების საქმეში. სააგენტოს თავმჯდომარემ ისაუბრა მცირერიცხოვანი რელიგიების მდგომარეობაზე საქართველოში და განსაკუთრებულად გამოყო ინტერრელიგიური სათათბიროს ფორმატში მათი ნაყოფიერი თანამშრომლობა, რომელსაც საქართველოში ანალოგი არ აქვს.

## რელიგიურ უმცირესობებთან ურთიერთობა და საქველმოქმედო აქციები

რელიგიის სააგენტო სისტემატურად ატარებს საქველმოქმედო აქციებს, რომლის აქტიური მხარდაჭერით დახმარება გაეწია საქართველოში არსებულ, როგორც უმრავლესობაში მყოფ რელიგიურ ორგანიზაციას, ასევე უმცირესობებს მთელი ქვეყნის მასშტაბით. 2022 წელს, რელიგიის სააგენტოსა და საქართველოს ბაპტისტური ეკლესიების კავშირის ერთობლივი საქველმოქმედო აქციის ფარგლებში განხორციელდა არაერთი ჰუმანიტარული დახმარება. კერძოდ:

2022 წლის 15 თებერვალს, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოსა და საქართველოს ბაპტისტური ეკლესიების კავშირის ერთობლივი საქველმოქმედო აქციის ფარგლებში გლდანი-ნაძალადევის რაიონში მცხოვრებ დევნილ ბავშვებს 200-მდე სასაჩუქრე ყუთი გადაეცათ;

2022 წლის 17 თებერვალს, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტომ საქველმოქმედო აქცია გამართა საჩხერის რაიონის სოფელ საირხის წმ. ნინოს სახელობის მართლმადიდებლური გიმნაზიის მოსწავლეებისათვის, რომელთაც 20 სასკოლო ჩანთა და 100 ყუთი საჩუქარი გადაეცათ;

2022 წლის 21 თებერვალს, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტომ და საქართველოს ბაპტისტური ეკლესიების კავშირმა საქველმოქმედო აქცია გამართეს და ჰუმანიტარული ტვირთი წალკის ეპარქიის ტერიტორიაზე მცხოვრებლებს ჩაუტანეს. წალკელ ბავშვებს 150 სასაჩუქრე ყუთი და 30 სასკოლო ჩანთა გადაეცათ საჩუქრად, ასევე 70 ყუთი ტანსაცმელი, როგორც ბავშვებს, ასევე მოზრდილებს;

2022 წლის 24 თებერვალს, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტომ საქველმოქმედო აქცია დედოფლისწყაროში, ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპარქიაში მდებარე, წმ. მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის სკოლა-ინტერნატში გამართა და ინტერნატის მოსწავლეებს 200 სასაჩუქრე ყუთი გადასცა; იმავე სკოლა-ინტერნეტს 2022 წლის 23 მარტს, დამატებით საჩუქრად გადაეცათ 25 ყუთი ტანსაცმელი.

2022 წლის 25 მარტს, თბილისის უსინათლო და მხედველობა დაქვეითებულთა 202-ე საჯარო სკოლას რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს წარმომადგენლები ეწვივნენ და სკოლის 50-მდე მოსწავლეს სხვადასხვა საჩუქრები, სააგენტოს მიერ ბრაილის შრიფტით გამოცემული ძველი აღთქმის მესამე კანონიკური წიგნი „ლევიტელთა" (ლევიანნი) და ყოველწლიური ინტერრელიგიური კალენდრები გადასცეს;

2022 წლის 30 მარტს, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს წარმომადგენლებმა წყნეთის სასტუმრო „კოპალაში" მცხოვრები ლტოლვილი უკრაინელები მოინახულეს და მათ ტანსაცმელი, ტკბილეული და საბავშვო სასაჩუქრე ყუთები გადასცეს;

2022 წლის 1 აპრილს, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოსა და თბილისის საერთაშორისო ბაპტისტური ეკლესიის წარმომადგენლები რიყეზე, სასტუმრო „კოპალაში" მცხოვრებ ლტოლვილ უკრაინის მოქალაქეებს ეწვივნენ და ტანსაცმელი, ტკბილეული და საბავშვო სასაჩუქრე ყუთები გადასცეს;

2022 წლის 4 აპრილს, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოსა და საქართველოს ბაპტისტური ეკლესიების კავშირის წარმომადგენლები მარტვილის რაიონის სოფელ სალხინოს ეწვივნენ და საქართველოს საპატრიარქოს წმ. ამბროსი ხელაიას სახელობის სკოლა-პანსიონის მოსწავლეებს ჰუმანიტარული დახმარება - 80 ფუთა ტანსაცმელი და 120 ყუთი სასწავლო ნივთი გადასცეს;

2022 წლის 28 აპრილს, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს წარმომადგენლები ბორჯომისა და ბაკურიანის ეპარქიას ეწვივნენ და ეპარქიის მრევლს საჩუქრად 15 ფუთა ტანსაცმელი და 25 საბავშვო სასაჩუქრე ყუთი გადასცეს;

2022 წლის 30 აგვისტოს, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო და საქართველოს ბაპტისტური ეკლესიების კავშირი, ერთობლივი საქველმოქმედო აქციის ფარგლებში, საერთაშორისო ჰუმანიტარული კავშირი „კათარზისი"-ს ბენეფიციარებს დაეხმარა. „კათარზისში" გაწევრიანებულ 460-მდე სოციალურად დაუცველ ხანდაზმულს და 133 უკრაინელ ლტოლვილს ამჯერად გერმანიიდან მიღებული ჰუმანიტარული დახმარება, საკვები პროდუქტები გადასცეს;

2022 წლის 1 სექტემბერს, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტომ და საქართველოს ბაპტისტური ეკლესიების კავშირმა ერთობლივი საქველმოქმედო აქცია გამართეს მართლმადიდებელი ეკლესიის ჭიათურისა და საჩხერის ეპარქიაში და სოფელ საირხის წმ. ნინოს სახელობის გიმნაზიის მოსწავლეებსა და მასწავლებლებს გერმანიიდან გამოგზავნილი ჰუმანიტარული დახმარება, ტანსაცმლის ფუთები გადასცეს;

2022 წლის 5 ნოემბერს, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტომ და საქართველოს ბაპტისტური ეკლესიების კავშირმა წალკის ეპარქიის ტერიტორიაზე მცხოვრებლებს ერთობლივი საქველმოქმედო აქციის ფარგლებში 40 ფუთა ტანისამოსი საჩუქრად გადასცეს;

2022 წლის 18 ნოემბერს, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტომ და საქართველოს ბაპტისტური ეკლესიების კავშირმა კასპის სოციალურად დაუცველ მოსახლეობას 40 ფუთა ტანისამოსი გადასცეს;

2022 წლის 25 ნოემბერს, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტომ და საქართველოს ბაპტისტური ეკლესიების კავშირმა ჭიათურისა და საჩხერის ეპარქიის სოციალურად დაუცველ მოსახლეობას 45 ფუთა ტანისამოსი გადასცეს;

2022 წლის 22 დეკემბერს, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტომ და საქართველოს ბაპტისტური ეკლესიების კავშირმა გორში ღირსი მამა გიორგი მთაწმინდელის სახელობის სასულიერო გიმნაზიის მოსწავლეებს 40 ფუთა ტანსაცმელი და 100 ყუთი საახალწლო საჩუქრები გადასცეს.

## შეხვედრები საქართველოში აკრედიტირებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებთან

რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო ტრადიციულად აქტიურად თანამშრომლობს დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებთან, მართავს გაცნობითი და სამუშაო ხასიათის შეხვედრებს და აცნობს მათ სააგენტოს საქმიანობას, განხორციელებულ პროექტებსა და სამომავლო გეგმებს. 2022 წელს გაიმართა შემდეგი შეხვედრები:

- საქართველოში საბერძნეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩ, მარია თეოდორუსთან - 22.02.2022;

- საქართველოში კატარის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩ, ჰასან ბინ აჰმედ ალ მუტავასთან და საელჩოს მეორე მდივან ნასერ ბინ საად ალ ნუაიმისთან - 24.03.2022;

- საქართველოში უნგრეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩ, ანა მარია შიკოსთან - 06.04.2022;

- საქართველოში შვედეთის სამეფოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩ, ულრიკ ტიდესტრომთან - 18.05.2022;

- საქართველოში ბულგარეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩ, ვესელინ ვალკანოვთან - 07.07.2022;

- საქართველოში თურქეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩ, ალი ქაან ორბაისთან - 26.07.2022;

- საქართველოში ირანის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩ, მაჰმუდ ადიბთან - 07.10.2022; 30.12.2022.

- საქართველოში სომხეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩ, აშოტ სმბატიანსთან - 18.10.2022;

- საქართველოში ლატვიის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩ, ედიტე მედნესთან - 31.10.2022;

- საქართველოში ისრაელის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩ, ჰადას მეიცადისთან - 21.11.2022;

- საქართველოში გერმანიის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩ, პიტერ ფიშერთან - 15.12.2022.

## ვიზიტები საზღვარგარეთ

## ვიზიტი მოლდოვას რესპუბლიკაში

2022 წლის 19 იანვარს რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს დელეგაცია ეწვია მოლდოვას რესპუბლიკას, შეხვედრები გაიმართა, როგორც საკანონმდებლო ისე აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებთან, ასევე კოლეგა ორგანიზაციის და მოლდოვას რესპუბლიკის სხვადასხვა რელიგიურ ლიდერებთან, კერძოდ:

1) მოლდოვას კულტურის მინისტრის მოადგილესთან, რომელიც მოლდოვას რესპუბლიკაში რელიგიის საკითხებს კურირებს, იონ ბუდეჩთან - 19.01.2022;

2) მოლდოვას იუსტიციის სამინისტროს გენერალურ მდივანთან, სტელა ჩობანუსთან - 20.01.2022;

3) მოლდოვას რესპუბლიკის პარლამენტის კულტურის, განათლების, კვლევის, ახალგაზრდობის, სპორტისა და მასმედიის კომიტეტის თავმჯდომარესთან, მოლდოვა-საქართველოს საპარლამენტო მეგობრობის ჯგუფის თანათავმჯდომარესთან, ლილიანა ნიკოლაესკუ-ონოფრეისთან - 21.01.2022;

4) მოლდოვას პარლამენტის იურიდიული, იმუნიტეტისა და დანიშვნების კომიტეტის თავმჯდომარესთან, ოლესია სტამატისთან - 21.01.2022;

5) ბესარაბიის მიტროპოლიტ, პეტრუ პადურარუსთან - 22.01.2022;

6) მოლდოვას კათოლიკური ეკლესიის ეპისკოპოსს, ანტონ კოშასთან - 22.01.2022;

7) მოლდოვას ებრაული კულტურის ცენტრის, „კედემის“ დირექტორთან, დარია კოტორობაისთან და მოლდოვას ებრაელთა თემის რაბინთან, შიმშონ დანიელ იზაკსონისთან - 22.01.2022.

## ვიზიტი აზერბაიჯანის რესპუბლიკაში

რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს ინიციატივითა და ორგანიზებით, 2022 წელს აზერბაიჯანის რესპუბლიკაში განხორციელდა გიორგობის დღესასწაულთან დაკავშირებული ორი ვიზიტი 6 მაისსა და 23 ნოემბერს. ვიზიტების ფარგლებში, აზერბაიჯანის კახის რაიონში დელეგაცია გაემგზავრა, რომლის შემადგენლობაშიც იყვნენ საქართველოს საპატრიარქოს ახალციხისა და ტაო-კლარჯეთის მიტროპოლიტი, ხორნაბუჯის, ჰერეთის და ნეკრესის ეპარქიის დროებითი მმართველი, მიტროპოლიტი თეოდორე (ჭუაძე) და საპატრიარქოს წარმომადგენლები, მონაზვნები და მგალობლები, ასევე პარლამენტის, კახეთის გუბერნიის, ლაგოდეხისა და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს წარმომადგენლები, საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი აზერბაიჯანში, ზურაბ პატარაძე, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს თავმჯდომარე, ზაზა ვაშაყმაძე და სააგენტოს თანამშრომლები.

დელეგაციის წევრები კახის რაიონის წმ. გიორგის ტაძარს და ქურმუხის წმ. გიორგის ტაძარს ეწვივნენ, სადაც დაესწრნენ პარაკლისს, რომელიც ახალციხისა და ტაო-კლარჯეთის მიტროპოლიტმა, თეოდორემ (ჭუაძე) და კახის წმ. გიორგის ეკლესიის წინამძღვარმა, მღვდელმა პეტრე ხუმარაშვილმა გადაიხადეს.

## ვიზიტი პოლონეთის რესპუბლიკაში

2022 წლის 26 სექტემბერს, დედაქალაქ ვარშავაში, გაიხსნა „ვარშავის ადამიანური განზომილების კონფერენცია“, რომელიც ეუთო-ს მოქმედი პოლონეთის თავმჯდომარეობის ორგანიზებითა და ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის მხარდაჭერით ტარდება. კონფერენცია ათი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა და მოიცვა ისეთი მნიშვნელოვანი თემები, როგორიცაა ეუთოს ფარგლებში ადამიანის უფლებები და ფუნდამენტური თავისუფლებები.

28 სექტემბრის პლენარული სესიის თემა იყო ფუნდამენტური თავისუფლებები, რაც გულისხმობს ისეთ საკითხებს, როგორიცაა რელიგიისა და რწმენის თავისუფლება, შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლება, ადამიანის უფლებათა დამცველები და გადაადგილების თავისუფლება.

სესიის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს დელეგაციამ, სააგენტოს თავმჯდომარის, ზაზა ვაშაყმაძისა და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტის, დავით დავითაშვილის შემადგენლობით. სესიაზე სიტყვით გამოვიდა დავით დავითაშვილი და ისაუბრა საქართველოს სახელმწიფოს რელიგიურ პოლიტიკაზე, რელიგიის სააგენტოს მიერ განხორციელებულ პროექტებსა და აქტივობებზე.

29 სექტემბრის კონფერენციის სესია მიეძღვნა თემას „ტოლერანტობა და არადისკრიმინაციულობა“ - რასიზმის, ქსენოფობიის, დისკრიმინაციისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ბრძოლა, მათ შორის რელიგიისა და რწმენის საფუძველზე. სესიის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს თავმჯდომარემ, ზაზა ვაშაყმაძემ და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა, დავით დავითაშვილმა. კონფერენციის ფორმატი ითვალისწინებდა გვერდით ღონისძიებებს, რომლის თემა იმ დღეს მიმდინარე პლენარული სესიის თემასთან თანხვედრაში უნდა ყოფილიყო, რაც საშუალებას აძლევდა მონაწილეებს, ეუთოს ადამიანური განზომილების ვალდებულებებიდან გამოეყოთ რომელიმე სპეციფიკური საკითხი და ფოკუსირება მოეხდინათ მასზე. 29 სექტემბრის სესიის გვერდით ღონისძიებაზე მონაწილეებს სიტყვით მიმართა რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს თავმჯდომარემ, ზაზა ვაშაყმაძემ და მოუთხრო საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე, აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკასა და ცხინვალის რეგიონში ეროვნებით ქართველების და აღმსარებლობით მართლმადიდებლების სიცოცხლის, რელიგიის, გამოხატვის, მშობლიურ ენაზე განათლების მიღების, თავისუფლად გადაადგილების უფლების დარღვევის, მოსახლეობის დაშინებისა და რელიგიური სიწმინდეების შებილწვის ფაქტებზე.

## ვიზიტი შვეიცარიაში

2022 წლის 23-24 ნოემბერს, შვეიცარიის ქ. ჟენევაში, გაიმართა „რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კონვენციის შესრულების თაობაზე გაეროს რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტში საქართველოს მიერ წარდგენილი გაერთიანებული მე-9 და მე-10 პერიოდული ანგარიშების განხილვა.

განხილვაში მონაწილე უწყებათაშორის დელეგაციას ხელმძღვანელობდა საგარეო საქმეთა სამინისტრო, რომელიც აერთიანებდა სხვადასხვა უწყების წარმომადგენლებს, მათ შორის რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოდან მონაწილეობდა სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი დავით დავითაშვილი. კომიტეტს მიეწოდა ინფორმაცია ადამიანის უფლებათა დაცვის სტრატეგიის, დისკრიმინაციისა და სიძულვილის წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით განხორციელებული ღონისძიებების, რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციის შედეგად ადამიანის უფლებათა დარღვევებისა და ქართველების ეთნიკური და რელიგიური დისკრიმინაციის ფაქტების შესახებ. ასევე, საკითხები შეეხო ეთნიკურ უმცირესობათა, უცხოელთა, მოქალაქეობის არმქონე პირთა, მიგრანტთა, ლტოლვილთა, იძულებით გადასახლებულ პირთა და ბოშათა უფლებების დაცვის მიზნით გადადგმულ ნაბიჯებსა და სხვა.

კომიტეტის წევრებმა მადლობა გადაუხადეს საქართველოს დელეგაციას ღიაობისა და ჩართულობისათვის, ასევე კონსტრუქციული და პროდუქტიული დიალოგისათვის და დადებითად შეაფასეს ქვეყნის მიერ განხორციელებული რეფორმები.

## მედიასთან ურთიერთობა

რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო პრიორიტეტულად მიიჩნევს ღია და გამჭვირვალე ურთიერთობას მედიასთან.

სააგენტოს ვებგვერდზეა ატვირთული რელიგიის სააგენტოს ნებისმიერი პუბლიკაცია, ინტერრელიგიური კალენდარი და რელიგიური რუკები.

სააგენტოს წარმომადგენელთა ნებისმიერი აქტივობა: შეხვედრები, ვიზიტები, კონფერენციები, სხვადასხვა ღონისძიებებში მონაწილეობა იტვირთება სააგენტოს ვებგვერდზე, ფეისბუკზე და „ტვიტერზე" შუქდება და ვრცელდება მედიასაშუალებებით, საინფორმაციო სააგენტო „ინტერპრესნიუსის" მეშვეობით.

საანგარიშო პერიოდში, 2022 წელს აიტვირთა 272 ინფორმაცია თავისი ფოტომასალით. სულ, 2020-2022 წლებში გავიდა 727 ინფორმაცია თავისი ფოტომასალით.

„ტვიტერზე" 2022 წელს აიტვირთა 53 ინგლისურენოვანი ინფორმაცია. სულ, 2020-2022 წლების მანძილზე, გავრცელდა 125 ინგლისურენოვანი ინფორმაცია.

რელიგიის სააგენტო აქტიურად თანამშრომლობს საინფორმაციო სააგენტო „ინტერპრესნიუსთან". საანგარიშო პერიოდში, 2022 წელს 258 ინფორმაცია გაშუქდა. სულ, 2020-2022 წლებში, „ინტერპრესნიუსით" გავრცელდა 585 ინფორმაცია და ფოტო.

რელიგიის სააგენტოს ღონისძიებები გაშუქდა სხვადასხვა სატელევიზიო არხებით. 2022 წელს გაშუქდა 46 ღონისძიება. სულ, 2020-2022 წლებში, გავიდა 157 სატელევიზიო სიუჟეტი.

## დანართი - სსიპ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს ხარჯების შესახებ ინფორმაცია

2022 წელს ადმინისტრაციული ხარჯებისთვის გაფორმებულია 34 (ოცდათოთხმეტი) ხელშეკრულება, მათ შორის, კონსოლიდირებული ტენდერით 8 (რვა) ხელშეკრულება, ელექტრონული ტენდერით 6 (ექვსი) ხელშეკრულება, ხოლო გამარტივებული შესყიდვით 20 (ოცი) ხელშეკრულება.

ყოველთვიურად ელექტრონულად მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადებში წარდგენილია ელექტრონული დეკლარაციები.

ყოველ კვარტალურად საქართველოს ფინანსთა სამინისტროში ელექტრონულად (https://www.ebudget.ge/) წარდგენილია ბიუჯეტის შესრულების ანგარიში.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში ელექტრონულად ატვირთულია გეგმა (EPLAN), ყველა ხელშეკრულება და ყველა ხელშეკრულების ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტი, როგორც CMR-ზე, ასევე SPA-ზე.

განხორციელდა 6 (ექვსი) ელექტრონული ტენდერი. ატვირთულია კანონმდებლობით დადგენილ ვადებში ტექნიკური დოკუმენტაცია, შესაბამისი ოქმები. ხელშეკრულებები, შესრულებები და გადახდები.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურში დარეგისტრირებულია 34 (ოცდათოთხმეტი) ადმინისტრაციული ხელშეკრულება (ორგანიზაციული კოდი 5001) და 12 (თორმეტი) სხვადასხვა რელიგიურ წარმომადგენლობებთან (ორგანიზაციული კოდი 5002) გაფორმებული ხელშეკრულებები (სსიპ სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველო (3), სსიპ საქართველოს ებრაელთა კავშირი (3), სსიპ სომეხთა სამოციქულო მართლმადიდებელი წმიდა ეკლესიის საქართველოს ეპარქია (3) და სსიპ ლათინ კათოლიკეთა კავკასიის სამოციქულო ადმინისტრაცია (3)).

## ინფორმაცია ფინანსური მდგომარეობის შესახებ 2022 წ.

სსიპ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო

| ორგანიზაციული კოდი | დასახელება | 2022წლის დამტკიცებული გეგმა | საკასო შესრულება | შესრულების პროცენტული მაჩვენებელი საკასო შესრულების დამტკიცებულ გეგმასთან მიმართებაში |
|---|---|---|---|---|
| **5000** | **სსიპ - რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო** | **6,388,800** | **6,373,751** | 99.76% |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 22 | | |
| | ჯამური | 6,388,800 | 6,373,751 | 99.76% |
| **2** | ხარჯები | 6,378,800 | 6,364,247 | 99.77% |
| 2.1 | შრომის ანაზღაურება | 646,800 | 643,704 | 99.52% |
| 2.2 | საქონელი და მომსახურება | 228,000 | 217,163 | 95.25% |
| 2.5 | სუბსიდიები | 5,500,000 | 5,500,000 | 100.00% |
| **2.7** | სოციალური უზრუნველყოფა | 3,000 | 2,710 | 90.33% |
| **2.8** | სხვა ხარჯები | 1,000 | 670 | 67.00% |
| **3.1** | არაფინანსური აქტივების ზრდა | 10,000 | 9,504 | 95.04% |
| **5001** | **სსიპ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო-ადმინისტრაციული ხარჯები** | **888,800** | **873,751** | 98.31% |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 22 | | |
| | ჯამური | 888,800 | 873,751 | 98.31% |
| **2** | ხარჯები | 878,800 | 864,247 | 98.34% |
| 2.1 | შრომის ანაზღაურება | 646,800 | 643,704 | 99.52% |
| 2.2 | საქონელი და მომსახურება | 228,000 | 217,163 | 95.25% |
| 2.2.1 | შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება | | 80,657 | |
| 2.2.2 | მივლინება | | 27,657 | |
| 2.2.3 | ოფისის ხარჯები | | 37,312 | |
| 2.2.4 | წარმომადგენლობითი ხარჯები | | 1,960 | |
| 2.2.6 | სამედიცინო ხარჯი | | 310 | |
| 2.2.8 | ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები | | 44,638 | |
| 2.2.10 | სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება | | 24,629 | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **2.7** | სოციალური უზრუნველყოფა | 3,000 | 2,710 | 90.33% |
| **2.8** | სხვა ხარჯები | 1,000 | 670 | 67.00% |
| **3.1** | არაფინანსური აქტივების ზრდა | 10,000 | 9,504 | 95.04% |
| **5002** | **რელიგიური გაერთიანებების დაფინანსება** | **5,500,000** | **5,500,000** | 100.00% |
| **2.5** | ხარჯები საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე | 4,500,000 | 4,500,000 | 100.00% |
| **2.5** | სუბსიდიები | 4,500,000 | 4,500,000 | 100.00% |
| **2.5** | მთავრობის სარეზერვო ფონდი | 1,000,000 | 1,000,000 | 100.00% |
| **2.5** | სუბსიდიები | 1,000,000 | 1,000,000 | 100.00% |

## ინფორმაცია 2022 წლის მივლინების შესახებ

205311232 სსიპ - რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო

| მივლინება ქვეყნის შიგნით | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მივლინების დოკუმენტი | თარიღი | მივლინების ადგილი | სახელი და გვარი | ხარჯი ტიპი | დღეების რაოდენობა | თანხა |
| ბრძანება_3/1 | 10 / 1 / 2022 | საქართველო-საჩხერე | ზაზა ვაშაყმაძე | დღიური ნორმა | 1 | **30.00** |
| ბრძანება_3/1 | 10 / 1 / 2022 | საქართველო-საჩხერე | ნინო ჭავჭავაძე | დღიური ნორმა | 1 | **30.00** |
| ბრძანება_5/1 | 11 / 1 / 2022 | საქართველო-საჩხერე | ალექსანდრე შეყილაძე | დღიური ნორმა | 1 | **30.00** |
| ბრძანება_5/1 | 11 / 1 / 2022 | საქართველო-საჩხერე | ლაშა მჭედლიძე | დღიური ნორმა | 1 | **30.00** |
| ბრძანება_4/1 | 11 / 1 / 2022 | საქართველო-საჩხერე | ავთანდილ კვერნაძე | დღიური ნორმა | 1 | **30.00** |
| ბრძანება_4/1 | 11 / 1 / 2022 | საქართველო-ბათუმი | აბესალომ ასლანიძე | დღიური ნორმა | 1 | **15.00** |
| ბრძანება_8/1 | 12 / 1 / 2022 | საქართველო-ბათუმი | აბესალომ ასლანიძე | მგზავრობის ხარჯი | | **60.00** |
| ბრძანება_8/1 | 12 / 1 / 2022 | საქართველო-წალკა | ზაზა ვაშაყმაძე | დღიური ნორმა | 1 | **30.00** |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრძანება_9/1 | 14 / 1 / 2022 | საქართველო-წალკა | ნინო ჭავჭავაძე | დღიური ნორმა | 1 | **30.00** |
| ბრძანება_9/1 | 14 / 1 / 2022 | საქართველო-წალკა | ვაჟა ართმელაძე | დღიური ნორმა | 1 | **30.00** |
| ბრძანება_9/1 | 14 / 1 / 2022 | საქართველო-წალკა | ზვიადი ტყაბლაძე | დღიური ნორმა | 1 | **30.00** |
| ბრძანება_9/1 | 14 / 1 / 2022 | საქართველო-ბათუმი | აბესალომ ასლანიძე | დღიური ნორმა | 5 | **150.00** |
| ბრძანება_9/1 | 14 / 1 / 2022 | საქართველო-ბათუმი | აბესალომ ასლანიძე | მგზავრობის ხარჯი | | **69.00** |
| ბრძანება_9/1 | 14 / 1 / 2022 | საქართველო-ბათუმი | აბესალომ ასლანიძე | სასტუმროს ხარჯი | 4 | **400.00** |
| ბრძანება_9/1 | 14 / 1 / 2022 | საქართველო-ბორჯომი | ნათელა გუდაძე | დღიური ნორმა | 4 | **120.00** |
| ბრძანება_9/1 | 14 / 1 / 2022 | საქართველო-ბორჯომი | დავითი დავითაშვილი | დღიური ნორმა | 4 | **120.00** |
| ბრძანება_9/1 | 14 / 1 / 2022 | საქართველო-ბორჯომი | ზაზა ვაშაყმაძე | დღიური ნორმა | 1 | **30.00** |
| ბრძანება_9/1 | 14 / 1 / 2022 | საქართველო-ბორჯომი | ალექსანდრე შეყილაძე | დღიური ნორმა | 4 | **120.00** |
| ბრძანება_13/1 | 26 / 1 / 2022 | საქართველო-ბორჯომი | ვაჟა ართმელაძე | დღიური ნორმა | 1 | **30.00** |
| ბრძანება_22/1 | 25 / 2 / 2022 | საქართველო-ადიგენი | ზაზა ვაშაყმაძე | დღიური ნორმა | 1 | **30.00** |
| ბრძანება_22/1 | 25 / 2 / 2022 | საქართველო-ადიგენი | ზაზა ვაშაყმაძე | დღიური ნორმა | 1 | **30.00** |
| ბრძანება_22/1 | 25 / 2 / 2022 | საქართველო-ადიგენი | ზაზა ვაშაყმაძე | სასტუმროს ხარჯი | 1 | **120.00** |
| ბრძანება_22/1 | 25 / 2 / 2022 | საქართველო-ადიგენი | ვაჟა ართმელაძე | დღიური ნორმა | 1 | **30.00** |
| ბრძანება_22/1 | 25 / 2 / 2022 | საქართველო-ადიგენი | ლაშა მჭედლიძე | დღიური ნორმა | 1 | **30.00** |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრძანება_22/1 | 25 / 2 / 2022 | საქართველო-ადიგენი | ლაშა მჭედლიძე | დღიური ნორმა | 1 | **30.00** |
| ბრძანება_32/1 | 28 / 3 / 2022 | საქართველო-ადიგენი | ლაშა მჭედლიძე | სასტუმროს ხარჯი | 1 | **120.00** |
| ბრძანება_32/1 | 28 / 3 / 2022 | საქართველო-ადიგენი | სერგო ფარულავა | დღიური ნორმა | 1 | **30.00** |
| ბრძანება_35/1 | 31 / 3 / 2022 | საქართველო-ადიგენი | ზვიადი ტყაბლაძე | დღიური ნორმა | 1 | **30.00** |
| ბრძანება_35/1 | 31 / 3 / 2022 | საქართველო-გარდაბანი | ლაშა მჭედლიძე | დღიური ნორმა | 1 | **15.00** |
| ბრძანება_35/1 | 31 / 3 / 2022 | საქართველო-გარდაბანი | ზვიადი ტყაბლაძე | დღიური ნორმა | 1 | **15.00** |
| ბრძანება_35/1 | 31 / 3 / 2022 | საქართველო-ახალციხე | გიორგი პატაშური | დღიური ნორმა | 1 | **15.00** |
| ბრძანება_41/1 | 14 / 4 / 2022 | საქართველო-ახალციხე | ალექსანდრე შეყილაძე | დღიური ნორმა | 1 | **15.00** |
| ბრძანება_41/1 | 14 / 4 / 2022 | საქართველო-თეთრი წყარო | აბაი ფაშაევი | დღიური ნორმა | 1 | **15.00** |
| ბრძანება_48/1 | 27 / 4 / 2022 | საქართველო-თეთრი წყარო | ლაშა მჭედლიძე | დღიური ნორმა | 1 | **15.00** |
| ბრძანება_62/1 | 23 / 5 / 2022 | საქართველო-ყვარელი | დავითი დავითაშვილი | დღიური ნორმა | 1 | **15.00** |
| ბრძანება_62/1 | 23 / 5 / 2022 | საქართველო-ყვარელი | ავთანდილ კვერნაძე | დღიური ნორმა | 1 | **15.00** |
| ბრძანება_62/1 | 23 / 5 / 2022 | საქართველო-ქუთაისი | ალექსანდრე შეყილაძე | დღიური ნორმა | 2 | **30.00** |
| ბრძანება_64/1 | 30 / 5 / 2022 | საქართველო-ქუთაისი | ალექსანდრე შეყილაძე | სასტუმროს ხარჯი | 1 | **100.00** |
| ბრძანება_73/1 | 17 / 6 / 2022 | საქართველო-ქუთაისი | ლაშა მჭედლიძე | დღიური ნორმა | 2 | **30.00** |
| ბრძანება_76/1 | 21 / 6 / 2022 | საქართველო-ქუთაისი | ლაშა მჭედლიძე | სასტუმროს ხარჯი | 1 | **100.00** |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრძანება_81/1 | 8 / 7 / 2022 | საქართველო-საჩხერე | ნინო ჭავჭავაძე | დღიური ნორმა | 1 | **15.00** |
| ბრძანება_81/1 | 8 / 7 / 2022 | საქართველო-საჩხერე | ლაშა მჭედლიძე | დღიური ნორმა | 1 | **15.00** |
| ბრძანება_81/1 | 8 / 7 / 2022 | საქართველო-ბათუმი | აბესალომ ასლანიძე | დღიური ნორმა | 5 | **150.00** |
| ბრძანება_81/1 | 8 / 7 / 2022 | საქართველო-ბათუმი | აბესალომ ასლანიძე | მგზავრობის ხარჯი | | **69.00** |
| ბრძანება_81/1 | 8 / 7 / 2022 | საქართველო-ბათუმი | აბესალომ ასლანიძე | სასტუმროს ხარჯი | 4 | **400.00** |
| ბრძანება_81/1 | 8 / 7 / 2022 | საქართველო-წალკა | ნათელა გუდაძე | დღიური ნორმა | 1 | **15.00** |
| ბრძანება_81/1 | 8 / 7 / 2022 | საქართველო-წალკა | ნინო ასათიანი | დღიური ნორმა | 1 | **15.00** |
| ბრძანება_81/1 | 8 / 7 / 2022 | საქართველო-წალკა | ნინო ჭავჭავაძე | დღიური ნორმა | 1 | **15.00** |
| ბრძანება_81/1 | 8 / 7 / 2022 | საქართველო-წალკა | ომარ ჭიკაძე | დღიური ნორმა | 1 | **15.00** |
| ბრძანება_81/1 | 8 / 7 / 2022 | საქართველო-ქუთაისი | ზაზა ვაშაყმაძე | დღიური ნორმა | 1 | **15.00** |
| ბრძანება_81/1 | 8 / 7 / 2022 | საქართველო-ქუთაისი | ომარ ჭიკაძე | დღიური ნორმა | 1 | **15.00** |
| ბრძანება_81/1 | 8 / 7 / 2022 | საქართველო-კასპი | ნინო ჭავჭავაძე | დღიური ნორმა | 1 | **30.00** |
| ბრძანება_81/1 | 8 / 7 / 2022 | საქართველო-კასპი | ლაშა მჭედლიძე | დღიური ნორმა | 1 | **30.00** |
| ბრძანება_81/1 | 8 / 7 / 2022 | საქართველო-დუშეთი | გიორგი პატაშური | დღიური ნორმა | 2 | **60.00** |
| ბრძანება_81/1 | 8 / 7 / 2022 | საქართველო-დუშეთი | ალექსანდრე შეყილაძე | დღიური ნორმა | 1 | **30.00** |
| ბრძანება_81/1 | 8 / 7 / 2022 | საქართველო-დუშეთი | ომარ ჭიკაძე | დღიური ნორმა | 1 | **30.00** |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრძანება_81/1 | 8 / 7 / 2022 | საქართველო-კასპი | ზაზა ვაშაყმაძე | დღიური ნორმა | 1 | **30.00** |
| ბრძანება_81/1 | 8 / 7 / 2022 | საქართველო-კასპი | ვაჟა ართმელაძე | დღიური ნორმა | 1 | **30.00** |
| ბრძანება_81/1 | 8 / 7 / 2022 | საქართველო-საჩხერე | დავითი დავითაშვილი | დღიური ნორმა | 1 | **15.00** |
| ბრძანება_94/1 | 22 / 7 / 2022 | საქართველო-საჩხერე | ზაზა ვაშაყმაძე | დღიური ნორმა | 1 | **15.00** |
| ბრძანება_94/1 | 22 / 7 / 2022 | საქართველო-საჩხერე | ნინო ჭავჭავაძე | დღიური ნორმა | 1 | **15.00** |
| ბრძანება_101/1 | 29 / 7 / 2022 | საქართველო-საჩხერე | ომარ ჭიკაძე | დღიური ნორმა | 1 | **15.00** |
| ბრძანება_112/1 | 24 / 8 / 2022 | საქართველო-თიანეთი | ზაზა ვაშაყმაძე | დღიური ნორმა | 1 | **30.00** |
| ბრძანება_113/1 | 25 / 8 / 2022 | საქართველო-თიანეთი | ვაჟა ართმელაძე | დღიური ნორმა | 1 | **30.00** |
| ბრძანება_113/1 | 25 / 8 / 2022 | საქართველო-გორი | ზაზა ვაშაყმაძე | დღიური ნორმა | 1 | **30.00** |
| ბრძანება_114/1 | 26 / 8 / 2022 | საქართველო-გორი | გიორგი პატაშური | დღიური ნორმა | 1 | **30.00** |
| ბრძანება_114/1 | 26 / 8 / 2022 | საქართველო-გორი | ნინო ჭავჭავაძე | დღიური ნორმა | 1 | **30.00** |
| ბრძანება_114/1 | 26 / 8 / 2022 | საქართველო-გორი | ვაჟა ართმელაძე | დღიური ნორმა | 1 | **30.00** |
| ბრძანება_117/1 | 31 / 8 / 2022 | საქართველო-დედოფლისწყარო | ლელა ჭიპაშვილი | დღიური ნორმა | 1 | **15.00** |
| ბრძანება_117/1 | 31 / 8 / 2022 | საქართველო-დედოფლისწყარო | ნინო ასათიანი | დღიური ნორმა | 1 | **15.00** |
| ბრძანება_117/1 | 31 / 8 / 2022 | საქართველო-დედოფლისწყარო | ზაზა ვაშაყმაძე | დღიური ნორმა | 1 | **15.00** |
| ბრძანება_115/1 | 31 / 8 / 2022 | საქართველო-დედოფლისწყარო | მარინე მაზმიშვილი | დღიური ნორმა | 1 | **15.00** |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრძანება_115/1 | 31 / 8 / 2022 | საქართველო-დედოფლისწყარო | ომარ ჭიკაძე | დღიური ნორმა | 1 | **15.00** |
| ბრძანება_115/1 | 31 / 8 / 2022 | საქართველო-დედოფლისწყარო | ავთანდილ კვერნაძე | დღიური ნორმა | 1 | **15.00** |
| ბრძანება_115/1 | 31 / 8 / 2022 | საქართველო-ბათუმი | დავითი დავითაშვილი | დღიური ნორმა | 3 | **45.00** |
| ბრძანება_115/1 | 31 / 8 / 2022 | საქართველო-ბათუმი | დავითი დავითაშვილი | სასტუმროს ხარჯი | 2 | **200.00** |
| ბრძანება_115/1 | 31 / 8 / 2022 | საქართველო-ბათუმი | ზაზა ვაშაყმაძე | დღიური ნორმა | 3 | **45.00** |
| ბრძანება_133/1 | 5 / 10 / 2022 | საქართველო-ბათუმი | ზაზა ვაშაყმაძე | სასტუმროს ხარჯი | 2 | **200.00** |
| ბრძანება_133/1 | 5 / 10 / 2022 | საქართველო-ბათუმი | ალექსანდრე შეყილაძე | დღიური ნორმა | 3 | **45.00** |
| ბრძანება_140/1 | 19 / 10 / 2022 | საქართველო-ბათუმი | ალექსანდრე შეყილაძე | სასტუმროს ხარჯი | 2 | **200.00** |
| ბრძანება_140/1 | 19 / 10 / 2022 | საქართველო-ბათუმი | ომარ ჭიკაძე | დღიური ნორმა | 3 | **45.00** |
| ბრძანება_140/1 | 19 / 10 / 2022 | საქართველო-ბათუმი | ომარ ჭიკაძე | სასტუმროს ხარჯი | 2 | **200.00** |
| ბრძანება_144/1 | 2 / 11 / 2022 | საქართველო-კასპი | გიორგი პატაშური | დღიური ნორმა | 1 | **15.00** |
| ბრძანება_144/1 | 2 / 11 / 2022 | საქართველო-კასპი | ომარ ჭიკაძე | დღიური ნორმა | 1 | **15.00** |
| ბრძანება_144/1 | 2 / 11 / 2022 | საქართველო-საჩხერე | გიორგი პატაშური | დღიური ნორმა | 1 | **30.00** |
| ბრძანება_144/1 | 2 / 11 / 2022 | საქართველო-საჩხერე | ნინო ჭავჭავაძე | დღიური ნორმა | 1 | **30.00** |
| ბრძანება_144/1 | 2 / 11 / 2022 | საქართველო-ადიგენი | ლელა ჭიპაშვილი | დღიური ნორმა | 1 | **15.00** |
| ბრძანება_146/1 | 4 / 11 / 2022 | საქართველო-ადიგენი | ნინო ასათიანი | დღიური ნორმა | 1 | **15.00** |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრძანება_146/1 | 4 / 11 / 2022 | საქართველო-ადიგენი | დავითი დავითაშვილი | დღიური ნორმა | 1 | **15.00** |
| ბრძანება_146/1 | 4 / 11 / 2022 | საქართველო-ადიგენი | ზაზა ვაშაყმაძე | დღიური ნორმა | 1 | **15.00** |
| ბრძანება_146/1 | 4 / 11 / 2022 | საქართველო-ადიგენი | მარინე მაზმიშვილი | დღიური ნორმა | 1 | **15.00** |
| ბრძანება_148/1 | 7 / 11 / 2022 | საქართველო-ადიგენი | ალექსანდრე შეყილაძე | დღიური ნორმა | 1 | **15.00** |
| ბრძანება_148/1 | 7 / 11 / 2022 | საქართველო-ადიგენი | გრიგოლი მუმლაური | დღიური ნორმა | 1 | **15.00** |
| ბრძანება_148/1 | 7 / 11 / 2022 | საქართველო-ადიგენი | ომარ ჭიკაძე | დღიური ნორმა | 1 | **15.00** |
| ბრძანება_148/1 | 7 / 11 / 2022 | საქართველო-ადიგენი | ლაშა მჭედლიძე | დღიური ნორმა | 1 | **15.00** |
| ბრძანება_148/1 | 7 / 11 / 2022 | საქართველო-კასპი | გიორგი პატაშური | დღიური ნორმა | 1 | **15.00** |
| ბრძანება_150/1 | 8 / 11 / 2022 | საქართველო-კასპი | კონსტანტინე ჩრდილელი | დღიური ნორმა | 1 | **15.00** |
| ბრძანება_150/1 | 8 / 11 / 2022 | საქართველო-ამბროლაური | გიორგი პატაშური | დღიური ნორმა | 1 | **15.00** |
| ბრძანება_150/1 | 8 / 11 / 2022 | საქართველო-ამბროლაური | ომარ ჭიკაძე | დღიური ნორმა | 1 | **15.00** |
| ბრძანება_150/1 | 8 / 11 / 2022 | საქართველო-ბათუმი | ზაზა ვაშაყმაძე | დღიური ნორმა | 8 | **120.00** |
| ბრძანება_150/1 | 8 / 11 / 2022 | საქართველო-ბათუმი | ზაზა ვაშაყმაძე | სასტუმროს ხარჯი | 7 | **840.00** |
| ბრძანება_150/1 | 8 / 11 / 2022 | საქართველო-ბათუმი | ომარ ჭიკაძე | დღიური ნორმა | 8 | **120.00** |
| ბრძანება_150/1 | 8 / 11 / 2022 | საქართველო-ბათუმი | ომარ ჭიკაძე | სასტუმროს ხარჯი | 7 | **840.00** |
| ბრძანება_150/1 | 8 / 11 / 2022 | საქართველო-ბორჯომი | ნინო ჭავჭავაძე | დღიური ნორმა | 1 | **15.00** |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრძანება_150/1 | 8 / 11 / 2022 | საქართველო-ბორჯომი | ომარ ჭიკაძე | დღიური ნორმა | 1 | **15.00** |
| ბრძანება_156/1 | 17 / 11 / 2022 | საქართველო-გორი | ომარ ჭიკაძე | დღიური ნორმა | 1 | **15.00** |
| ბრძანება_156/1 | 17 / 11 / 2022 | საქართველო-გორი | ლაშა მჭედლიძე | დღიური ნორმა | 1 | **15.00** |
| ბრძანება_161/1 | 21 / 11 / 2022 | საქართველო-გორი | ზაზა ვაშაყმაძე | დღიური ნორმა | 1 | **30.00** |
| ბრძანება_160/1 | 21 / 11 / 2022 | საქართველო-გორი | ვაჟა ართმელაძე | დღიური ნორმა | 1 | **30.00** |
| ბრძანება_160/1 | 21 / 11 / 2022 | საქართველო-გორი | ომარ ჭიკაძე | დღიური ნორმა | 1 | **15.00** |
| ბრძანება_165/1 | 28 / 11 / 2022 | საქართველო-დუშეთი | გიორგი პატაშური | დღიური ნორმა | 1 | **30.00** |
| ბრძანება_165/1 | 28 / 11 / 2022 | საქართველო-დუშეთი | ვაჟა ართმელაძე | დღიური ნორმა | 1 | **30.00** |
| ბრძანება_167/1 | 30 / 11 / 2022 | საქართველო-მარტვილი | ნინო ჭავჭავაძე | დღიური ნორმა | 1 | **15.00** |
| ბრძანება_167/1 | 30 / 11 / 2022 | საქართველო-მარტვილი | მარინე მაზმიშვილი | დღიური ნორმა | 1 | **15.00** |
| ბრძანება_168/1 | 5 / 12 / 2022 | საქართველო-მარტვილი | ომარ ჭიკაძე | დღიური ნორმა | 1 | **15.00** |
| ბრძანება_168/1 | 5 / 12 / 2022 | საქართველო-მარტვილი | ლაშა მჭედლიძე | დღიური ნორმა | 1 | **15.00** |
| ბრძანება_172/1 | 19 / 12 / 2022 | საქართველო-საჩხერე | ნატო ონიანი | დღიური ნორმა | 1 | **15.00** |
| ბრძანება_172/1 | 19 / 12 / 2022 | საქართველო-საჩხერე | ნინო ასათიანი | დღიური ნორმა | 1 | **15.00** |
| ბრძანება_174/1 | 21 / 12 / 2022 | საქართველო-საჩხერე | ნინო ჭავჭავაძე | დღიური ნორმა | 1 | **15.00** |
| ბრძანება_174/1 | 21 / 12 / 2022 | საქართველო-საჩხერე | მარინე მაზმიშვილი | დღიური ნორმა | 1 | **15.00** |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრძანება_174/1 | 21 / 12 / 2022 | საქართველო-საჩხერე | სერგო ფარულავა | დღიური ნორმა | 1 | **15.00** |
| ბრძანება_174/1 | 21 / 12 / 2022 | საქართველო-საჩხერე | ზვიადი ტყაბლაძე | დღიური ნორმა | 1 | **15.00** |
| სულ მივლინება ქვეყნის შიგნით 2022 წელი | | | | | | 7,053.00 |

| მივლინება ქვეყნის გარეთ | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მივლინების დოკუმენტი | დოკუმენტის თარიღი | მივლინების ადგილი | სახელი და გვარი | ხარჯი ტიპი | დღეების რაოდენობა | თანხა |
| ბრძანება_2/1 | 10/01/2022 | მოლდოვა-კიშინიოვი | დავითი დავითაშვილი | დღიური ნორმა | 4 | **434.00** |
| ბრძანება_2/1 | 10/01/2022 | მოლდოვა-კიშინიოვი | დავითი დავითაშვილი | მგზავრობის ხარჯი | | **1,126.58** |
| ბრძანება_2/1 | 10/01/2022 | მოლდოვა-კიშინიოვი | დავითი დავითაშვილი | სასტუმროს ხარჯი | 3 | **1,013.70** |
| ბრძანება_2/1 | 10/01/2022 | მოლდოვა-კიშინიოვი | ზაზა ვაშაყმაძე | დღიური ნორმა | 4 | **378.00** |
| ბრძანება_2/1 | 10/01/2022 | მოლდოვა-კიშინიოვი | ზაზა ვაშაყმაძე | მგზავრობის ხარჯი | | **1,130.22** |
| ბრძანება_2/1 | 10/01/2022 | მოლდოვა-კიშინიოვი | ზაზა ვაშაყმაძე | სასტუმროს ხარჯი | 3 | **1,102.50** |
| ბრძანება_2/1 | 10/01/2022 | მოლდოვა-კიშინიოვი | გვანცა ცხოვრებაძე | დღიური ნორმა | 4 | **434.00** |
| ბრძანება_2/1 | 10/01/2022 | მოლდოვა-კიშინიოვი | გვანცა ცხოვრებაძე | მგზავრობის ხარჯი | | **1,130.22** |
| ბრძანება_2/1 | 10/01/2022 | მოლდოვა-კიშინიოვი | გვანცა ცხოვრებაძე | სასტუმროს ხარჯი | 3 | **1,013.70** |
| ბრძანება_50/1 | 28/04/2022 | აზერბაიჯანი-კახი | ლელა ჭიპაშვილი | დღიური ნორმა | 1 | **106.81** |
| ბრძანება_50/1 | 28/04/2022 | აზერბაიჯანი-კახი | ზაზა ვაშაყმაძე | დღიური ნორმა | 1 | **106.81** |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრძანება_50/1 | 28/04/2022 | აზერბაიჯანი-კახი | გიორგი პატაშური | დღიური ნორმა | 1 | **106.81** |
| ბრძანება_50/1 | 28/04/2022 | აზერბაიჯანი-კახი | გვანცა ცხოვრებაძე | დღიური ნორმა | 1 | **106.81** |
| ბრძანება_50/1 | 28/04/2022 | აზერბაიჯანი-კახი | ომარ ჭიკაძე | დღიური ნორმა | 1 | **106.81** |
| ბრძანება_50/1 | 28/04/2022 | აზერბაიჯანი-კახი | ავთანდილ კვერნაძე | დღიური ნორმა | 1 | **106.81** |
| ბრძანება_50/1 | 28/04/2022 | აზერბაიჯანი-კახი | სერგო ფარულავა | დღიური ნორმა | 1 | **106.81** |
| ბრძანება_50/1 | 28/04/2022 | აზერბაიჯანი-კახი | ზვიადი ტყაბლაძე | დღიური ნორმა | 1 | **106.81** |
| ბრძანება_120/1 | 09/09/2022 | პოლონეთი-ვარშავა | დავითი დავითაშვილი | დღიური ნორმა | 3 | **299.25** |
| ბრძანება_120/1 | 09/09/2022 | პოლონეთი-ვარშავა | დავითი დავითაშვილი | მგზავრობის ხარჯი | | **1,560.00** |
| ბრძანება_120/1 | 09/09/2022 | პოლონეთი-ვარშავა | დავითი დავითაშვილი | სასტუმროს ხარჯი | 2 | **655.50** |
| ბრძანება_120/1 | 09/09/2022 | პოლონეთი-ვარშავა | ზაზა ვაშაყმაძე | დღიური ნორმა | 3 | **230.85** |
| ბრძანება_120/1 | 09/09/2022 | პოლონეთი-ვარშავა | ზაზა ვაშაყმაძე | მგზავრობის ხარჯი | | **1,560.00** |
| ბრძანება_120/1 | 09/09/2022 | პოლონეთი-ვარშავა | ზაზა ვაშაყმაძე | სასტუმროს ხარჯი | 2 | **655.50** |
| ბრძანება_158/1 | 18/11/2022 | აზერბაიჯანი-კახი | ლელა ჭიპაშვილი | დღიური ნორმა | 1 | **122.35** |
| ბრძანება_158/1 | 18/11/2022 | აზერბაიჯანი-კახი | ნინო ასათიანი | დღიური ნორმა | 1 | **122.35** |
| ბრძანება_158/1 | 18/11/2022 | აზერბაიჯანი-კახი | ზაზა ვაშაყმაძე | დღიური ნორმა | 1 | **122.35** |
| ბრძანება_158/1 | 18/11/2022 | აზერბაიჯანი-კახი | გიორგი პატაშური | დღიური ნორმა | 1 | **122.35** |
| ბრძანება_158/1 | 18/11/2022 | აზერბაიჯანი-კახი | მარინე მაზმიშვილი | დღიური ნორმა | 1 | **122.35** |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრძანება_158/1 | 18/11/2022 | აზერბაიჯანი-კახი | ვაჟა ართმელაძე | დღიური ნორმა | 1 | **122.35** |
| ბრძანება_158/1 | 18/11/2022 | აზერბაიჯანი-კახი | ავთანდილ კვერნაძე | დღიური ნორმა | 1 | **122.35** |
| ბრძანება_159/1 | 21/11/2022 | შვეიცარია-ჟენევა | დავითი დავითაშვილი | დღიური ნორმა | 4 | **1,094.32** |
| ბრძანება_159/1 | 21/11/2022 | შვეიცარია-ჟენევა | დავითი დავითაშვილი | მგზავრობის ხარჯი | | **2,652.50** |
| ბრძანება_159/1 | 21/11/2022 | შვეიცარია-ჟენევა | დავითი დავითაშვილი | სასტუმროს ხარჯი | 3 | **1,877.04** |
| ბრძანება_159/1 | 21/11/2022 | შვეიცარია-ჟენევა | დავითი დავითაშვილი | სასტუმროს ხარჯი | 1 | **543.91** |
| სულ მივლინება ქვეყნის გარეთ 2022 წელი | | | | | | **20,602.72** |

## რელიგიური გაერთიანებების (კონფესიების) დაფინანსება 2022 წელს

| დასახელება | 2022 წელი ბიუჯეტი | 2022 წელი მთავრობის სარეზერვო ფონდი | 2022 წელი სულ მთავრობის სარეზერვო ფონდის გათვალისწინებით |
|---|---|---|---|
| სსიპ სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველო | 2,750,000 | 600,000 | 3,350,000 |
| სსიპ ლათინ კათოლიკეთა კავკასიის სამოციქულო ადმინისტრაცია | 550,000 | 100,000 | 650,000 |
| სსიპ სომეხთა სამოციქულო მართლმადიდებელი წმ ეკლესიის საქართველოს ეპარქია | 800,000 | 200,000 | 1,000,000 |
| სსიპ საქართველოს ებრაელთა კავშირი | 400,000 | 100,000 | 500,000 |
| სულ | 4,500,000 | 1,000,000 | 5,500,000 |

**კორესპონდენცია 2022 წ.**

რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს საქმის წარმოების სტატისტიკა - 2022 წელი

| კორესპონდენცია 2022 წ. | რაოდენობა |
|---|---|
| შემოსული | 424 |
| გასული | 1022 |
| კადრების ბრძანებები | 71 |
| მივლინება/შვებულების ბრძანებები | 178 |
| ორგანიზაციული ბრძანებები | 78 |
| შიდა მოხსენებითი ბარათი | 240 |